ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის მონიტორინგი დასავლეთ საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში

ანგარიში N1

ქუთაისი
2020

პროექტის პარტნიორების შეხვედრა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი

ტრენინგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის PAR მონიტორინგის შესახებ

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის მონიტორინგი დასავლეთ საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში

ანგარიში N1

ვანი
თერჯოლა
ბაღდათი
ხონი
ამბროლაური
ცაგერი
ლანჩხუთი
ოზურგეთი

ქუთაისი
2020

ანგარიში დაიბეჭდა პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.

მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ და, შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

მეწარმე ქალთა ფონდი

იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“

პროექტის დირექტორი:
ალლა გამახარია (კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“)

პროექტის კოორდინატორები:
თეა თორინავა (კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“)
მერი გელაშვილი (მეწარმე ქალთა ფონდი)
ქეთევან ცხაკაია (იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“)

რედაქტორი - ლალი შენგელია
დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

შინაარსი

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის მონიტორინგი ადგილობრივ თვითმმართველობებში

შესავალი 6
მონიტორინგის მიზანი 8
მონიტორინგის ადგილი, პერიოდი და განმახორციელებლები 9
მონიტორინგის ინსტრუმენტები 10
მუნიციპალიტეტებში მონიტორინგის შედეგები 12
გამჭვირვალობა 12
ეფექტიანობა 17
ინკლუზიურობა 25
შეჯამება 31
რეკომენდაციები 32

მონიტორინგის ანგარიშები

ვანის მუნიციპალიტეტი 34
თერჯოლის მუნიციპალიტეტი 45
ბაღდათის მუნიციპალიტეტი 56
ხონის მუნიციპალიტეტი 67
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი 76
ცაგერის მუნიციპალიტეტი 86
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 97
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 112

დანართი

მონიტორინგის მექანიზმი (კითხვარი) პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგისთვის 126

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის მონიტორინგი ადგილობრივ თვითმმართველობებში

დასავლეთ საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშების ანალიზი

მოამზადა ლიზი სოფრომაძემ

ადგილობრივი თვითმმართველობის ექსპერტი
ა(ა)იპ რეგიონის განვითარების ცენტრი

შესავალი

სწორი და ეფექტური სახელმწიფო მართვა ხელს უწყობს და აძლიერებს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას[1]. მართვის ეფექტურობას კი განაპირობებს ხელისუფლების მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები, სტრატეგიები და ქვეყნის განვითარების გეგმები. დემოკრატიული მართვისა და კარგი მმართველობის პრინციპების მიხედვით საჯარო პოლიტიკისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვადასხვა აქტორის მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში განიხილება დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტად. საზოგადოების ჩართულობა ზრდის ნდობას პოლიტიკური სისტემის მიმართ და მთავრობის ლეგიტიმურობას[2].

სამოქალაქო მონიტორინგი წარმოადგენს სამოქალაქო სექტორის საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესში მონაწილეობის ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტს, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი ნაწილი ან თავიდან ბოლომდე მიმართულია ამა თუ იმ სფეროს მონიტორინგისკენ, ან აუცილებლად შეიცავს მონიტორინგის კომპონენტს.

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR)[3] წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“[4] თანახმად, ქვეყანამ უნდა განახორციელოს სიღრმისეული რეფორმები საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით.

---

[1] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. (2015). საქართველოს *საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020: http://gov.ge/*

[2] თ. კობერიძე, ნ. დოლიძე. (2018). *ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი.* მოპოვებული ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი: https://www.ctc.org.ge/

[3] საქართველოს მთავრობა. (2015). *საქართველოს საჯარო რეფორმის გზამკვლევი 2020.* http://gov.ge/

[4] საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, (2014). *საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება:* http://eunato.gov.ge/en/eu/association-agreement

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა[5] ადგილობრივი თვითმმართველობის კომპონენტში ითვალისწინებს ორ ამოცანას:

- **თვითმმართველობების გაძლიერების მიზნით მათი უფლებამოსილებების გაფართოება;**
- **ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.**

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელი კომპონენტია მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება. დღევანდელმა მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით ამის პრიორიტეტულობა. დღეს კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში ელექტრონული მმართველობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობისთვის **გამჭვირვალე, ეფექტიანი და ინკლუზიური მმართველობა და კომუნიკაცია**. სწორედ ამ საკითხს ეხმიანება რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა[6].

იმისათვის, რომ საჯარო მმართველობის რეფორმა (PAR) ეფექტურად განხორციელდეს ადგილობრივ დონეზე, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების მეტი ჩართულობა გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, ინკლუზიური ადგილობრივი მართვის უზრუნველსაყოფად.

სწორედ საჯარო მმართველობის რეფორმის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის მიზნით კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით, ახორციელებს პროექტს: „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“, რომელსაც აფინანსებს ევროკავშირი.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების საზოგადოების ფორუმი[7]. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თანამშრომლობენ და მონიტორინგს უწევენ საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) განხორციელებას 8 მუნიციპალიტეტში. მონიტორინგი განხორციელდა ფონდი „სოხუმის“ მიერ შემუშავებული მონიტორინგის ინსტრუმენტით, რომლითაც შეფასდა ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტიანობა, გამჭვირვალობა და ინკლუზიურობა ხონში, ბაღდათში, თერჯოლაში, ვანში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ცაგერსა და ამბროლაურში.

პროექტის ფარგლებში ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ჩატარდა ტრენინგების სერია, შეხვედრების მონაწილეებმა შეიძინეს საჭირო კომპეტენციები და შესაბამის მუნიციპალიტეტებში განახორციელეს შესაბამისი აქტივობები. პროექტის ფარგლებში მომზადდა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდასაჭერი ქვესაგრანტო სქემა, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო ფორუმის წევრი ორგანიზა-

[5] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია (2019). *საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო:* http://gov.ge/

[6] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. (2019). *საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა. http://gov.ge/*

[7] სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://csoforum.ge/index.php/ka/about-forum-ka-1

ციების მონაწილეობას სამოქალაქო დიალოგში თავიანთ შესაბამის მუნიციპალიტეტებში და მათ ფარგლებს გარეთ.

ადგილობრივი საჭიროებების შეფასება განხორციელდება პროექტის პირველი და მეორე წლის განმავლობაში, შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივ სამოქმედო გეგმებში. გამოქვეყნდება რეგულარული ანგარიშები საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) მონიტორინგისა და რეგიონებში მიმდინარე განვითარების შესახებ. ხონის მუნიციპალიტეტში დაინერგება ონლაინ პეტიციების საპილოტე სისტემა.

2019 წლის ოქტომბერში პროექტის ფარგლებში შექმნილი გურიის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი** მიმართულია საზოგადოების სხვადასხვა ფენის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაერთიანებისკენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის დასავლეთ საქართველოში. ამჟამად ფორუმის წევრია სხვადასხვა პროფილის და განსხვავებულ თემატურ მიმართულებებზე მომუშავე 16 ორგანიზაცია.

ფორუმი არის ადგილი თანამშრომლობისათვის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სწავლობენ ერთმანეთისგან და საუკეთესო პრაქტიკებს გადასცემენ ერთი მუნიციპალიტეტიდან მეორეში. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი არის მოსაზრებებისა და წინადადებების შეგროვების შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მასშტაბებით, გეოგრაფიული არეალით, თემატური მიმართულებებით.

მონიტორინგის მიზანი

აქტიური საზოგადოება და მონაწილეობის მაღალი ხარისხი არის წარმატებული თვითმმართველობის გარანტი. სწორედ აქტიური სამოქალაქო საზოგადოების პირობებში მიიღწევა ღია, ეფექტური და ინკლუზიური თვითმმართველობა და განვითარება.

პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონებში საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) სამოქმედო გეგმის ეფექტურ განხორციელებას.

ამ მიზნით პროექტში ჩართულმა 16-მა სხვადასხვა პროფილის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ 8 მუნიციპალიტეტში განახორციელა საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) სამოქმედო გეგმის მონიტორინგი.

<u>მონიტორინგის მიზანია</u> ადგილობრივი ხელისუფლების **ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის** ხარისხის შესწავლა, ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციასა და მიგნებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება.

მონიტორინგის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობა შეფასდა სამი მიმართულებით: **გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ინკლუზიურობა.**

გამჭვირვალობა შეფასდა წინასწარ შერჩეული 9, ეფექტიანობა - 11 და ინკლუზიურობა 12 ინდიკატორით. სულ ჯამში მონიტორინგის ფარგლებში 32 ინდიკატორის მონაცემები შეგროვდა და დამუშავდა.

მონიტორინგის ადგილი, პერიოდი და განმახორციელებლები

მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის იანვარ-თებერვალში (27 იანვრიდან 28 თებერვლამდე) საქართველოს სამი რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების კურატორობით.

იმერეთის რეგიონი

კურატორი ორგანიზაცია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

- **ბაღდათის მუნიციპალიტეტი:** ა(ა)იპ „თანასწორობა ახლა“ და ა(ა)იპ შშმ პირთა კავშირი „რწმენა და იმედი“
- **ვანის მუნიციპალიტეტი:** ა(ა)იპ ,,თანადგომა“ და ა(ა)იპ „მოქალაქეთა აქტიურობა ეფექტიანი მმართველობისა და სამართლიანობისათვის“
- **თერჯოლის მუნიციპალიტეტი:** ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი „ბავშვები - საქართველოს მომავალი“ და თერჯოლის „ინვალიდთა ასოციაცია“
- **ხონის მუნიციპალიტეტი:** ა(ა)იპ „განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისი“ და ა(ა)იპ „ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი“

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი

კურატორი ორგანიზაცია: მეწარმე ქალთა ფონდი

- **ამბროლაურის მუნიციპალიტეტი:** რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრი და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ჰაბი - „აფხაზინტერკონტი“
- **ცაგერის მუნიციპალიტეტი:** ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი, „აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება“

გურიის რეგიონი

კურატორი ორგანიზაცია - იმერეთის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“

- **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი:** ა(ა)იპ საქართველოს სასოფლო დარბაზი და ა(ა)იპ ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრი
- **ოზურგეთის მუნიციპალიტეტი:** ა(ა)იპ განათლების და თანასწორობის ცენტრი

მონიტორინგის ინსტრუმენტები

მონიტორინგის პროცესის დაწყებამდე პროექტის განმახორციელებელი გუნდისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შემუშავდა მონიტორინგის გეგმა და მონიტორინგის ინსტრუმენტი - მონიტორინგის კითხვარი (იხილეთ დანართი).

მონიტორინგის კითხვარი მოიცავდა სამ მიმართულებას: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ინკლუზიურობა. თითოეული მიმართულება შეფასდა წინასწარ შერჩეული ინდიკატორებით, სულ გამოკვლეულ და შესწავლილ იქნა 32 ინდიკატორი.

მონიტორინგის განხორციელების მეთოდები:

- დაკვირვების ძირითად წყაროდ განისაზღვრა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ინტერნეტ რესურსები: ვებგვერდები და ფეისბუქგვერდები.
- ასევე მონიტორინგის პროცესში შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა მონიტორინგის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა, მუნიციპალიტეტების ნორმატიული აქტები და დებულებები.
- ინფორმაციის გადამოწმებისა და შევსების მიზნით შედგა სატელეფონო კომუნიკაცია და საჭიროების შემთხვევაში - შეხვედრებიც მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან.

მონიტორინგის საწყის ეტაპზე მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა დაგეგმეს და ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირებთან, სადაც გააცნეს მონიტორინგის მიზნები და ამოცანები, ასევე მუშაობის მეთოდები და ინსტრუმენტები.

მონიტორინგის პროცესში ყველა მუნიციპალიტეტმა ითანამშრომლა პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან და შეუფერხებლად მიაწოდა ყველა საჭირო მასალა და ინფორმაცია.

მონიტორინგის პროცესში, კითხვარის შესაბამისად, შესწავლილ იქნა საკანონმდებლო ბაზა, მოძიებულ იქნა პირველადი ინფორმაციები, შედგა ინდივიდუალური შეხვედრები პასუხისმგებელ პირებთან და დაზუსტდა მონაცემების სანდოობის გადამოწმების გზები. ასევე შესწავლილ იქნა ნორმატიული აქტები და ანგარიშები (მერის, საკრებულოს თავმჯდომარის, შესაბამისი სამსახურების და სხვა), მოხდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დამუშავება და მუნიციპალიტეტების დონეზე მონიტორინგის ანგარიშის მომზადება.

მონიტორინგის ანგარიშის სამუშაო ვერსია წარედგინა მუნიციპალიტეტებს და მათთან დაზუსტების შემდგომ მიეცა საბოლოო სახე.

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტების მუშაობის სამი ძირითადი მიმართულება:

- **გამჭვირვალობა**
- **ეფექტიანობა**
- **ინკლუზიურობა**

თითოეული მიმართულება შეფასდა წინასწარ შერჩეული ინდიკატორების მიხედვით.

მუნიციპალიტეტების **გამჭვირვალობის** შეფასება მოხდა შემდეგი კრიტერიუმებით:

- მუნიციპალური ვაკანსიების ხელმისაწვდომობა;
- ვაკანსიების ვადების დაცულობა;
- მუნიციპალიტეტის სტრუქტურა და თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ელექტრონულად კომენტარებისა და რეკომენდაციების მიწოდების შესაძლებლობა;

- ბიუჯეტის, ფინანსური ანგარიშებისა და შესყიდვების გეგმების ხელმისაწვდომობა;
- თანამდებობის პირების ბიოგრაფიების ხელმისაწვდომობა;
- საკრებულოს დღის განრიგების საჯაროობა;
- მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების საჯაროობა;
- მუნიციპალიტეტის სამსახურების ანგარიშების ხელმისაწვდომობა;
- მოქალაქეთა მიღების დღეების არსებობა;
- მუნიციპალიტეტებში თანამონაწილეობითი, გენდერული და სოციალური ბიუჯეტების არსებობა;
- მუნიციპალიტეტების ანტიკორუფციული გეგმების არსებობა;
- მუნიციპალიტეტის ეთიკის კოდექსის ხელმისაწვდომობა.

ეფექტიანობის შეფასების მიზნით შესწავლილ იქნა როგორც ოფიციალური ვებგვერდები, ასევე ჩატარდა ინტერვიუები მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან. ეფექტიანობის შეფასების მიზნით შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტების მუშაობის შემდეგი მიმართულებები:

- მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების მოსახლეობასთან თანამშრომლობის მრავალფეროვნება;
- მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე რეაგირება;
- სხვადასხვა სერვისის (პეტიციის წარდგენა, შეხვედრების დაგეგმვა, წერილებისა და განცხადებების ჩაბარება და სხვა) ელექტრონულად განხორციელების შესაძლებლობა;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლების განვითარების გეგმების არსებობა;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების პროფესიული განვითარების (ტრენინგებში მონაწილეობა) შესაძლებლობა და ახალი ცოდნის სხვადასხვა ფორმით გაზიარება/გამოყენების პრაქტიკა;
- მუნიციპალიტეტების სერვისების შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები;
- მუნიციპალიტეტის მუშაობის დაგეგმვისა და მონიტორინგის პრაქტიკა;

ინკლუზიურობის შეფასების მიზნით შესწავლილ იქნა ინფორმაცია ვებგვერდზე, ასევე განხორციელდა მუნიციპალური შენობების დათვალიერება და საჯარო მოხელეებთან გასაუბრება. შეფასდა შემდეგი საკითხები:

- მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა გენდერული გადანაწილება;
- მუნიციპალური შენობების ადაპტურობა;
- ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის (ქალები, შშმ პირები, სოციალურად დაუცველები, ეთნიკური უმცირესობები, იძულებით გადაადგილებულები და სხვა) ინტერესების დაცვის შესაძლებლობა და მათი საჯარო ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების ინფორმირებულობის დონე ინკლუზიურობის საკითხებთან დაკავშირებით;

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის შესაძლებლობა (შეფასდა, არსებობს თუ არა მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო და სხვა).

დაგეგმილი მონიტორინგის პერიოდში არ წარმოქმნილა ხელისშემშლელი ფაქტორები. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან იყო საქმიანი კომუნიკაცია და ყველა კითხვასა თუ მოთხოვნაზე დროული რეაგირება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი მსგავსი მონიტორინგის განხორციელება, რაც საფუძვლად დაედება ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

მუნიციპალიტეტებში მონიტორინგის შედეგები

გამჭვირვალობა

იმერეთის რეგიონი

ვანის მუნიციპალიტეტი

ვანის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ საჯარო ინფორმაციის უმეტესი ნაწილი ელექტრონულად ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდიდან. მასზე განთავსებულია მუნიციპალიტეტის სტრუქტურა, სამსახურები, ინფორმაცია ხელმძღვანელი პირების შესახებ და მათი საკონტაქტო ინფორმაციები. ასევე ატვირთულია მიმდინარე ბიუჯეტი, სოციალური ბიუჯეტი და ხელმისაწვდომია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესყიდვების შესახებ.

თუმცა მონიტორინგის დროს გამოვლინდა რიგი ხარვეზები:

- **მუნიციპალიტეტში არ არის ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების წარდგენის შესაძლებლობა;**
- **არ არის ხელმისაწვდომი ბიუჯეტის შესრულებისა და სამსახურების ანგარიშები;**
- **მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ანტიკორუფციული გეგმა და ქცევის კოდექსი;**
- **არ ქვეყნდება საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და დადგენილებები;**
- **საჯარო მოხელეებს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს და დეპუტატებს ოფიციალური მიღების დღე დაწესებული არა აქვთ;**
- **ვანის მუნიციპალიტეტს მონაწილეობითი ბიუჯეტი არა აქვს.**

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ საჯარო ინფორმაციის უმეტესი ნაწილი განთავსებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და სისტემატურად ხდება მისი განახლება. დაცულია ვაკანსიების გამოცხადების

პირობები და ვადები. ვებგვერდზე მოცემულია მუნიციპალიტეტის სტრუქტურა, ინფორმაცია სტრუქტურული ერთეულების შესახებ, მათი ხელმძღვანელი პირების სრული საკონტაქტო ინფორმაციებით. ასევე ატვირთულია მიმდინარე წლის ბიუჯეტი, წინა წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და ხელმისაწვდომია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმის შესახებ.

თუმცა მონიტორინგის დროს გამოვლინდა რიგი ხარვეზები:

- **ვებგვერდზე არ არის განთავსებული ყველა თანამდებობის პირის საკონტაქტო ინფორმაციები;**
- **ელექტრონულად არ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის სამსახურების ანგარიშები;**
- **მუნციპალიტეტს არ გააჩნია ანტიკორუფციული გეგმა და ქცევის კოდექსი;**
- **არ არის დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტირება;**
- **არ აქვთ გენდერული ბიუჯეტი;**
- **მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული ფინანსური რეგულაციები.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

მონიტორინგიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობის კუთხით ძირითადი სტანდარტები დაცულია, გამართული და აქტიურია ვებგვერდი, აქტიურია ფეისბუქგვერდიც. მოქალაქეებს აქვთ საშუალება, ონლაინ ადევნონ თვალი მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს: გაეცნონ სიახლეებს, განცხადებებს ვაკანსიების შესახებ. ვაკანსიის გამოცხადების წესები და ვადები დაცულია. საკანონმდებლო აქტები, დებულებები ატვირთულია და მარტივად იძებნება ვებგვერდზე. შესაძლებელია საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება ნებისმიერი სტრუქტურის წარმომადგენელთან დასაკავშირებლად. თუმცა მათთან დაკავშირება მხოლოდ ელფოსტით არის შესაძლებელი, ზოგიერთ ბიოგრაფიას არ ახლავს ტელეფონის ნომერი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები:

- **მუნიციპალიტეტს არ აქვს მონაწილეობითი ბიუჯეტი, ასევე არ არის ხელმისაწვდომი გენდერული ბიუჯეტი, თუმცა მუნიციპალიტეტში მუშაობს გენდერული პროგრამები, რომლებიც ჩაშლილია სხვადასხვა ქვეპროგრამაში;**
- **ვებგვერდზე არ არის ატვირთული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;**
- **არ არის ხელმისაწვდომი ცალკეული სამსახურების ანგარიშები;**
- **მიღების საათების შესახებ ინფორმაცია არ არის განთავსებული;**
- **ანტიკორუფციული გეგმა და ეთიკის კოდექსი მუნიციპალიტეტს არ აქვს, თუმცა მუნიციპალიტეტი ანტიკორუფციული ქმედებების დასანერგად ხელმძღვანელობს: ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონით და საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ მთავრობის დადგენილებით.**

ხონის მუნიციპალიტეტი

ხონის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ საკრებულოს და მერიის ვაკანსიებთან დაკავშირებით ონლაინ განცხადებები ხელმისაწვდომია როგორც მერიის ფეისბუქგვერდზე, ასევე მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და დაცულია ვაკანსიათა გამოქვეყნების ვადები. რაც შეეხება თვითმმართველობის თანამდებობის პირთა მონაცემების, ბიოგრაფიების, სამუშაო გამოცდილების, კვალიფიკაციისა და საკონტაქტო ინფორმაციის საჯაროობას, მუნიციპალიტეტის მერიის მხრივ დაცულია ყველა მოთხოვნა და საჯაროობა სრულად არის უზრუნველყოფილი. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია დამტკიცებული ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმაც. ასევე ხელმისაწვდომია საკრებულოს დადგენილებები და დამტკიცებული ნორმატიული აქტები. მუნიციპალიტეტის მერიაში დათქმულია მოქალაქეთა მიღების დღეები და საათები. მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს სოციალური ბიუჯეტი. უნდა აღინიშნოს, რომ ხონის მუნიციპალიტეტს გააჩნია „გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2019-2022წწ“ (ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №40 74 25.12.2019), რაც წინგადადგმული ნაბიჯია და არსებული ხარვეზების აღიარებისა და პრობლემების ეტაპობრივად მოგვარებას ისახავს მიზნად.

ხონის მუნიციპალიტეტში მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები:

- **მუნიციპალური სერვისების თაობაზე ინფორმაციის მიღება დისტანციურად ხელმიუწვდომელია. ხონის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი არ იძლევა საშუალებას, მოქალაქემ, დაინტერესებულმა პირმა საჩივარი, განცხადება ონლაინ რეჟიმში წარადგინოს;**
- **საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს წევრთა შესახებ ინფორმაცია ელექტრონულ პორტალზე სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი;**
- **საიტზე არ იძებნება ბიუჯეტის შესრულების 3 და 6 თვის ანგარიშები, ასევე შიდა აუდიტის სამსახურისა და განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები;**
- **ვებგვერდზე არ იძებნება ინფორმაცია სამსახურებისა და განყოფილებების ანგარიშების შესახებ;**
- **საკრებულოს წევრებს არ აქვთ გამოყოფილი მოქალაქეთა მიღების დღეები;**
- **მუნიციპალიტეტს არ აქვს მონაწილეობითი და გენდერული ბიუჯეტი,**
- **მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საკუთარი ანტიკორუფციული გეგმა და ეთიკური ქცევის კოდექსი, თუმცა ხელმძღვანელობენ ქვეყანაში არსებული ანტიკორუფციული კანონმდებლობით და შესაბამისი რეგულაციებით.**

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ საჯარო ინფორმაციის უმეტესი ნაწილი ხელმისაწვდომია ვებგვერდიდან, განთავსებულია მუნიციპალიტეტის სტრუქტურა, სამსახურები, მათი ხელმძღვანელი პირების საკონტაქტო

ინფორმაციები. ასევე ატვირთულია მიმდინარე ბიუჯეტი და მისი შესრულების ანგარიშები, ხელმისაწვდომია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესყიდვების შესახებ. ხელმისაწვდომია ინფორმაცია გასული წლის ყველა ფინანსურ ანგარიშზე და გამოქვეყნებულია მიმდინარე წლის ბიუჯეტიც. ასევე ვებგვერდზე განთავსებულია საკრებულოს სხდომების დღის წესრიგი, საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და დადგენილებები.

თუმცა მონიტორინგის დროს გამოვლინდა რიგი ხარვეზები:

- **მოქალაქეებს საჩივრებისა და წინადადებების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა არ აქვთ;**
- **მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს არ აქვთ განსაზღვრული მიღების დღეები და საათები, თუმცა, ადმინისტრაციის უფროსის განმარტებით, მოქალაქეების მიღება ხორციელდება შეუზღუდავად;**
- **ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტირება, ასევე არ აქვთ გენდერული და სოციალური ბიუჯეტი;**
- **მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ანტიკორუფციული გეგმა და ეთიკის კოდექსი.**

ცაგერის მუნიციპალიტეტი

ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ საჯარო ინფორმაციის უმეტესი ნაწილი ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. ვადების დაცვით ქვეყნდება ვაკანსიები. ასევე მუნიციპალიტეტის სტრუქტურა, თავისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებითა და საკონტაქტო ინფორმაციებით ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის. ატვირთულია მიმდინარე წლის ბიუჯეტი, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და შესყიდვების გეგმაც. მუნიციპალიტეტს აქვს სოციალური ბიუჯეტი. რაც შეეხება გენდერულ ბიუჯეტირებას, შექმნილია ა(ა)იპ „ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი“, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტთან გენდერული ბიუჯეტირების საკითხებში. ასევე მუნიციპალიტეტში გამოყოფილია გენდერულ თემებზე პასუხისმგებელი პირი და მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს პროგრამებსა და პროექტებში ქალებისა და მამაკაცების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

მიუხედავად იმისა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად ზრუნავს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე და ყველა საჭირო ინფორმაციის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობაზე, მაინც არსებობს გარკვეული ხარვეზები, კონკრეტულად:

- **საკრებულოს/მერიის დღის წესრიგები არ ქვეყნდება ონლაინ გვერდებზე და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ საინფორმაციო დაფაზე;**
- **მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს არ გააჩნიათ მოქალაქეთა მიღების დაფიქსირებული დღეები და საათები, თუმცა, ადმინისტრაციის უფროსის განმარტებით, მოქალაქეთა მიღება ხორციელდება შეუზღუდავად;**
- **ცაგერის მუნიციპალიტეტს არ აქვს დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტი;**
- **მუნიციპალიტეტს არ აქვს ანტიკორუფციული გეგმა და ეთიკის კოდექსი.**

გურიის რეგიონი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე სრულად არის განთავსებული საკრებულოსა და მერიის ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, მათი ფოტოსურათებით, სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას უზრუნველყოფს მერიის ადმინისტრაციული სამსახური და საკრებულოს აპარატი.

ვებგვერდის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების წარდგენის მექანიზმი. მუნიციპალიტეტში ხდება შემოსული კითხვების რეესტრის წარმოება - ექსელის ფორმაში მოცემულია კითხვის შემოსვლის დრო, კითხვის შინაარსი, ადრესატი საჯარო დაწესებულების დასახელება. ამავდროულად, თითოეული კითხვის შემთხვევაში აღნიშნულია, როდის გაიცა პასუხი. მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მოქალაქეების მიღების/ღია კონსულტაციების საათები განსაზღვრული აქვთ: მერს, მერის მოადგილეს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, დეპუტატებს, დეპარტამენტების მოადგილეებს. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ასევე განთავსებულია ფინანსური დოკუმენტები: დამტკიცებული ბიუჯეტი, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, წლიური ანგარიში, შესყიდვის გეგმა და შესყიდვების შესრულების ანგარიში. მუნიციპალიტეტის ვებგვერდი მოიცავს ინფორმაციას საჯარო მოხელეების შესახებ, საკრებულოს სხდომების დღის წესრიგსა და ოქმებს; ასევე იძებნება საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, დადგენილებები და სხვადასხვა განყოფილების ანგარიშები.

მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები:

- **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული ანტიკორუფციული გეგმები და დებულებები;**
- **არ არის ხელმისაწვდომი ფინანსური რეგულაციები და დებულება ეთიკური ქცევის შესახებ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ ოფიციალურ ვებგვერდზე სრულად არის შესაძლებელი მუნიციპალიტეტის შესახებ საჯარო ინფორმაციის მოძიება. ვებგვერდზე მოცემულია მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა, პასუხისმგებელი პირები მათი სრული საკონტაქტო ინფორმაციით. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ვადების დაცვას.

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე არის სპეციალური აპლიკაცია, რომლითაც შესაძლებელია ინფორმაციის გამოთხოვა როგორც საკრებულოდან, ისევე მერიიდან. ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიშების, სამართლებრივი აქტების, სხდომის ოქმების, მუნიციპალური შესყიდვებისა და ქონების შესახებ. ასევე მუნიციპალიტეტში არსებობს მოქალაქეთა ონლაინ პეტიციების წარდგენის პრაქტიკა.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ ვებგვერდზე ქვეყნდება ონლაინ ფინანსური ანგარიშები - დამტკიცებული ბიუჯეტი, წლიური ანგარიში, ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები და შესყიდვის გეგმა. მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით ოზურგეთში არსებობს მონაწილეობითი ბიუჯეტირების წარმატებული პრაქტიკა. ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტს აქვს სოციალური ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც მუშაობს გენდერული ბიუჯეტის დანერგვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, გარკვეული ხარვეზები მაინც არსებობს, კერძოდ:

- **არ მუშაობს „კონტაქტების“ ფანჯარა და ასევე სერვისების გრაფები ცარიელია და მათზე შესაბამისი ინფორმაცია არ იძებნება.**
- **მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არ იძებნება მერიის სამსახურების მონიტორინგის ფორმები, ვადები და ანგარიშები.**

ეფექტიანობა

იმერეთის რეგიონი

ვანის მუნიციპალიტეტი

მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ მუნიციპალიტეტში შეხვედრების დაგეგმვა შესაძლებელია მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერთან, თუმცა მუნიციპალიტეტის სხვა თანამდებობის პირებისა და მოსახლეობის შეხვედრების სტატისტიკა არ არსებობს.

წერილებსა და საჩივრებზე მოსახლეობა პასუხს კანონის მიხედვით დაწესებულ ვადებში იღებს (10 სამუშაო დღეში), თუმცა ხანდახან, წერილის სირთულიდან გამომდინარე, 10 დღე არ არის საკმარისი. ვანის მუნიციპალიტეტში მოქალაქეებს ელექტრონულად შეუძლიათ: წერილების, პეტიციების, საჩივრების მიწოდება მუნიციპალიტეტისთვის და ასევე მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან შეხვედრების დაგეგმვა.

მუნიციპალიტეტში თანამშრომლებს აქვთ განვითარების გეგმები, თუმცა ამ გეგმების განხორციელება არ ხდება. ტრენინგები მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს უტარდებათ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში. ტრენინგებთან დაკავშირებით მივლინების ბრძანებები მერიაში დაფიქსირდა - 35, საკრებულოში - 9. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამას სპონტანური ხასიათი აქვს. ტრენინგები მოხელეებს ჩაუტარდათ შემდეგ საკითხებში: კანონმდებლობით განსაზღვრული მოხელეთა შეფასების ფორმები; საზოგადოებასთან ურთიერთობა, საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიული საკითხები. წინა წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მოხელეთა საერთო რაოდენობის 14% დაესწრო ტრენინგებს.

გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით მერიაში კვირაში ერთხელ ტარდება საკოორდინაციო შეხვედრები სამსახურებისა და განყოფილების უფროსების მონაწილეობით.

ვანის მუნიციპალიტეტში მომსახურების შეფასებისათვის რაიმე ოფიციალური ფორმა შემუშავებული არ არის, თუმცა საკოორდინაციო შეხვედრებზე ხდება გაწეული მომსახურების შედეგების მოსმენა.

მონიტორინგით ვლინდება, რომ მუნიციპალიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარების

ფორმა არსებობს, ეს არის გუბერნატორის ადმინისტრაციასთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს ფორმატი, სადაც რეგიონის მუნიციპალიტეტის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები ერთმანეთს უზიარებენ არსებულ გამოცდილებას. თუმცა ქვედა დონის მენეჯმენტს ამის შესაძლებლობა არ აქვს.

მუნიციპალიტეტში არსებობს საკრებულოს სხდომის ჩატარების კვარტალური გეგმები, რომლებიც განისაზღვრება სამართლებრივი აქტით.

მერიის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით ყოველ ორშაბათს მერი ატარებს საკოორდინაციო შეხვედრას მერიის თანამდებობის პირებთან და სამსახურის უფროსებთან, სადაც ხდება განვლილ კვირაში განხორციელებული აქტივობების შეჯამება და ასევე არსებული პრობლემების განხილვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ოფიციალური ანგარიშგების ფორმები არ არსებობს.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემები:

- **ვანის მუნიციპალიტეტში მოქალაქეებთან შეხვედრების გეგმა არ არსებობს და ასევე ამ შეხვედრების სტატისტიკა არ იწარმოება. აღსანიშნავია, რომ მერთან შეხვედრების სტატისტიკა ვებგვერდზე არ არის ხელმისაწვდომი;**
- **მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მოხელეებს აქვთ განვითარების გეგმები, თვითმმართველობის დაკვეთით ტრენინგები არ ჩატარებულა;**
- **ვანის მუნიციპალიტეტში მომსახურების შეფასებისათვის რაიმე ოფიციალური ფორმა შემუშავებული არ არის;**
- **მუნიციპალიტეტის თანამშრომლებსა და სხვა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა არ არსებობს;**
- **ვანის მუნიციპალიტეტში მერიის საქმიანობის მონიტორინგის ოფიციალური ფორმა არ არსებობს და ასევე ვებგვერდზე სამსახურების მუშაობის ანგარიშები ხელმისაწვდომი არ არის.**

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

თერჯოლის მუნიციპალიტეტს აქვს დაფიქსირებული თანამდებობის პირებთან მოსახლეობის მიღების დღეების რაოდენობა და ასევე აქვს მოქალაქეთა მომსახურების სტატისტიკა, თუმცა ეს ინფორმაცია ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ არის. 2019 წელს აღრიცხულია 1334 მოქალაქის მომსახურება.

ელექტრონულად წერილების მიღების შესაძლებლობა აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტს, თუმცა მოქალაქეთა განცხადებების მხოლოდ 20% ელექტრონული ფორმით არის მიღებული. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ საკრებულოს საჯარო მოხელეებს შემუშავებული აქვთ განვითარების გეგმები, ხოლო მერიის თანამშრომლებს ეს გეგმები არ აქვთ; მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა მოხელეთა გადამზადებისთვის, 2019 წელს ტრენინგებისთვის გამოყოფილი თანხა არ იქნა ათვისებული. ძირითადად, მოხელეები სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს ესწრებიან, რასაც სპონტანური ხასიათი აქვს. 2019 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში 44 მოხელე დაესწრო ტრენინგს, სულ 24 ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგების თემატიკა იყო: გენდერული საკითხები, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა.

კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით მუნიციპალიტეტში ტარდება საკოორდინაციო შეხვედრები, სადაც მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირები და ქვედა რგოლის მენეჯერები ერთმანეთს წარუდგენენ შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციას, მსჯელობენ წარმატებულ პრაქტიკაზე და არსებულ პრობლემებზე. ამ შეხვედრებს სისტემატური ხასიათი აქვს. ასევე მონიტორინგის მიზნით ხელისუფლების წარმომადგენლები სიტუაციას ეცნობიან ადგილებზე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სხვა მუნიციპალიტეტებთან გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკა დანერგილი არ არის, თუმცა თვეში ერთხელ გუბერნატორის ადმინისტრაციასთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში იკრიბებიან რეგიონის მუნიციპალიტეტის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები და ერთმანეთს უზიარებენ არსებულ გამოცდილებას. თუმცა ქვედა დონის მენეჯმენტს ამის შესაძლებლობა არ აქვს.

კანონმდებლობის შესაბამისად, მერიასა და საკრებულოს შემუშავებული აქვთ თანამშრომელთა მუშაობის შეფასების გეგმა და კრიტერიუმები. დასაქმებულთა ქულობრივი შეფასება ხდება წელიწადში ოთხჯერ.

საკრებულოს სხდომების წლიური და თვის გეგმა არ აქვს, თუმცა საკრებულოს რეგლამენტის თანახმად განსაზღვრულია მისი მორიგი სხდომების დღეების რაოდენობა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემები:

- **თერჯოლის მუნიციპალიტეტში მერიის სამსახურების მონიტორინგის შესაბამისი ფორმა და ვადები დადგენილი არ არის და სამსახურების ანგარიშები არ ქვეყნდება ვებგვერდზე;**
- **მუნიციპალიტეტში სხვა მუნიციპალიტეტებთან პრაქტიკის გაზიარების პრაქტიკა არ არსებობს;**
- **ტრენინგების დაგეგმვა არ ხდება მუნიციპალიტეტის მოხელეების საჭიროების მიხედვით და მათ სწავლებას სპონტანური ხასიათი აქვს.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტში თვის მანძილზე მოქალაქეებთან შეხვედრების დღეების რაოდენობა მერიასა და საკრებულოში დადგენილია და შეადგენს ორ დღეს. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ორივე ორგანოსთან ურთიერთობა შესაძლებელია შეუზღუდავად. მოქალაქეთა წერილებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემის ვადა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ წესებს და წარმოადგენს 10 სამუშაო დღეს. მუნიციპალიტეტში თანამშრომელთა განვითარების გეგმები დამტკიცებულია მერის ბრძანებით მიხედვით და აღნიშნული გეგმის საფუძველზე 2019 წელს სულ 4 ტრენინგი ჩატარდა, გადამზადდა 12 საჯარო მოხელე, რაც საერთო რაოდენობის 12%-ს წარმოადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე აღნიშნული ინფორმაცია არ იძებნება. ტრენინგის თემები იყო: საზოგადოებასთან ურთიერთობა, იურიდიული საკითხები, მოხელის შეფასების წესები და კრიტერიუმები და შეფასების დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ტარდება შეხვედრები, სადაც მოხელეები ტრენინგების შედეგად მიღებულ ინფორმაციებსა და ცოდნას უზიარებენ თავიანთ კოლეგებს სხვადასხვა სამსახურიდან და განყოფილებიდან. თუმცა ეს ინფორმაცია ვებგვერდზე არ იძებნება.

გუბერნატორის ადმინისტრაციაში თვეში ერთხელ იმართება შეხვედრები, სადაც მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას სხვადასხვა საკითხისა და პრობლემის მოგვარების შესახებ. ასევე ამ ინფორმაციაზე რაიმე სახის დოკუმენტი ან ანგარიში არ არსებობს.

საკრებულოს სხდომების ჩატარების გეგმა არ აქვს, თუმცა მათი რეგლამენტით მორიგი სხდომების დღეები განსაზღვრულია.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- **საჯარო მოხელეების გადამზადების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არ იძებნება;**
- **მუნიციპალიტეტს არა აქვს შემუშავებული მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის ინსტრუმენტები;**
- **ვებგვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების შესახებ;**
- **მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არ იძებნება ანგარიში მუნიციპალიტეტში შესული წერილების, საჩივრებისა და პეტიციების შესახებ;**
- **მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სტრუქტურებს შორის კოორდინაციის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება ვებგვერდზე;**
- **რეგიონის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრების ოქმები და ანგარიშები არ არის განთავსებული მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე;**
- **მუნიციპალიტეტის სამსახურების მონიტორინგის ანგარიშები ხელმისაწვდომი არ არის.**

ხონის მუნიციპალიტეტი

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ხონის მუნიციპალიტეტში მერი და მოადგილეები მოქალაქეებს ოფიციალურად თვეში 8 დღის განმავლობაში ხვდებიან და მათ პრობლემებს ისმენენ. მოქალაქეთა წერილებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემის ვადები მუნიციპალიტეტში დაცულია და შეადგენს 3-დან 10 დღემდე. ასევე მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, წერილები და საჩივრები ელექტრონულად გააგზავნონ მუნიციპალიტეტში და ამავე ფორმით მიიღონ პასუხი.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ხონის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ჩატარდა 40 ტრენინგი, რომელთაც ჯამში მერიისა და საკრებულოს 80-მდე თანამშრომელი დაესწრო, რაც დასაქმებულების 56%-ს შეადგენს. ძირითადი თემები იყო: ელექტრონული საქმეთწარმოება, კომუნიკაცია, სოციალური სერვისების მიწოდება, მუნიციპალური ბიუჯეტი, სახელმწიფო შესყიდვები, ბუღალტერია, ქონების მართვა, კოოპერირება, სტატისტიკა და გენდერული საკითხები.

ხონის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში სამსახურების კოორდინაციისა და თანამშრომელთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით კვირაში ერთხელ იმართება სამუშაო შეხვედრები. სამუშაო შეხვედრას ესწრებიან სამსახურების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები და თანამდებობის პირები. შეხვედრებზე ხდება განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიშების გაზიარება და არსებულ პრობლემებზე მსჯელობა.

მონიტორინგს ხონის მუნიციპალიტეტში ახორციელებს შიდა აუდიტის სამსახური, თუმცა ცალკეული სამსახურები თავინთი მუშაობის მონიტორინგის ანგარიშებს არ ამზადებენ. ხონის მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე თვეში ერთხელ ესწრებიან გუბერნატორის ადმინისტრაციაში საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრას, სადაც მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას სხვადასხვა საკითხისა და პრობლემის მოგვარების შესახებ. თუმცა ამ ინფორმაციაზე რაიმე სახის დოკუმენტი ან ანგარიში არ იძებნება.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები:

- **ხონის საკრებულოს წევრებთან მოქალაქეების შეხვედრის დღეები განსაზღვრული არ არის;**
- **ხონის მოსახლეობას არ აქვს ელექტრონულად პეტიციის წარდგენის შესაძლებლობა;**
- **მოსახლეობას არ შეუძლია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრების ელექტრონულად დაგეგმვა;**
- **ხონის მუნიციპალიტეტის სამსახურების მონიტორინგის ანგარიშები არ იძებნება;**
- **მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის ფორმები.**

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ მოქალაქეებისა და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების შეხვედრის დღეები არ არის განსაზღვრული. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ინფორმაციით, მოქალაქეებს შეუძლიათ შეუზღუდავად მიმართონ სამუშაო დღეებში აღნიშნულ საჯარო მოხელეებს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დაცულია მოქალაქეთა წერილებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემის კანონით დადგენილი ვადები, რაც შეადგენს 10 სამუშაო დღეს. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს აქვთ განვითარების გეგმები, თუმცა ეს ინფორმაცია ვებგვერდზე არ არის ხელმისაწვდომი. რაც შეეხება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მერიას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ადგილობრივ თვითმმართველობათა ფინანსისტთა ასოციაციასთან, რომელიც მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებს უტარებს ტრენინგებს და უწევს კონსულტირებას. მათ 2019 წელს ჩაატარეს დაახლოებით 150 ტრენინგი, რომელთაც დაესწრო მოხელეთა საერთო რაოდენობის 70%. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემებზე: სკოლამდელი აღზრდა, რებრენდინგი, ანგარიშების მომზადება და ეფექტური პრეზენტაცია, პროექტის წერა და სხვა.

მერიის თანამშრომელთა კოორდინაციის და მიმდინარე ინფორმაციის გაცვლის მიზნით ტარდება შეხვედრები, სადაც თანამშრომლები პრეზენტაციის სახით წარადგენენ განხორციელებული აქტივობების ანგარიშებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ცოდნას.

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, 50-მდე საკოორდინაციო შეხვედრაა ჩატარებული. აღსანიშნავია, რომ საკრებულო რეგლამენტის შესაბამისად ვებგვერდზე აქვეყნებს კვარტალურ გეგმებს, რაც მოსახლეობას აძლევს საშუალებას, ჰქონდეს ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობის შესახებ.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემები:

- **ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოქალაქეებს არ შეუძლიათ ელექტრონულად წერილების, საჩივრებისა და პეტიციის წარდგენა;**
- **მუნიციპალიტეტში არ არის განსაზღვრული მოქალაქეებისა და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების შეხვედრის დღეები;**
- **მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს აქვთ განვითარების გეგმები, თუმცა ეს ინფორმაცია ვებგვერდზე არ არის ხელმისაწვდომი;**
- **მუნიციპალიტეტში ხორციელდება მოხელეთა შეფასება, თუმცა სამსახურების მიერ მონიტორინგის ანგარიშები არ მზადდება;**
- **მუნიციპალიტეტს არა აქვს შემუშავებული მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის ფორმები.**

ცაგერის მუნიციპალიტეტი

ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა მიღების დღეები მერიასა და საკრებულოში განსაზღვრული არ არის, მერის წარმომადგენლებსა და საკრებულოს დეპუტატებს აქვთ განსაზღვრული კვირის დღეები, როდესაც ხვდებიან მოსახლეობას. მერიასა და საკრებულოში მოქალაქეთა წერილებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემის ვადები დაცულია და შეადგენს საშუალოდ 5-10 სამუშაო დღეს. ასევე მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია 4 სახის სერვისის ელექტრონულად მიღება.

მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტარდება ტრენინგები, კერძოდ, საკრებულოში ჩატარდა 5 ტრენინგი: ადამიანური რესურსების მართვა; ეკონომიკური განვითარება; მუნიციპალური ფინანსები; მყარი ნარჩენების მართვა და საჯარო მმართველობა. 2019 წელს 27-მა საჯარო მოხელემ გაიარა ტრენინგები. სულ ტრენინგებს მერიაში მოხელეთა 35%; ხოლო საკრებულოში 40% დაესწრო.

საჯარო მოხელეების კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით მერიაში ყოველ ორშაბათს იმართება თათბირი. აღნიშნულ შეხვედრებზე მოხელეები აჯამებენ განვლილი კვირის შედეგებს და ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. ასევე თვეში ერთხელ საკოორდინაციო შეხვედრები ტარდება გუბერნატორის ადმინისტრაციაში, სადაც რეგიონის ოთხი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას სხვადასხვა საკითხისა და პრობლემის მოგვარების შესახებ. 2019 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი და მერის მოადგილეები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ლატვიაში, ცარნიკოვას მუნიციპალიტეტში. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. ხელმისაწვდომია საკრებულოს კვარტალური გეგმებიც.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემები:

- **მოქალაქეებს ელექტრონულად არ შეუძლიათ მერიაში შეხვედრაზე დარეგისტრირება;**
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს არ აქვთ განვითარების გეგმები;**
- **მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი მუნიციპალური სერვისების შეფასება;**
- **მერიის სამსახურებს არ აქვთ საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ანგარიშის ფორმა.**

გურიის რეგიონი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ მოსახლეობასთან შეხვედრების დრო განსაზღვრული აქვს ყველა თანამდებობის პირს და ასევე განსაზღვრულია დღეების რაოდენობაც. მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა წერილებსა და საჩივრებზე რეაგირების ვადა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ვადებს და შეადგენს 10 სამუშაო დღეს. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია სხვადასხვა ელექტრონული მომსახურების მიღება: წერილების გაგზავნა, პეტიციების წარდგენა, საკუთარი ხედვებისა და მოსაზრებების გაზიარება, პრობლემების დაფიქსირება, სიახლეების გამოწერა და სხვა. ასევე მოქმედებს მოქალაქეთა გამოკითხვის ფანჯარა.

მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ 2019 წელს ტრენინგები (მონაწილეობითი ბიუჯეტირება და სხვა) ჩაუტარდათ საკრებულოს წევრებსა და მერიის თანამშრომლებს. ტრენინგი გაიარა საკრებულოს ყველა წევრმა, საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა 70%-მა, ხოლო მერიის საჯარო მოხელეების 45%-მა.

თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით გასული წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან მხოლოდ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარეს, ისიც - არასამთავრობო ორგანიზაციის ინიცირებით. მონიტორინგის თანახმად, მუნიციპალიტეტში არსებობს სხდომების ჩატარების წლიური და კვარტალური გეგმა. სხდომები ტარდება რეგლამენტის შესაბამისად. ვებგვერდზე განთავსებულია ანონსები დაგეგმილი სხდომების თაობაზე და ასევე ხელმისაწვდომია ოქმებიც.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დადგენილია მერიის სამსახურების საქმიანობის შესწავლის ვადები და ფორმა. მათ შორის - მერიის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი; ასევე მერიის საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მხარდაჭერა და სხვა მექანიზმები.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები:

- **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოქალაქეს ვებგვერდის საშუალებით არ აქვს შეხვედრაზე დარეგისტრირების შესაძლებლობა;**

- **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი თანამშრომლებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, როგორებიცაა: ვორკშოპები, ტრენინგები, ინფორმაციის შიდა გაცვლის სხვა მექანიზმები;**
- **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არ არის შემუშავებული მუნიციპალური მომსახურების შეფასების ფორმები.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქალაქეებისთვის განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან შეხვედრის დღეები. 2019 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში 4 000-ზე მეტ მოქალაქეს გაეწია მომსახურება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საკრებულოს წევრებს აქვთ მოქალაქეთა მიღების და შეხვედრის გრაფიკები, რომლებიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში საინფორმაციო დაფაზე. მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა წერილებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემის ვადები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ვადებს და შეადგენს 3-10 სამუშაო დღეს. მოქალაქეს აქვს საშუალება, ინფორმაცია მიიღოს როგორც ონლაინ რეჟიმში, ასევე პირდაპირი წესითაც.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაინერგა ადგილობრივ მოხელეთა შეფასების სისტემა. მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები სისტემატურად გადიან ტრენინგებს. 2019 წელს ტრენინგები ჩატარდა ექვსი მიმართულებით: კომუნიკაცია და ღონისძიებების მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი, პროექტების მართვა, ეთიკა საჯარო სამსახურში, ადამიანური რესურსების მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა. ტრენინგები ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, შეზღუდვების გარეშე. გადამზადება გაიარა თანამშრომელთა 85%-მა, სულ 170 ადამიანმა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია პარტნიორულ ურთიერთობაშია მეზობელ - ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებთან. ოზურგეთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მრავალმხრივ თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ოზურგეთში არის საკრებულოს სხდომების ჩატარების ერთი წლის გეგმა, რაც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.

მონიტორინგით გაირკვა, რომ განსაზღვრულია მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები. სამსახურების საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიური და კვარტალური, ასევე ყოველწლიური ანგარიშების საშუალებით, რომლისთვისაც არსებობს სპეციალური ფორმა და განსაზღვრული ვადა.

მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი პრობლემები:

- **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არ არის შემუშავებული თანამშრომელთა განვითარების გეგმები.**

ინკლუზიურობა

იმერეთის რეგიონი

ვანის მუნიციპალიტეტი

ვანის მუნიციპალიტეტის ინკლუზიურობის მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ რიგი საკითხები მოგვარებული აქვს მუნიციპალიტეტს, თუმცა არის თემები და მიმართულებები, რომლებზეც უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტმა, რათა უზრუნველყოს ყველა მოწყვლადი ჯგუფისთვის მუნიციპალურ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.

მუნიციპალიტეტის შენობის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ პანდუსების საკითხი მხოლოდ ნაწილობრივ არის მოგვარებული, პანდუსი მხოლოდ შენობის შესასვლელშია მოწყობილი, ხოლო შენობის შიგნით შშმ პირებისთვის თითქმის შეუძლებელია გადაადგილება.

მონიტორიგის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებული განცხადებები ვაკანსიის შესახებ რაიმე სახის დისკრიმინაციულ შეზღუდვებს არ შეიცავს. მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების რაოდენობა 31%-ია. რაც შეეხება თანამდებობის პირებს, მათში ქალი არ არის.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ თარჯიმნის მომსახურების სერვისი მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. მუნიციპალიტეტში გამოყოფილია სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან საკონტაქტო პირი. ის უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის. ვანის მუნიციპალიტეტში შექმნილია მრჩეველთა და გენდერული საბჭოები, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით რამდენიმე სამუშაო ჯგუფი.

მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები:

- **მუნიციპალიტეტის შენობის კონსტრუქცია ართულებს შენობაში შშმ პირების გადაადგილების შესაძლებლობას;**
- **მუნიციპალიტეტში თანამშრომელთა ინფორმირებულობა ინკლუზიური მართვის ხელშემწყობი საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ დაბალია; მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები არ იცნობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას;**
- **მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული რაიმე ნორმატიული აქტი/რეგულაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას;**
- **მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი მოწყვლადი ჯგუფებისთვის სხვადასხვა სერვისის მიწოდების ხელშემწყობი ღონისძიებები;**
- **მუნიციპალიტეტს არ აქვს გენდერული ბიუჯეტი.**

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის შენობებზე მოწყობილია პანდუსები. მუნიციპალი-

ტეტის ვებგვერდზე განთავსებული განცხადებები ვაკანსიების შესახებ რაიმე სახის დისკრიმინაციულ შეზღუდვებს არ შეიცავს. თერჯოლის თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი უდრის 29%-ს, ხოლო ხელმძღვანელი თანამდებობების 12% უკავიათ ქალებს. მიუხედავად იმისა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტს მრავალფეროვანი სოციალური პროგრამები გააჩნია (14 პროგრამა), მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობისთვის ცალკე გამოყოფილი საკონტაქტო პირი არ ჰყავს.

მუნიციპალიტეტის მერიაში გამოყოფილია გენდერზე პასუხისმგებელი პირი, საკრებულოში არსებობს გენდერული საბჭო, რომელსაც შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა და ეტაპობრივად ხდება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ასევე მერიისა და საკრებულოს რამდენიმე თანამშრომელს გავლილი აქვს ტრენინგები: გენდერული თანასწორობის შესახებ და გენდერული, სოციალური, პროგრამული და სამოქალაქო ბიუჯეტირების შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ინფორმირებულნი არიან ინკლუზიური მართვის ხელშემწყობი საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ, თუმცა მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული რაიმე ნორმატიული აქტი/რეგულაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას; ასევე მოხელეებს არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია გენდერული ბიუჯეტის შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მუშაობს მრჩეველთა და გენდერული საბჭოები.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები:

- **მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი მუნიციპალიტეტს არ ჰყავს;**
- **მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული რაიმე ნორმატიული აქტი/რეგულაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას (მაგ., შშმ პირთა საბჭო);**
- **საჯარო მოხელეებს არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია გენდერული ბიუჯეტის შესახებ;**
- **სამოქალაქო ორგანიზაციებთან საკონტაქტო პირი თერჯოლის მუნიციპალიტეტში არ არის.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ ინკლუზიურობის კუთხით მუნიციპალიტეტში გარკვეული ღონისძიებები გატარებულია, თუმცა არსებობს რიგი ხარვეზები. გარე დაკვირვებით დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტის შენობას აქვს მოწყობილი პანდუსები, თუმცა შენობის შიგნით შშმ პირების გადაადგილება რთულდება. მუნიციპალური ვაკანსიების ტექსტების ანალიზით გამოვლინდა, რომ ტექსტები რაიმე სახის დისკრიმინაციულ შეზღუდვებს არ შეიცავს. თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი უდრის 37%-ს, ხოლო ხელმძღვანელი თანამდებობების 2,9% უკავიათ ქალებს. მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს აქვთ ინფორმაცია ინკლუზიური მართვის ხელშემწყობი კანონმდებლობის შესახებ და მათი მუშაობა აღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ხორციელდება.

მუნიციპალიტეტში შექმნილია სამოქალაქო საბჭო, ასევე არსებობს მრჩეველთა, შშმ პირთა

და გენდერული თანასწორობის საბჭოები. მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს გენდერული თანასწორობის დებულება. მონიტორინგიდან გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტში გენდერული ბიუჯეტი არსებობს, თუმცა კომპეტენტური ცოდნა მისი ფუნქციონირების შესახებ არ აქვთ. ასევე მუნიციპალიტეტში არსებობს სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის საკონტაქტო პირი.

მუნიციპალიტეტში შექმნილია შშმ პირთა საბჭო, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას.

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზები:

- **მუნიციპალიტეტში თარჯიმნის მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი;**
- **მონიტორინგით დასტურდება, რომ შშმ პირებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი მუნიციპალიტეტში არ არის.**

ხონის მუნიციპალიტეტი

ხონის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეთა ვაკანსიების განცხადებები რაიმე სახის დისკრიმინაციულ მიდგომებს არ შეიცავს. ხონის მუნიციპალიტეტში საჯარო სექტორში დასაქმებულთა შორის 63% ქალია, ხოლო წამყვან პოზიციაზე დასაქმებულთა შორის 51%-ია ქალი.

ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში მოწყობილია სივრცე, მოქალაქეთა მისაღები, სადაც მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს სპეციალური მომზადების მქონე პირი უწევს კონსულტირებას და დახმარებას. მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს აქვთ ცოდნა ინკლუზიური მართვის ხელშემწყობი კანონმდებლობის შესახებ და მათი მუშაობა აღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ხორციელდება. ასევე აღსანიშნავია, რომ მერია ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ნებისმიერი დაინტერესებული მხარის და განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ჩართვას უწყობს ხელს. მუნიციპალიტეტში შემუშავებულია გამჭვირვალობის ხელშეწყობის დოკუმენტი, რომლის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები აღნიშნული მიმართულებით.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტში მოხელეებს აქვთ ცოდნა გენდერული ბიუჯეტირების შესახებ. ასევე მუნიციპალიტეტში არსებობს საჯარო მოხელე, რომელიც პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობაზე. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შშმ პირთა საბჭო, მერის მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო და სოციალურ სამსახურთან არსებული მრჩეველთა საბჭო.

მონიტორინგის დროს გამოკვეთილი ხარვეზები:

- **ხონის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ შენობაზე პანდუსები მოწყობილი არ არის;**
- **მერიასა და საკრებულოში თარჯიმნის მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის;**
- **ხონის მუნიციპალიტეტისთვის გამოწვევად რჩება ბენეფიციარების საჭიროებების კვლევა და მონაცემთა ბაზის ფორმირება.**

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ საჯარო მოხელეების 50% ქალია, ხოლო თანამდებობის პირებს შორის 20%-ია ქალი. მუნიციპალიტეტის შენობას პანდუსი აქვს, ასევე შშმ პირების ინტერესების დაცვისა და მათთვის მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილია შშმ პირთა საბჭო. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს აქვთ ცოდნა ინკლუზიური მართვის ხელშემწყობი კანონმდებლობის შესახებ და მათი მუშაობა აღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ხორციელდება. მუნიციპალიტეტს ჰყავს სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. ფუნქციონირებს გენდერული საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების და გაუქმების ჯგუფი, ქონების განკარგვის საკითხების შემსწავლელი საბჭო და სოციალურ საკითხთა შემსწავლელი კომისია.

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზები:

- **მუნიციპალიტეტს არ ჰყავს თარჯიმანი;**
- **შშმ პირებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი მუნიციპალიტეტში არ არის, თუმცა არის სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი;**
- **მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს არ აქვთ გენდერული ბიუჯეტის შესახებ ცოდნა და გამოცდილება.**

ცაგერის მუნიციპალიტეტი

ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ ინკლუზიურობის კუთხით მუნიციპალიტეტში გარკვეული ღონისძიებები გატარებულია, თუმცა არსებობს რიგი ხარვეზები. გარე დაკვირვებით დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტის შენობას არ აქვს მოწყობილი პანდუსები. მუნიციპალური ვაკანსიების ტექსტების ანალიზით გამოვლინდა, რომ ისინი რაიმე სახის დისკრიმინაციულ შეზღუდვებს არ შეიცავს. თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი უდრის 40%-ს, ხოლო ხელმძღვანელ თანამდებობებზე საკრებულოში 8% ქალია და მერიაში - 17%. მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს აქვთ ინფორმაცია ინკლუზიური მართვის ხელშემწყობი კანონმდებლობის შესახებ და მათი მუშაობა აღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ხორციელდება.

მუნიციპალიტეტში შექმნილია სამოქალაქო საბჭო, ასევე არსებობს მრჩეველთა და გენდერული თანასწორობის საბჭოები. მერის ბრძანებით შექმნილია საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც შედიან მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები, აღნიშნული საბჭო უზრუნველყოფს შშმ პირების ინტერესების დაცვას და მათი საჭიროებების გათვალისწინებას მუნიციპალური პროგრამის განხორციელების დროს. შშმ პირებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი გამოყოფილია როგორც მერიაში, ასევე საკრებულოში. საკრებულოში შექმნილია შშმ პირებთან მომუშავე კომისია და შესაბამისი კანონმდებლობის ცოდნა მათი მხრიდან უზრუნველყოფილია. საკრებულოში შემუშავებულია დებულება, რომელიც არეგულირებს ადგილობრივ

დონეზე მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე მერიაში გამოყოფილია სამოქალაქო ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები:

- **მუნიციპალიტეტის შენობას არ აქვს პანდუსი;**
- **საფინანსო სამსახურის წარმომადგენლებს არ აქვთ გენდერული ბიუჯეტირების შესახებ სრულყოფილი ცოდნა.**

გურიის რეგიონი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ მუნიციპალიტეტი ცდილობს ინკლუზიური მართვის მეთოდების დანერგვას, თუმცა გარკვეული ხარვეზები ამ მიმართულებით არსებობს.

მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა შორის მერიაში 54% ქალია, ხოლო საკრებულოში - 78%. აქედან თანამდებობის პირებს შორის მერიაში - 45%, ხოლო საკრებულოში - 20%. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ინფორმაცია ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ არის, ვებგვერდზე „სტატისტიკის“ განყოფილებაში ინფორმაცია არ იძებნება. მუნიციპალიტეტში პერიოდულად არის არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურების საჭიროება, რაც უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის მიერ. მონიტორინგით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტში მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი გამოყოფილია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე მოცემულია საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, თუმცა ინფორმაცია თავად ამ საბჭოს წევრების შესახებ და ასევე საბჭოს დებულება ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ არის. შშმ პირთა, დევნილთა, მარტოხელა მშობლების, ხანდაზმულების, ძალადობის მსხვერპლი ქალების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება განსაზღვრულია საკრებულოს მიერ დამტკიცებულ სოციალურ პროგრამებში. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, შშმ პირთა საბჭო, რჩეულთა საბჭო. საინტერესო საქმიანობას ახორციელებს ლანჩხუთის ახალგაზრდული საკრებულო, თუმცა ვებგვერდი ნაკლებად ასახავს მის საქმიანობას.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები:

- **ვებგვერდზე არ არის ინფორმაცია ახალგაზრდული საბჭოს შესახებ;**
- **მერიაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი არ არის გამოყოფილი;**
- **მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არ დევს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გეგმა;**

- **ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ მუნიციპალიტეტს მიღებული არ აქვს;**
- **ინფორმაცია შშმ პირთა საბჭოს წევრების შესახებ და ასევე საბჭოს დებულება ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ არის;**
- **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს არ აქვთ ცოდნა ინკლუზიური მართვის ხელშემწყობი კანონმდებლობის შესახებ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის შენობას აქვს მხოლოდ გარე პანდუსი და ეტლით მოსარგებლეთათვის გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ პირველ სართულზე. მერიაში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა 38%-ს შეადგენენ ქალები, საკრებულოში კი 45%-ია ქალი. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე იძებნება გენდერის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები, როგორც მთლიანად, ასევე თანამდებობის პირთა მიხედვითაც: მერიის 13 თანამდებობის პირიდან ქალი არის ერთი, საკრებულოს 13 თანამდებობის პირიდან ქალი ასევე არის ერთი. ოზურგეთის მერიასა და საკრებულოში არის სხვადასხვა საბჭო: მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, შშმ პირთა საბჭო, რჩეულთა საბჭო, ახალგაზრდული საკრებულო და ახალგაზრდული გენდერული საბჭო. მათ უმეტესობაზე ინფორმაცია ვებგვერდზე არ არის. მონიტორინგით გაირკვა, რომ ოზურგეთში მცხოვრები არაქართულენოვანი მოქალაქეებისათვის თარჯიმნის მომსახურება ხელმისაწვდომია. მუნიციპალიტეტს ეს სერვისი არ აქვს, მაგრამ თანამშრომლობს სამხარეო ადმინისტრაციასთან, სადაც ეს მომსახურება არსებობს. მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. მერიაშიც და საკრებულოშიც გამოყოფილია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი.

ვებგვერდზე არის განყოფილება „მნიშვნელოვანი მუნიციპალური სერვისები“, სადაც მითითებულია „შშმ პირთა ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“, ასევე მომსახურება სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მაგ.: „ბავშვებისა და მოხუცებისათვის სპეციალური ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“, „უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის სერვისი“, სადაც საძიებო სიტყვის შესაბამისი ჩანაწერები არ მოიპოვება.

გენდერული ბიუჯეტირების შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით 2020 წელს დაგეგმილია სპეციალური ტრენინგები.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები:

- **ვებგვერდზე მოცემულ გრაფაში - „შშმ პირთა ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“ - ინფორმაცია არ იძებნება;**
- **მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე არ მოქმედებს ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ.**

შეჯამება

გამჭვირვალობა

მონიტორინგის შედეგად მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობის კუთხით შემდეგი საერთო პრობლემატიკა გამოვლინდა:

- მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებგვერდებზე ყველა საჭირო დოკუმენტაცია არ არის ხელმისაწვდომი;
- არც ერთ მუნიციპალიტეტს არ აქვს ანტიკორუფციული გეგმა;
- ასევე არც ერთ მუნიციპალიტეტს არ აქვს ეთიკის კოდექსი;
- უმრავლეს მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტირება და გენდერული ბიუჯეტი.

ეფექტიანობა

მონიტორინგის შედეგად მუნიციპალიტეტების ეფექტიანობის კუთხით შემდეგი საერთო პრობლემატიკა გამოვლინდა:

- მუნიციპალიტეტების ვებგვერდები არ იძლევა მუნიციპალური სერვისების ელექტრონულად მიღების შესაძლებლობას;
- უმეტესი მუნიციპალიტეტების თანამშრომლებს არ აქვთ განვითარების გეგმები და მათი პროფესიული **გადამზადება სპონტანურად ხორციელდება,** არ არსებობს მოხელეების **პროფესიული განვითარების მწყობრი პოლიტიკა;**
- მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არ ქვეყნდება სამსახურების მონიტორინგის ანგარიშები;
- მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის მიერ მუნიციპალური სერვისების შეფასების პრაქტიკა არ არსებობს.

ინკლუზიურობა

მონიტორინგის შედეგად მუნიციპალიტეტების ინკლუზიურობის კუთხით შემდეგი საერთო ხარვეზები დაფიქსირდა:

- მუნიციპალური შენობების შიდა არე არ არის შშმ პირებისთვის ადაპტირებული;
- უმეტეს მუნიციპალიტეტში არ არსებობს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის მექანიზმები და სრულყოფილად არ ხორციელდება მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტებში დაბალია გენდერული ბიუჯეტირების შესახებ ცოდნა და პრაქტიკა;
- ხშირ შემთხვევაში ვებგვერდზე არსებული ფარჯრები ცარიელია და რთულდება მუნიციპალიტეტის სტატისტიკისა და სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოძიება.

რეკომენდაციები

პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში 8 მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისათვის მიზანშეწონილია, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიმართონ როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებას არსებული პრობლემების მოგვარების წინადადებებით.

მონიტორინგის ანგარიშების ანალიზისას იკვეთება ცვლილებების დაგეგმვისა და განხორციელების საჭიროება როგორ ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე.

მუნიციპალურ დონეზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით შემდეგი საკითხების დღის წესრიგში დაყენება და განხილვა:

- **მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მმართველობის გაძლიერება** - დღეს, კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, განსაკუთრებით ნათლად გამოჩდა ელექტრონული მმართველობის საჭიროება. შესაბამისად, სასურველია, ადგილობრივმა საზოგადოებამ მუნიციპალიტეტებს მიაწოდოს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და სერვისების ჩამონათვალი, რაც მუნიციპალიტეტის ვებგვერდით ხელმისაწვდომი გახდება;
- **მუნიციპალიტეტებში ანტიკორუფციული გეგმისა და ღონისძიებების შემუშავება** - მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით დაინერგოს მუნიციპალიტეტების ანტიკორუფციული ღონისძიებების ქმედითი მექანიზმები;
- **მუნიციპალიტეტებში შეიქმნას საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სტრატეგიები** - ეფექტური და ეფექტიანი მმართველობა შესაძლებელია მიღწეულ იქნას პროფესიული საჯარო მოხელეების მიერ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტები უნდა ზრუნავდნენ თავიანთი მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე, რაც არის ეფექტური და ეფექტიანი მომსახურების გარანტი;
- **მუნიციპალიტეტებში დაინერგოს მუნიციპალური სერვისების შეფასების მექანიზმები** - დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საჯარო ხელისუფლების ეფექტიანობა, მისი მომსახურების შედეგების გაზომვა და შეფასება, რაც შესაძლებელია შესაბამისი ინდიკატორების შემუშავებითა და დანერგვით. უკუკავშირი მოსახლეობასთან და მისი ინფორმირება მომსახურების შედეგების შესახებ კარგი მმართველობის აუცილებელი პირობაა.

იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტებმა უპასუხონ დღეს არსებულ გამოწვევებს, მნიშვნელოვანია ცენტრალური ხელისუფლების მწყობრი პოლიტიკა დეცენტრალიზაციის გაღრმავებისა და გაძლიერების კუთხით.

დღეს ხელისუფლებამ აღიარა ძლიერი თვითმმართველობის აუცილებლობა ქვეყნის განვითარების პროცესში და შესაბამისი ნაბიჯები გაწერა დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში. თუმცა იმისთვის, რომ დეკლარირებული პრიორიტეტები რეალობად იქცეს, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების მჭიდრო თანამშრომლობა. იმისთვის, რომ მუ-

ნიციპალურ დონეზე ეფექტურად განხორციელდეს სასურველი ცვლილებები, აუცილებელია ცენტრალური ხელისუფლების მწყობრი ნაბიჯები შემდეგი მიმართულებით:

- **მუნიციპალური კანონმდებლობის ჰარმონიზაცია -** მუნიციპალიტეტების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარგობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- **მუნიციპალიტეტების ავტონომიურობის გაძლიერება -** მეტი უფლებამოსილების მინიჭება და შესაბამისი რესურსების გადაცემა, რათა მუნიციპალიტეტებმა ადგილზე დამოუკიდებლად მოაგვარონ არსებული პრობლემები;
- **კოორდინაციის გაძლიერება მუნიციპალიტეტებთან -** დეცენტრალიზაციის სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კოორდინირებული მმართველობა. დღეს არსებული გამოწვევების საპასუხოდ მნიშვნელოვანია გაძლიერდეს კოორდინაცია როგორც ცენტრალურ ხელისუფლებასა და მუნიციპალიტეტებს შორის, ასევე ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯარო ხელისუფლებას შორის. მნიშვნელოვანია რეგიონალური ფორუმების დამკვიდრება, სადაც საჯარო ხელისუფლება: ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად იმსჯელებს ადგილობრივ პრობლემებზე და ერთობლივად დაგეგმავს პრობლემების ეფექტიანად გადაჭრის გზებს.

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

ვანის მუნიციპალიტეტი

მოამზადა ხათუნა გოგუამ

ფონდი „სოხუმის“ კონსულტანტი

ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში

შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად,[8] ქვეყანამ თავის თავზე სიღრმისეული საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება აიღო, რაც გამოიხატება ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ინკლუზიური, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნაში, რომლის განხორციელება ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2015 წელს, აქტიურ ფაზაში შევიდა.

რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020,** რომლის ჯეროვნად შესრულებისთვის, 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამი ეროვნული სამოქმედო გეგმა იქნა დამტკიცებული.[9] რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა** (PAR), რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა. საგულისხმოა, რომ ადგილებზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა როგორც რეფორმის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, ასევე მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში.

PAR-ის ახალ, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში **ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით გათვალისწინებულია** ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძ-

[8] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4 ხელმისაწვდომია

[9] საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020, გვ. 4, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/72422–72422–512614–სამოქმედოგეგმა2019-2020–აღწერილობა.pdf

ლიერების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებდა მოქალაქეების მიერ დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე, საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის კომუნიკაციის პროცესს და უზრუნველყოფდა მათ აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მომსახურების დანერგვა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო მოსახლეობის მონაწილეობა და ანგარიშვალდებულების არსებული პრაქტიკა საკმაოდ სუსტია. 2019 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით,[10] მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი 32%-ს შეადგენდა, ხოლო საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის საშუალება მუნიციპალური ვებგვერდების 20%-ს გააჩნდა.

ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას რეგიონებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს მოშორებულ ლოკაციებში, მნიშვნელოვნად აფერხებს ინტერნეტის მიწოდების ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, ინტერნეტ მომსახურების მაღალი საფასური, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ტექნოლოგიების მოხმარების სუსტი უნარ-ჩვევები. რეფორმის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების და, ზოგადად, მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა და ჩართულობა მონიტორინგის განხორციელების პროცესში დამატებით წინაღობას ქმნის საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით გატარებისთვის. შესაბამისად, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, მათი აქტიური ჩართულობით პოლიტიკური დიალოგის წამოწყება და რეფორმის მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს.

მონიტორინგის მიზანი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ხელშეწყობისთვის, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“. აღნიშნული პროექტი გამიზნულია, დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნის და გაძლიერების გზით, უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა და კონტროლი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის 8 მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესზე.

[10] ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, „საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება“ 2019, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload/IDFI–2019/General/LSGINDEX–Report–GEO.pdf

<u>მონიტორინგის მიზანია</u> ადგილობრივი ხელისუფლების **ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის** ხარისხის შესწავლა, ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციასა და მიგნებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი - ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, 2020 წლის 27 იანვრის-28 თებერვლის პერიოდში. მონიტორინგის პროცესში აქტიურად ჩაერთო პროექტის ფარგლებში 2019 წლის ოქტომბერს ჩამოყალიბებული „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი“, რომელმაც გააერთიანა სამიზნე რეგიონებში სხვადასხვა პროფილის და განსხვავებულ თემატურ მიმართულებებზე მომუშავე 16 საზოგადოებრივი ორგანიზაცია[11].

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა პროექტის პარტნიორების მიერ წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმის და კითხვარების საფუძველზე, რომელიც შეფასების 32 სხვადასხვა კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა (იხ. დანართი „კითხვარი“). რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილებზე დაკვირვების საფუძველზე. ინფორმაციის მოძიების და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ყველა ოფიციალური ონლაინ წყარო, რაც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

მონიტორინგის შედეგების ანალიზი

წინამდებარე ანგარიში ასახავს **ვანის** მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი მსგავსი მონიტორინგი, რაც საფუძვლად დაედება ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის რეალიზების მონიტორინგი **ვანის მუნიციპალიტეტში** 2020 წლის 1 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა და მას აწარმოებდა ორი ორგანიზაცია: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თანადგომა“** და **ა(ა)პი „მოქალაქეთა აქტიურობა ეფექტიანი მმართველობისა და სამართლიანობისათვის.“** მონიტორები სარგებლობდნენ წინასწარ შემუშავებული სპეციალური კითხვარით.

[11] სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://csoforum.ge/index.php/ka/about-forum-ka-1

ინფორმაციის შესაგროვებლად შესწავლილ იქნა ვანის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ელექტრონული გვერდები, ფეისბუქგვერდები. ასევე გამოყენებულ იქნა პირისპირ შეხვედრები სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებთან - როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო სისტემაში.

მონიტორინგში ჩართული გუნდი გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ვანის მუნიციპალიტეტის მერიას, საორგანიზაციო სამსახურის ხელმძღვანელს, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის თანამშრომლებს, საფინანსო სამსახურს, HR განყოფილების უფროსს, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს, საკრებულოს აპარატის უფროსს, საკრებულოს დეპუტატებს.

მონიტორინგის ინდიკატორები სამ ძირითად ელემენტზე იყო გათვლილი:

1. გამჭვირვალობა

2. ეფექტიანობა

3. ინკლუზიურობა

გამჭვირვალობა

- რამდენად გამჭვირვალეა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესები ვაკანსიის გამოცხადების, განცხადებების მიღების, მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით. ვებგვერდზე განთავსებულია თუ არა ორგანიზაციული სტრუქტურა და საჯარო მოხელეთა საკონტაქტო ინფორმაციები; არსებობს თუ არა ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების წარდგენის მექანიზმი; იტვირთება თუ არა მუნიციპალიტეტის ანგარიშები; დამტკიცებული ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშები და რა პერიოდულობით - ამ საკითხებზე შეგროვებული ინფორმაციები ხაზს უსვამს მუნიციპალიტეტის მუშაობის გამჭვირვალობას. მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი მცირე ხარვეზების აღმოფხვრა, რომელიც საბოლოოდ რეკომენდაციებში აისახება, ხელს შეუწყობს გამჭვირვალობის პროცესის გაძლიერებას თვითმმართველობაში.

კითხვაზე, **ხელმისაწვდომია თუ არა ონლაინ განცხადებები ვაკანსიების შესახებ?** - მონიტორინგის პროცესში ინფორმაციის მისაღებად შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი (www.hr.gov.ge), სადაც განთავსებულია ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 22 იანვრის ბრძანება N20 114 ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ.

ამავე ვებგვერდიდან მიღებულ მასალაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ **დაცულია ვაკანსიის გამოცხადების ვადები** და მითითებული 10-დღიანი ვადა ზუსტად არის დაცული. აღნიშნულ ინფორმაციას საფუძვლად უდევს დოკუმენტი „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილება.

- განთავსებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ორგანიზაციული სტრუქტურა, საკონტაქტო პირებით, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით - მოკვლეულ ინფორმაციას საფუძვლად უდევს მუნიციპალიტეტის ვებგვერდი www.vani.gov.ge, რომლის შესწავლით დასტურდება, რომ ორგანიზაციული სტრუქტურა, საკონტაქტო პირების, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტების მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით განთავსებულია ვებგვერდზე.

მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურას, თანამდებობის პირების და სტრუქტურული ერთეულების, მერის წარმომადგენლის უფლებამოსილებებსა და მუშაობის ორგანიზაციას საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრავს.

- არსებობს თუ არა ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების წარდგენის მექანიზმი/ფორმა? - მუნიციპალიტეტის ვებგვერდის (www.vani.gov.ge) მიმოხილვით კარგად ჩანს, რომ მითითებულია იმ საკონტაქტო პირების სატელეფონო ნომრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მიიღებენ საჩივარს ან წინადადებას. საკრებულო: 595 30 80 71; მერია: 599 40 92 91. აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვნად ეხმარება მოქალაქეთა თანამშრომლობას საჯარო სტრუქტურებთან.

გამჭვირვალობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ელემენტია **ფინანსური ანგარიშების, დამტკიცებული ბიუჯეტის, ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები, წლიური ანგარიში, შესყიდვის გეგმის და ანგარიშის** ონლაინ ხელმისაწვდომობა. ამ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად ისევ მუნიციპალიტეტის ვებგვერდი www.vani.gov.ge, ასევე საკანონმდებლო „მაცნეს“ ვებგვერდი www.macne.gov.ge იქნა გამოყენებული. მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2020 წლის ბიუჯეტი ატვირთულია როგორც მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, ასევე საქართველოს საკანონმდებლო „მაცნეში“ , ამავე გვერდებზე იძებნება შესყიდვების გეგმა და ანგარიში.

ბიუჯეტისგან **<u>განსხვავებით, 3, 6 და 9 თვის, წლიური ანგარიში ატვირთული არ არის. ამ საკითხზე არანაირი ონლაინ ინფორმაცია არ მოიპოვება.</u>**

თუმცა ინფორმაციები მერიის და საკრებულოს მუშაობის შესახებ, განხორციელებულ საქმიანობებზე, პროექტებზე, სხვადასხვა პროგრამაზე, აქტივობაზე ყოველდღიურად ქვეყნდება საკრებულოს და მერიის ფეისბუქგვერდებზე. ნიუსს თან ახლავს ფოტომასალა ან ვიდეოსიუჟეტი, რაც გამჭვირვალობის თვალსაზრისით წარმოქმნილ ხარვეზს მთლიანად ავსებს.

მოიცავს თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი საჯარო ინფორმაციას? იძებნება თუ არა თანამდებობის პირების ბიოგრაფიები; საკრებულო/მერიის სხდომების დღის წესრიგი; საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები; დადგენილებები; სხვადასხვა დეპარტამენტის/განყოფილების ანგარიშები? - საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.vani.gov.ge განთავსებულია თანამდებობის პირების ბიოგრაფიები; ველში - ხელისუფლება - მერია ან საკრებულო - არის მონაცემები სხვადასხვა თანამდებობის პირზე, სტრუქტურის შესაბამისად.

საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, დადგენილებები, **<u>სხვადასხვა სამსახურის, დეპარტამენტის, განყოფილების ანგარიშები გამოქვეყნებული არ არის</u>** - შესაბამისად, ამ ტიპის საჯარო ინფორმაციები ელექტრონულ ვერსიაში არ იძებნება.

გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანი სეგმენტია, მოქალაქეებს ჰქონდეთ ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეხვედრის, კომუნიკაციის საშუალება. ინფორმაციის მისაღებად რამდენად აქვთ **მოქალაქეების მიღების/ღია კონსულტაციების საათები: მერს; მერის მოადგილეს; საკრებულოს თავმჯდომარეს; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს; დეპუტატებს; დეპარტამენტების მოადგილეებს და გამოქვეყნებულია თუ არა ეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე? -** მიმოხილულ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი www.vani.gov.ge: ქალაქის მერთან მოქალაქეთა მიღების დღის და საათების შესახებ ინფორმაცია ატვირთულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. მაგრამ არც ერთ ველზე **<u>არ იძებნება ინფორმაცია მიღებული განცხადებების ან მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ.</u>**

მოქალაქეების მიღების დღე განსაზღვრული აქვს მუნიციპალიტეტის მერს - კვირაში ერთი

დღე. ინფორმაცია მერთან მიღების დღეების და საათების შესახებ განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, მერიის მისაღებში.

რაც შეეხება დანარჩენ საჯარო მოხელეებს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს და დეპუტატებს, ოფიციალური მიღების დღე დაწესებული არ აქვთ - აღნიშნული ინფორმაცია პირისპირ შეხვედრებიდან ირკვევა.

მომდევნო კითხვაზე, **აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს მონაწილეობითი ბიუჯეტი, სოციალური ბიუჯეტი, გენდერული ბიუჯეტი? -** ინფორმაციის მისაღებად მიმოხილულ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი www.vani.gov.ge, საქართველოს საკანონმდებლო „მაცნეს“ ვებგვერდი www.macne.gov.ge, ასევე გამოყენებულ იქნა ინტერვიუ მერიის ფინანსური სამსახურის წარმომადგენელთან.

მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ***ვანის მუნიციპალიტეტს მონაწილეობითი ბიუჯეტი არ აქვს.*** ამის პრაქტიკა არც არასოდეს ყოფილა. არა აქვს გენდერული ბიუჯეტიც. ბიუჯეტი პროგრამულია და შესაბამისობაშია ნორმატიულ დოკუმენტთან.

სოციალური ბიუჯეტი ატვირთულია ვებგვერდზე, საიდანაც ირკვევა, რომ ბოლო ცვლილება 2020 წლის ბიუჯეტში შეტანილია 2020 წლის 12 თებერვალს და ატვირთულია 14 თებერვალს. ვანის მუნიციპალიტეტის სოციალური ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებელი საერთო ბიუჯეტის 9.6%-ს შეადგენს.

- მიღებულია თუ არა მუნიციპალიტეტში ანტიკორუფციული ზომები? ხელმისაწვდომია თუ არა ვებგვერდზე?

მონიტორინგის შედეგად მიღებული მაჩვენებელი არის - არა! მუნციპალიტეტის მერიაში **ანტიკორუფციული გეგმა, დებულება, ფინანსური რეგულაციები, შესაბამისი ეთიკური ქცევის შესახებ დოკუმენტები არ არის** და, შესაბამისად, არც ონლაინ ინფორმაციები არსებობს ამ საკითხზე.

ეფექტიანობა

მუნიციპალიტეტის მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრა მონიტორინგის ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტია.

შესაბამისად, შეგროვებული ინფორმაციების საფუძველზე ირკვევა, რამდენად ხელმისაწვდომია თვითმმართველობაში არსებული სტანდარტები, მოქალაქეებთან ურთიერთობის ონლაინ ფორმები. რამდენი წერილი, პეტიცია, საჩივარია დარეგისტრირებული, თუ ქვეყნდება ამ საკითხებზე ინფორმაციები მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე.

მონიტორინგიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, **რამდენი დღეა გამოყოფილი თვის მანძილზე მერიაში, საკრებულოში, მოქალაქეებთან შეხვედრებისთვის** - ინფორმაციის მისაღებად გამოყენებულ იქნა ინტერვიუ საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსთან. მიღებული ინფორმაციის თანახმად, არსებობს გეგმური ვალდებულება, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის მერთან მიღების დღეების რაოდენობა თვის მანძილზე განისაზღვრება ოთხი დღით. თუმცა, საჭიროებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერი მოქალაქეებთან შეხვედრებს მართავს 15–20 დღე, რაც გეგმურ განაკვეთს მკვეთრად აღემატება.

მოქალაქეთა მიმართვიანობის აღრიცხვა ხდება მოქალაქეთა მიღების ჟურნალში, თუმცა მსგავსი სტატისტიკა ონლაინ შემოსულ წერილებზე არ ვრცელდება.

- რამდენი დღის განმავლობაში შეუძლით მოქალაქეებს საჩივრებზე პასუხის მიღება, არის თუ არა შესაძლებელი ონლაინ წერილების გაგზავნა და, შესაბამისად, პასუხის მიღება - ამ საკითხზე ინფორმაციის შეგროვებისას გამოყენებულ იქნა ინტერვიუ საქმისწარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსთან, რომელიც ადასტურებს, რომ საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობად, გეგმის მიხედვით, 10 სამუშაო დღეა გაწერილი. თუმცა ხანდახან, საჩივრის სირთულიდან გამომდინარე, 10 დღე არ არის საკმარისი.

საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რამდენია **ხელმისაწვდომი ელექტრონული მომსახურების რაოდენობა: წერილები, პეტიციები, საჩივრები, შეხვედრაზე დარეგისტრირება; შეგროვებული ინფორმაციით დასტურდება შემდეგი მონაცემები:** მუნიციპალიტეტში შემოსული წერილების რაოდენობა - 7011; გასული წერილები - 4631; შიდა - 1752; საქმეთა ბრუნვა - 13394.

აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს თანამშრომელთა განვითარების გეგმა? - მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ვანის მუნიციპალიტეტში თანამშრომელთა განვითარების გეგმა შექმნილია და გადაგზავნილია საჯარო სამსახურის ბიუროში. ინფორმაცია ეყრდნობა ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთან ჩატარებულ ინტერვიუს.

მუნიციპალიტეტი დაინტერესებულია საჯარო მოხელეთა გადამზადებით. თუმცა ტრენინგები, ძირითადად, სხვადასხვა ორგანიზაციის ინიციატივით იგეგმება. **<u>თვითმმართველობის დაკვეთით ტრენინგი არ ჩატარებულა.</u>** ინფორმაციას ადასტურებს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთან ჩატარებული ინტერვიუ.

გასვლითი ტრენინგები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს მერიის და საკრებულოს თანამშრომლებმა, ძირითადად, ჩატარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თვითმმართველობის მოხელეთა შეფასებასთან დაკავშირებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე, საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხებზე.

ტრენინგებთან დაკავშირებით მერიაში დაფიქსირდა 35 მივლინების ბრძანება, საკრებულოში - 9.

ტრენინგებში მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პროცენტული მაჩვენებელი ბოლო წლის მანძილზე თვითმმართველობის მოხელეთა საერთო რაოდენობის 14%-ს შეადგენს.

გამოიყენება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რაიმე სახის ინსტრუმენტი ან ტექნიკა საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის (მაგალითად, ცოდნის მართვის კუთხით)? ვორკშოპები, ტრენინგები - ანგარიშები, ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა განყოფილებასა და დეპარტამენტს შორის.

მონიტორინგით ირკვევა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მერი ყოველთვიურად ესწრება საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრებს, სადაც მთელი რეგიონის მერები ხვდებიან ერთმანეთს აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით. ადგილზე, მერიაში კვირაში ერთხელ ტარდება შეხვედრები სამსახურის უფროსებისა და განყოფილების უფროსების მონაწილეობით ანგარიშების წარდგენისა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის მიზნით. თუმცა ინფორმაცია მსგავსი შეხვედრების ანგარიშის შესახებ არ იძებნება.

როგორ მოწმდება ეფექტიანობა, **შემუშავებულია თუ არა მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები? -** ამ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად გამოყენებულ იქნა ინტერვიუ საქმისწარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსთან, საიდანაც ვიგებთ, **რომ მომსახურების შეფასებისათვის რაიმე ოფიციალური ფორმა შემუშავებული არ** არის, მაგრამ დანერგილია პრაქტიკა მუნიციპალური მომსახურების შეფასების მიზნით, გაწეული მომსახურების შედეგების მოსმენა და, შესაბამისად, მათი შეფასებები. ყველა შეხვედრაზე დგება ოქმები.

კითხვაზე, **გასული წლის მანძილზე რამდენი შეხვედრაა ჩატარებული სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით?**

მონიტორინგით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის მერი ესწრება ყოველთვიურად საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრებს, სადაც მთელი რეგიონის მერები ხვდებიან ერთმანეთს. ეს ფორმატი აქტიურად გამოიყენება ინფორმაციის გაცვლისთვის, თუმცა ონლაინ ხელმისაწვდომობა მსგავს ინფორმაციაზე არ არსებობს, რადგან ანგარიშები, შეხვედრების ოქმები ვებგვერდზე არ იძებნება.

მომდევნო კითხვიდან, **არის თუ არა საკრებულოს სხდომების ჩატარების ერთი წლის/ერთი თვის გეგმა? ირკვევა, რომ** მუნიციპალიტეტში არსებობს საკრებულოს სხდომის ჩატარების კვარტალური გეგმები, რაც განისაზღვრება სამართლებრივი აქტით - N2740, ბრძანება N201487 26.12.2019 წ. შესაბამისი ინფორმაცია ატვირთულია ონლაინ შემდეგ გვერდზე: http://vani.gov.ge/normatiuli-baza/.

რამდენად იყენებს მუნიციპალიტეტი მონიტორინგის სისტემას საქმიანობების ეფექტიანობის შესასწავლად, **დაწესებულია თუ არა მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმა? -** ამ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად შესწავლილ იქნა თათბირის ოქმები, ინტერვიუ ჩატარდა მერის თანაშემწესთან. მიღებული ინფორმაციით: ყოველ ორშაბათს მერთან იკრიბებიან დარგების კურატორები და სამსახურის უფროსები, კვირიდან კვირამდე გაწეული საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების მიზნით, სადაც საუბარია ჩატარებული საქმიანობების შედეგებზე, პრობლემებზე.

აღნიშნული პრაქტიკა მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხს მნიშვნელოვნად ამაღლებს, **თუმცა, სასურველია, ინფორმაცია მონიტორინგის შესახებ ატვირთული იყოს ონლაინ გვერდზე მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით.**

ინკლუზიურობა

მონიტორინგის ეს ბლოკი მოიცავს ინფორმაციებს: რამდენად არის დაცული მუნიციპალიტეტში ინკლუზიურობის საკითხი, არის თუ არა პანდუსები მერიის/საკრებულოს შენობებში, როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი, თანამდებობებზე მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი? ამ კუთხით აღმოჩენილი ხარვეზები შესაბამის რეკომენდაციებში გამოიკვეთება.

პანდუსების საკითხი ვანის მუნიციპალიტეტში **მხოლოდ ნაწილობრივ არის მოგვარებული,** რაც იმას გულისხმობს, რომ პანდუსი მერიის/საკრებულოს შენობის შესასვლელშია მოწყობილი. შენობის კონსტრუქციიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მობილური გადაადგილების დანერგვა განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

მონიტორიგის პროცესში შესწავლილ იქნა, **რამდენად არის არადისკრიმინაციული მუნიციპა-**

ლიტეტის განცხადებები ვაკანსიების შესახებ? - ინფორმაციის შესასწავლად ონლაინ გვერდზე http://vani.gov.ge/ განთავსებულია განცხადებები ვაკანსიის შესახებ. ტექსტის შეფასებისას რაიმე სახის დისკრიმინაციული შეზღუდვები არ იკვეთება.

რამდენად პრიორიტეტულია მუნიციპალიტეტისთვის გენდერული ბალანსის დაცვა, **როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი? - ამ საკითხზე** ინფორმაციის მოსაძიებლად გამოყენებულ იქნა შეხვედრები და ინტერვიუ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის და იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების წარმომადგენელთან, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების რაოდენობა 31%-ია.

ასევე დაბალია თვითმმართველობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მერი, მერის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე) მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი - 0%.

საგულისხმოა, <u>რომ გენდერული მაჩვენებლის შესაცვლელად მუნიციპალიტეტს მეტი ძალისხმევა მართებს, მით უმეტეს მუნიციპალიტეტს ჰქონდა პრეზიდენტი, როცა საკრებულოს თავმჯდომარე ქალი იყო.</u>

- ხელმისაწვდომია თუ არა არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურება? - საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუ იძლევა ინფორმაციას, რომ თარჯიმნის მომსახურების სერვისი მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. თუმცა იკვეთება, რომ ამის საჭიროება არ არსებობს, რადგან სხვა ეროვნების ადამიანები, ეთნიკური ჯგუფები მუნიციპალიტეტში არ ცხოვრობენ.

ინკლუზიურობის კუთხით მნიშვნელოვანია, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის არსებობდეს ინფორმაციაზე და სხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა **არის თუ არა მუნიციპალიტეტში საკონტაქტო პირი მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობისთვის? -** ირკვევა, რომ ასეთი საკონტაქტო პირი მუნიციპალიტეტში არ არსებობს და ქალები; სოციალურად დაუცველები; იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ); შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საერთო, ***<u>ყველა მოქალაქისთვის არსებული მომსახურებით სარგებლობენ.</u>***

სასურველია, რომ მუნიციპალიტეტში რომელიმე კონკრეტული პირი გადამზადდეს და მას შეუთავსდეს/დაევალოს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან ურთიერთობის წარმართვა.

საკრებულოს წარმომადგენელთან, ასევე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსთან ჩატარებულ ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტში არა აქვთ შესაბამისი ცოდნა **ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესახებ; საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ. ნაკლებად იცნობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას.**

<u>საგულისხმოა, რომ ამ ხარვეზის აღმოფხვრა შესაძლებელია თვითმმართველობის წარმომადგენელთა დატრენინგებით, რომლის ორგანიზება მუნიციპალიტეტს შეუძლია.</u>

ასევე არ არსებობს **ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ.** სასურველია, მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ინიციატივები მსგავსი აქტების დანერგვის თვალსაზრისით.

კითხვაზე, **არსებობს თუ არა ადგილზე გენდერული ბიუჯეტირება/ცოდნა მისი ფუნქციონირების შესახებ? -** ფიქსირდება, რომ მუნიციპალიტეტში <u>**პროგრამული ბიუჯეტია, ცალკე**</u>

<u>გენდერული ბიუჯეტი არ არსებობს და არც ამის შესახებ გააჩნიათ ცოდნა შესაბამის პირებს</u>. აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა გადამზადება ხელს შეუწყობს გენდერული ბიუჯეტირების დანერგვას.

მონიტორინგით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტში **არის საკონტაქტო პირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან/სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის -** ამ ინფორმაციას ადასტურებს ინტერვიუ საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელთან, აღნიშნული სამართლებრივად დასტურდება შესაბამისი ბრძანებებით - ბრძანება N20612. საქალაქო ორგანიზაციებთან საკონტაქტო პირად დანიშნულია ეკატერინე ნამიჭეიშვილი, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფროსი საჯარო თანამდებობის პირი, ადმინისტრაციული სამსახურის საქმიანობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

მიმდინარე მონიტორინგით დასტურდება, **არის თუ არა მერიაში და საკრებულოში: მრჩეველთა საბჭო; გენდერული საბჭო; სხვა საბჭოები, სამუშაო ჯგუფები - მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ** ვანის მუნიციპალიტეტში არის მრჩეველთა საჭო, გენდერული საბჭო, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფები.

აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება შემდეგი დებულებებით: „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“, „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“, „2020 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება. N25 2017 წლის 3 აგვისტო, ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N20551 02/05/2019 მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N20556 02/05/2019 მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებები სხვა სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ N2030115/04/2015 N20 10 04/01/2019 N20 10621.012020

ინფორმაცია დასტურდება საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ჩატარებული ინტერვიუთი.

მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები

1. მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სამსახურის, დეპარტამენტის, განყოფილების ანგარიშები პერიოდულობის მიხედვით აიტვირთოს ვებგვერდზე, რაც გაზრდის მოქალაქეთა ჩართულობას და ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე.

2. გამართული და ეფექტიანი ელექტრონული გვერდების მისაღებად მნიშვნელოვანია ვებგვერდისა და ფეისბუქგვერდების ადმინისტრატორების მიერ ონლაინ გამოკითხვების ჩატარება და ელექტრონული გვერდების მოხმარების ეფექტიანობის ხარისხის განსაზღვრა. მიღებული შედეგების შესაბამისად - ტექნიკური ცვლილებების შეტანა ელექტრონულ ველზე.

3. მოქალაქეთა ჩართულობის, მათი საჭიროებების განსაზღვრის კუთხით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის პრაქტიკაში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვა. აღნიშნული პრაქტიკა გახსნის თავისუფალ სივრცეს მოქალაქეთა საჭიროებების იდენტიფიკაციისა და ამ ფონზე

შექმნილი პრობლემების მოგვარების კუთხით. მონაწილეობითი ბიუჯეტირება ასევე ხელს შეუწყობს სამოქალაქო სექტორის გააქტიურებას და ხელსაყრელ გარემოს შექმნის მისი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების თვალსაზრისით, რაც საბოლოოდ გაზრდის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობას.

4. სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მუნიციპალურ დონეზე გენდერული პოლიტიკის გაძლიერება, მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაფართოება, რაც, შესაძლოა, გამოიხატოს გენდერული ბიუჯეტის დანერგვით ან მუნიციპალურ ბიუჯეტში გენდერული პროგრამების გაზრდით.

5. მუნიციპლიტეტში არ არის მიღებული ანტიკორუფციული გეგმა, ანტიკორუფციული დებულება, ფინანსური რეგულაციების დოკუმენტი; არ არის ეთიკური ქცევის დებულება - აღნიშნული დოკუმენტის მიღება და დამტკიცება ხელს შეუწყობს გამჭვირვალობის პროცესის გაძლიერებას, სამოქალაქო სექტორსა და თვითმმართველობას შორის ნდობის ხარისხის გაუმჯობესებას.

6. მნიშვნელოვანია, თვითმმართველობის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ბიუჯეტით განკუთვნილი თანხების ათვისება მოხდეს მიზანმიმართულად. დაინერგოს ტრენინგების ჩატარების პრაქტიკა, საჭიროებებიდან გამომდინარე საკითხების გათვალისწინებით. საჯარო მოხელეთა კვალიფიცირება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში თანამედროვე, ინოვაციური მეთოდების დანერგვას და განხორციელებას.

7. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტს ინკლუზიურობის კუთხით ჰყავდეს კონკრეტული პირი სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან ურთიერთობის მიზნით. თუ მუნიციპალიტეტს არა აქვს საშტატო ერთეულის გახსნის საშუალება, შესაძლოა, რომელიმე კონკრეტული პირი გადამზადდეს ამ მიმართულებით, რადგან აღნიშნულ სპეციფიკურ ჯგუფებთან მუშაობა ითხოვს მსგავსი სერვისის დანერგვას.

8. გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტში დანერგილია პრაქტიკა მომსახურების შეფასებისათვის, მართებული იქნება ამ პრაქტიკის დახვეწა, შესაბამისი გეგმის გაწერა, დამტკიცება, რაც გააძლიერებს ამ კუთხით მუნიციპალიტეტის აქტიურობას, გაზრდის მუშაობის ეფექტიანობას.

9. ინკლუზიურობის თვალსაზრით მუნიციპალიტეტში გამოკვეთილია მნიშვნელოვანი ტენდენცია: შემუშავებულია დებულება, რის საფუძველზეც მოწყვლადი ჯგუფების ჩართვა უნდა მოხდეს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სასურველია აღნიშნული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება და ამოქმედება.

10. მონიტორინგით იკვეთება მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირების ინფორმირების საჭიროება, ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონზე და სხვა სამართლებრივ მექანიზმებზე. რეკომენდებულია მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირების ინფორმირება ტრენინგის ფორმატით, რაც გაზრდის მათ პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას.

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

მოამზადა რუსუდან კოვზირიძემ

ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირის „ბავშვები - საქართველოს მომავალი“ თავმჯდომარე

შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად,[12] ქვეყანამ თავის თავზე სიღრმისეული საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება აიღო, რაც გამოიხატება ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ინკლუზიური, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნაში, რომლის განხორციელება ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2015 წელს, აქტიურ ფაზაში შევიდა.

რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020,** რომლის ჯეროვნად შესრულებისთვის, 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამი ეროვნული სამოქმედო გეგმა იქნა დამტკიცებული.[13] რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა** (PAR), რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა. საგულისხმოა, რომ ადგილებზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა როგორც რეფორმის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, ასევე მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში.

---

[12] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4 ხელმისაწვდომია

[13] საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020, გვ. 4, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/72422–72422–512614–სამოქმედოგეგმა2019-2020–აღწერილობა.pdf

PAR-ის ახალ, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში **ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით გათვალისწინებულია** ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებდა მოქალაქეების მიერ დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე, საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის კომუნიკაციის პროცესს და უზრუნველყოფდა მათ აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მომსახურების დანერგვა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო მოსახლეობის მონაწილეობა და ანგარიშვალდებულების არსებული პრაქტიკა საკმაოდ სუსტია. 2019 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით,[14] მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი 32%-ს შეადგენდა, ხოლო საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის საშუალება მუნიციპალური ვებგვერდების 20%-ს გააჩნდა.

ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას რეგიონებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს მოშორებულ ლოკაციებში, მნიშვნელოვნად აფერხებს ინტერნეტის მიწოდების ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, ინტერნეტ მომსახურების მაღალი საფასური, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ტექნოლოგიების მოხმარების სუსტი უნარ-ჩვევები. რეფორმის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების და, ზოგადად, მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა და ჩართულობა მონიტორინგის განხორციელების პროცესში დამატებით წინაღობას ქმნის საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით გატარებისთვის. შესაბამისად, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, მათი აქტიური ჩართულობით პოლიტიკური დიალოგის წამოწყება და რეფორმის მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს.

მონიტორინგის მიზანი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ხელშეწყობისთვის, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“. აღნიშნული პროექტი გამიზნულია, დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნის და გაძლიერების გზით, უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა და კონტროლი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის 8

[14] ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, „საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება“ 2019, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload/IDFI–2019/General/LSGINDEX–Report–GEO.pdf

მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესზე.

<u>მონიტორინგის მიზანია</u> ადგილობრივი ხელისუფლების **ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის** ხარისხის შესწავლა, ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციასა და მიგნებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი - ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, 2020 წლის 27 იანვრის-28 თებერვლის პერიოდში. მონიტორინგის პროცესში აქტიურად ჩაერთო პროექტის ფარგლებში 2019 წლის ოქტომბერს ჩამოყალიბებული „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი“, რომელმაც გააერთიანა სამიზნე რეგიონებში სხვადასხვა პროფილის და განსხვავებულ თემატურ მიმართულებებზე მომუშავე 16 საზოგადოებრივი ორგანიზაცია[15].

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა პროექტის პარტნიორების მიერ წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმის და კითხვარების საფუძველზე, რომელიც შეფასების 32 სხვადასხვა კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა (იხ. დანართი „კითხვარი“). რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილებზე დაკვირვების საფუძველზე. ინფორმაციის მოძიების და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ყველა ოფიციალური ონლაინ წყარო, რაც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

მონიტორინგის შედეგები

წინამდებარე ანგარიში ასახავს თერჯოლის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, რომელიც ჩატარდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის: ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირის „ბავშვები - საქართველოს მომავალი“ და თერჯოლის „ინვალიდთა ასოციაციის“ წარმომადგენლების მიერ (27.01.2020-28.02.2020).

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი მსგავსი მონიტორინგის განხორციელება, რაც საფუძვლად დაედება ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

მონიტორინგში ჩართული გუნდი გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის თერჯოლის

[15] სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://csoforum.ge/index.php/ka/about-forum-ka-1

მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას ***(მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, საორგანიზაციო სამსახურის ხელმძღვანელს, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის თანამშრომლებს, საფინანსო სამსახურს, HR განყოფილების უფროსს, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს, საკრებულოს აპარატის უფროსს, საკრებულოს დეპუტატებს).***

თერჯოლის მუნიციპალიტეტში განხორციელებული საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის ანგარიშზე დაყრდნობით წარმოდგენილი ანალიზი თავისუფალია აკადემიური ანალიზისაგან. იგი არ ახდენს ვარაუდების, თეორიების შემოწმებას და, შესაბამისად, პროექტის ფარგლებში მოცემულ კითხვარზე არსებული დოკუმენტური და მიღებული ინფორმაციის ანალიზით შემოიფარგლება. დაგეგმილი მონიტორინგის პერიოდში არ წარმოქმნილა ხელისშემშლელი ფაქტორები. იყო საქმიანი კომუნიკაცია. საჯარო ინფორმაციაზე წვდომა, კონფიდენციალური საკითხების ზოგადი გაცნობა შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით. მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით მომზადებულ ანგარიშს გაეცნენ საკრებულოს თავმჯდომარე და მერი. წარმოდგენილი ანალიზის ფოტო და დოკუმენტური მასალები დაარქივებულია. მონიტორინგის ჯგუფმა პროექტის აქტივობით დაგეგმილი სამუშაო შეასრულა და შედეგი სრულად შეესაბამება მისი შესრულების მაჩვენებლებს, ინდიკატორებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ამ ტიპის მონიტორინგი არ ჩატარებულა, ამდენად, ეს არის საწყისი მდგომარეობის ანალიზი, რომელიც განხორციელდა მონიტორინგის ინდიკატორების სამი ძირითადი ელემენტის თანახმად: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა, ინკლუზიურობა.

გამჭვირვალობა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, საქართველოს კანონმდებლობის, ნორმატიული აქტების, რეკომენდაციების შესაბამისად, ადგილობრივი რეალობიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებებს, აყალიბებს პრობლემის აღმოფხვრის ხედვას, ცდილობს, ცვლილებები შეიტანოს მუშაობაში და მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული რესურსები.

ინფორმაციის გავრცელების კუთხით მუნიციპალიტეტმა აქტიურად დაიწყო ინტერნეტ რესურსების გამოყენება: http://terjola.gov.ge/, https://www.hr.gov.ge/, http://terjola.gov.ge/ge/contact, https://www.facebook.com/terjolismeria, Mail:terjolismeria@yahoo.com, https://www.facebook.com/profile.php?id=919431204766356&ref=br–rs. სოციალურ ქსელსა და ადგილობრივ გაზეთ „თერჯოლაში“ ხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მუშაობის და ყველა სიახლის რეგულარულად განთავსება. გაზეთი, ძირითადად, გათვლილია იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც არ აქვთ წვდომა ინტერნეტზე, ან არ შეუძლიათ ინტერნეტის გამოყენება, მუნიციპალიტეტში დანერგილია პროგრამა „E“ დოკუმენტით https://srv5. edokument. ge/IMERETI/app/№/chancellery/outgoing, რომელშიც ჩართულია ყველა თემი და სოფლის წარმომადგენლობა. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, განცხადება, წინადადება, შეკითხვა გამოაგზავნოს მუნიციპალიტეტის მმართველობაში. აღნიშნულის გარდა, დანერგილია თვეში ერთხელ გაფართოებული საქმიანი თათბირი მერიაში და საკრებულოს შიდა თათბირები კომისიებთან, აპარატთან და ფრაქციებთან, სადაც განიხილება როგორც თემისა და სოფლის საჭიროებები, ასევე ცალკეული მოქალაქეების მიერ დასმული ისეთი საკითხები, რომლებიც ითხოვს სხვადასხვა სამსახურის მობილიზებას, ან შესაბამის ინსტანციაში საკითხის დასმას. დანერგილია ასევე შეხვედრები მოსახლეობასთან, ინფორმაციის მიწოდებისათვის გამოყენებულია აქტივობები და ღონისძიებები ფორმატის შესაბამისად. საჯარო მმართველობით რეფორმაში მოქალაქე-

თა ჩართვა დიდ სირთულეს წარმოადგენს და ითხოვს თვითმმართველობის მხრიდან არსებითი და მნიშვნელოვანი ძალისხმევის საჭიროებას. მონიტორინგმა აჩვენა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობაა გაწეული, რაც შესაბამისად პასუხობს მოქალაქეთა საჯარო ჩართულობის დონეზე არსებულ მწვავე გამოწვევებს. ამის გათვალისწინებით, ამოცანების შესასრულებლად განსაზღვრული საქმიანობები, ცალკეულ შემთხვევაში, წარმოადგენს რელევანტურ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ აღინიშნება გარკვეული პროგრესი, რიგი საკითხები არ მოიცავს მოქალაქეთა არაერთ ფუნდამენტურ უფლებას და სისტემურ პრობლემებს. მონიტორინგისას ცხადი ხდება, რომ შესაბამისი ინსტრუმენტების (დახვეწილი ინდიკატორების, მოქალაქეთა ცოდნის უკმარისობიდან გამომდინარე) გარეშე შეუძლებელია განხორციელებული საქმიანობის ზუსტი ზეგავლენის შეფასება მოქალაქეთა ჩართულობის და ინტენსიურობის განსაზღვრის საქმეში.

მონიტორინგის სამი ძირითადი ინდიკატორიდან გამოვყოფდით - გამჭვირვალობას. ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა შეფასდა დადებითად, რაც განპირობებულია, (ანგარიშში წარმოდგენილი დოკუმენტურ - ბეჭდვით და ელექტრონულ მასალებზე დაყრდნობით) თვითმმართველობის (საკრებულო, მერია) მიერ გაწეული მუშაობის შესაბამისობით სახელმწიფო კანონმდებლობასთან.

ვაკანსიების ხელმისაწვდომობის გასარკვევად - გადამოწმდა სტატისტიკა, ადგილზე მიღებული ნორმატიული აქტების შესაბამისობა კანონმდებლობასთან, კომისიების, სხდომების წარდგენის და შესაბამისობით დაწერილი ბრძანებები, განკარგულებები. მონიტორინგში ჩართული იყო შესაბამისი უწყებები. გამოიკვეთა, რომ 2019 წელს ვებგვერდზე გამოცხადდა 13 ვაკანსია, შემოვიდა 218 განაცხადი. პირველი ეტაპი ვერ გაიარა 58-მა აპლიკანტმა, არ გამოცხადდა 30, ჩაიშალა - სამი და განმეორებით გამოცხადდა ერთი ვაკანსია. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაინიშნა 11 ადამიანი. უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის შემადგენლობაში მერიის მიერ მოწვეული იყო ორი ექსპერტი. ვაკანსიების გამოცხადების ვადები დაცულია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისადაა შედგენილი მერიის და საკრებულოს დებულება და ორგანიზაციული სტრუქტურა, მოქალაქეებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიწოდებისა და მოპოვებისათვის მუნიციპალიტეტში შექმნილია ვებგვერდი http://terjola.gov.ge/ge/news/all/4, რომელსაც ველში „ხელისუფლება“ განთავსებული აქვს როგორც საკრებულოს, ისე მერიის ორგანიზაციული სტრუქტურა. მერიაში დასაქმებულია 148 ადამიანი, საკრებულოში - 65. მერიის სტრუქტურაში მითითებულია შესაბამისი საკონტაქტო პირები, მათი ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში ინფორმაცია არასრულია: მერის, საკრებულოს თავმჯდომარის, მოადგილის, სოფელ ღვანკითის და ახალთერჯოლის დეპუტატების გარდა, არ არის მითითებული კონკრეტული სამუშაო დღე მოქალაქეთა მიღებისათვის. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მოქალაქეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ, მიმართონ ხელისუფლების წარმომადგენლებს და ისინი მზად არიან მიღებისათვის. ასეთი მზაობა მისასალმებელია, მაგრამ, ვინაიდან არ არსებობს აღრიცხვიანობა, შეუძლებელია ზუსტი სტატისტიკის დადგენა, რამდენ მოქალაქესთან ჰქონდათ შეხვედრა - მით უმეტეს, ზედაპირულია ამ შეხვედრების შედეგების ანალიზიც.

მონიტორინგის პროცესში დეტალური ანალიზი განხორციელდა ონლაინ კომუნიკაციაზე. გამოიკვეთა, რომ ვებგვერდზე http://terjola.gov.ge/ge/news/all/4, სრულყოფილადაა ატვირთული ყველა დოკუმენტის ფორმა (წინადადება, განცხადება, პეტიცია), მითითებულია ცხელი ხა-

ზი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტები. ვებგვერდის მოხმარება მოქალაქების მიერ არ ხდება, კომუნიკაცია არც ერთი მიმართულებით არ არის დაფიქსირებული. მონიტორინგის პერიოდში მიზეზის ჩაღრმავებული გარკვევა არ შეგვეძლო, თუმცა მერიის და საკრებულოს აღნიშნულ საქმიანობაზე პასუხისმგებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ ვებგვერდი რთული პაკეტითაა აწყობილი, რიგითი მოქალაქისთვის ძნელადაა მისაწვდომი. ამასთან, მერიის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნინო გაბრიაძემ, პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მოხდებოდა მისი საქმიანობის დელეგირება. მას, მრავალმხრივი საქმიანობის გამო, შეუძლებლად მიაჩნია მერიის ვებგვერდის მართვა. გარკვეულ პერიოდში, გიგაბაიტების ამოწურვისას, ვებგვერდი არ იყო ხელმისაწვდომი. შემდეგ ეს ხარვეზი გასწორდა, მაგრამ სისტემურობას და გამართულ მუშაობას, გარკვეულწილად, ხელი შეუშალა. ვებგვერდი http://terjola.gov.ge/ge/news/all/4, დამზადებულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ და IDFI-ის მიერ გრანტის ფარგლებში, ფაქტობრივად, საჩუქარია. მომავალში ფიქრობენ მის გამარტივებას და მასში გარკვეული ცვლილებების შეტანას.

რადგან ონლაინ სივრცეში ვებგვერდი თავის მისიას ვერ ასრულებდა, შექმნეს მერიის და საკრებულოს ფეისბუქგვერდი, მაილები: https://www.facebook.com/terjolismeria, Mail: terjolismeria@yahoo.com. 2019 წლის განმავლობაში მიღების საათები განთავსებულია როგორც მერიის, ასევე ყველა ადმინისტრაციული ერთეულის საინფორმაციო დაფებზე.

მოქალაქეების თანამშრომლობა - მოქალაქეთა ინფორმირებულობა არის პასიური, როცა მოქალაქე იღებს ინფორმაციას მოთხოვნის შესაბამისად და არის აქტიურიც, როდესაც ხელისუფლება თავად აწვდის ინფორმაციას (პროაქტიული გამოქვეყნება სოციალურ ქსელში). სოციალურ გვერდებზე მიმდინარეობს დაკვირვება და უნდა აღინიშნოს, რომ დღითიდღე იზრდება მნახველთა რაოდენობა - საკრებულოს სხდომების ინფორმაციებსა და მერიის მიერ გაშუქებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინარეობაზე. მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოქალაქეები ფეისბუქგვერდის საშუალებით უფრო ეკონტაქტებიან თვითმმართველობას, გამოთქვამენ თავიანთ აზრს, ან ითხოვენ პასუხს.

ბიუჯეტი დამტკიცებულია ვადების შესაბამისად და ატვირთულია ვებგვერდზე http://terjola.gov.ge. კანონმდებლობის შესაბამისად, ბიუჯეტის მომზადების წინა ეტაპები დაცულია. ბიუჯეტში შეტანილია ცვლილებები და ეს ცვლილებებიც ასევე ატვირთულია ვებგვერდზე და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში. ონლაინ ფინანსური ანგარიშები ქვეყნდება პერიოდულად. 2019 წელს ატვირთულია 2018 წლის წლიური, 2019 წლის პირველი კვარტლის და 2019 წლის წლიური შესრულების ინფორმაცია. მონიტორინგის პროცესში მერის წლიური ანგარიში მომზადებული იყო წარსადგენად. 6 და 9 თვის ანგარიშები ვებგვერდზე არ დევს, საზოგადოება ინფორმაციას ამ მიმართულებით, ძირითადად, იღებს გაზეთ „თერჯოლას“ და ფეისბუქგვერდის მეშვეობით. როგორც საფინანსო-საბიუჯეტო პირველადი სამსახურის უფროსი ავთანდილ ურიადმყოფელი აღნიშნავს, 2020 წლის ბიუჯეტი იდეალური ნამდვილად არ არის, თუმცა მასში მაქსიმალური სიზუსტითაა ასახული თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოთხოვნები და შესაძლებლობები, გამოკვეთილია რეზერვების ამოქმედების მოთხოვნები.

2019 წლის შესყიდვების გეგმა დამტკიცებულია საკრებულოს მიერ - 21.03. 2019 განკარგულება N46 260. კანონმდებლობაში მოხდა ცვლილებები, კერძოდ, საგადასახადო კანონში შესყიდვების გეგმასთან დაკავშირებით https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=160

მერიას მიეცა უფლებამოსილება, შესყიდვების გეგმა და ანგარიშები აწარმოოს დამოუკიდებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესყიდვების გეგმა დამტკიცდა მერის მიერ - ბრძანება N45/151.

2020 წლის ბიუჯეტი შედგენილია პროგრამული და სამოქალაქო ბიუჯეტის შედგენის განახლებული მოთხოვნების გათვალისწინებით. ბიუჯეტი პროგრამულია და ორიენტირებულია მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგებზე. შესაბამისობაშია ნორმატიულ დოკუმენტთან და ადგილობრივ მოთხოვნებთან, გამოკვეთილია სოციალური პროგრამები.

2019 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტს მიღებული ჰქონდა 13 სოციალური პროგრამა (896000 ლარი), 2020 წელს - 14 (970000 ლარი) და სხვა სოციალური საკითხების (სარიტუალო, შშმ პირთა ასოციაციის დაფინანსება) დაფინანსება. სულ - 1000000 ლარი.

პროგრამული ბიუჯეტი გათვლილია შედეგზე, ითხოვს ზუსტ ინდიკატორებს, რომლებიც სახელმწიფოს ჯერ არ აქვს შემუშავებული, როგორც ნორმატიული დოკუმენტი. გენდერული ბიუჯეტის შესახებ ცოდნა მწირია, ამდენად, გენდერული მოთხოვნების სრული გათვალისწინებით ბიუჯეტი არ არის, თუმცა საკითხი პროგრესირებადია, რაც, შესაბამისად, ასახულია ცალკეულ ქვეპროგრამებში და გენდერულ საბჭოსთან მიმართებაში. რაც შეეხება ცოდნას მონაწილეობითი და გენდერული ბიუჯეტის შესახებ, შემოიფარგლება მერიისა და საკრებულოს რამდენიმე თანამშრომლის ერთჯერადი ტრენინგებით. მყარი ცოდნა ამ მიმართულებით არ არის. მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს ანტიკორუფციული გეგმა, დებულება, ფინანსური რეგულაციები და დოკუმენტები შესაბამისი ეთიკური ქცევის შესახებ.

ეფექტიანობა

მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება საკრებულოსა და მერიის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე, თუ რამდენად ეფექტური და ეფექტიანია მოქალაქეებთან ურთიერთობა, რაზეა გათვლილი: მოკლევადიან შთაბეჭდილებაზე (ეფექტზე) თუ გრძელვადიანზე (ეფექტიანობაზე).

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2019 წლის მანძილზე მერიასა და საკრებულოს მიერ მოქალაქეთა მიღებისთვის გამოყოფილი დღეების ფარგლებში (48-48 დღე) მიღების საათები განთავსებულია მერიის და საკრებულოს, ასევე ყველა ადმინისტრაციული ერთეულის საინფორმაციო დაფებზე. 2019 წელს აღრიცხულია 1334 მოქალაქის მომსახურება. მერიაში ადმინისტრაციული ერთეულიდან ოფიციალურად შემოსულია ერთი საჩივარი, ჩატარდა წარმოება, დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტი არ იყო ვალდებული, ბათილად ცნო გასაჩივრებული აქტი. შესაბამისად, მოქალაქეს ეცნობა, რომ მიემართა სასამართლოსთვის. მოქალაქეთა განცხადებების 20% ელექტრონული ფორმით არის მიღებული, მაგრამ დომინირებს ელექტრონული ფოსტები, ვიდრე ვებგვერდი. ვებგვერდის http://terjola.gov.ge/ge/news/all/4 დიზაინი სრულყოფილია, ველები ზუსტად შეესაბამება მოთხოვნებს. მთლიანობაში ეფექტურია, მაგრამ არაეფექტიანი, მოსახლეობა არ იყენებს, მიზეზი გარკვეული არ არის, ვებგვერდის ადმინების მიერ აქცენტი კეთდება მის სირთულეზე.

მონიტორინგის პერიოდში შემოწმდა მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარების და მათი განვითარებისათვის გაწეული მუშაობა. ეფექტიანი მუშაობის საუკეთესო ნიშნულია თანამშრომელთა განვითარების გეგმა, რომელიც საკრებულოში შემუ-

შავებულია, ხოლო მონიტორინგის პროცესის დროს მერიას ეს გეგმა არ აქვს; თუმცა ადგილობრივ 2020 წ. ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა ტრენინგებისთვის. 2019 წელს ტრენინგებისთვის გამოყოფილი თანხა არ იქნა ათვისებული. თანამშრომლებს, ძირითადად, მიწვევითი ტრენინგები აქვთ გავლილი (24 ტრენინგი, 44 ადამიანი). 2020 წლისთვის გამოთქვეს მზაობა აღნიშნული მიმართულებით მუშაობაში ცვლილებებისთვის.

დანერგილია ეფექტური და ეფექტიანი საქმიანი შეხვედრების პრაქტიკა როგორც მერიაში, ისე საკრებულოში: მერიაში თვეში ორჯერ, შიდა თათბირი ყოველი თვის პირველ ორშაბათს, გაფართოებული ყოველი თვის მეოთხე ორშაბათს, გაფართოებულ თათბირს ესწრებიან ადმინისტრაციის, სამსახურების პასუხისმგებელი პირები, ადმინისტრაციული ერთეულების (თემების) წარმომადგენლები, ა(აიპ)-ის ხელმძღვანელები. აღნიშნული დღეების გარდა, საკითხიდან გამომდინარე, ეწყობა რიგგარეშე საქმიანი სხდომები, აბსოლუტურად ყველა დამსწრე პირი აბარებს ანგარიშს მიმდინარე მუშაობის შესახებ, სვამს პრობლემურ საკითხებს, მათ შორის - საკუთარ ადმინისტრაციულ ერთეულში მოქალაქეთა მოთხოვნებს, წინადადებებს, შენიშვნებს. საკითხი იქვე განიხილება და შესაბამისი სამსახურის ან ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად იღებენ პრობლემის გადაჭრის გადაწყვეტილებას, იმ შემთხვევაში, თუ საკითხის გადაწყვეტა ითხოვს დროს ან ზემდგომ ორგანოებში საკითხის დასმას, დავალებას იღებს შესაბამისი სამსახური. ყველა საკითხი, რომელიც გადაწყვეტას ითხოვს, აღირიცხება მერის თანაშემწის გიორგი ამირანაშვილის მიერ, შემდეგ ფორმდება ოქმი, მტკიცდება ოფიციალურად და კანცელარიის გავლით მიდის ადრესატამდე. კონტროლდება მისი შესრულება და კვარტალურად ანგარიში მოეხსენება როგორც მერს, ისე თათბირზე მსხდომ საზოგადოებას. ფაქტობრივად ხდება არა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა მიმდინარე სამუშაობის შესახებ, არამედ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა და, გარკვეულწილად, მონიტორინგიც. თათბირზე დასმული საკითხები, რომელთა შესულება ინფორმაციის მიწოდების და გაცვლის შემდეგ ადგილზე შესაძლებელი იყო, დადებითად გადაწყდა 100%-ით. ხოლო 2019 წლის ოქმების ანალიზებიდან გამომდინარე (შედგენილია 16 ოქმი), 92 საკითხიდან შესრულდა 62, შესრულების სტადიაშია 18, გრძელვადიანი შესრულების კვალიფიკაცია აქვს 12-ს.

საკრებულოს თავმჯდომარეს ნინო ჯანელიძეს კარგად აქვს გამოყენებული შიდა თათბირები და სხდომები გაწეული მუშაობის ანალიზისათვის. ის ყოველ ორშაბათს შიდა აპარატთან, ხოლო სამშაბათს კომისიებთან ატარებს საქმიან შეხვედრებს. გარდა ამისა, რიგ შემთხვევაში ითხოვს კომისიის თავმჯდომარეების ანგარიშებს მიმდინარე და გაწეული მუშაობის შესახებ. დანერგილი აქვს მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გარკვევა ადგილზე მისვლით და მოქალაქეებთან დიალოგის გამართვით. სოფლებში საკრებულოს თავმჯდომარის უშუალო ვიზიტებითა და მოსახლეობასთან შეხვედრების მონიტორინგის საშუალებით ხდება საკითხების გადაჭრა.

ეფექტის მომცემია მერის, ბონდო სოფრომაძის და საკრებულოს თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის სისტემატური შეხვედრები მოქალაქეებთან. ეს შეხვედრები ემსახურება მოსახლეობის პრობლემური საკითხების მოგვარებას. 2019 წლის 16 აგვისტოს ასეთ შეხვედრაზე სოფელ გოგნის მოსახლეობის მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ნათია თურნავას წინაშე დაისვა სოფლის გაზიფიცირების საკითხი, რაც აისახა ოქმში. შემდეგ მიეცა მსვლელობა და 2020 წლის იანვრიდან დაიწყო გაზიფიცირების სამუშაოები.

საკრებულოს თავმჯდომარე სისტემატურად აწყობს შეხვედრებს მოქალაქეებთან, არკვევს მათ დამოკიდებულებას საკითხისადმი, რაც აისახება საკრებულოს გადაწყვეტილებებზე. მო-

ნიტორიგის პროცესში გავეცანით მის მიერ ჩატარებული შეხვედრის მასალებს სოფელ კვახჭირის მოქალაქეებთან ანკეტურ გამოკითხვას წყალგაყვანილობის პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით - გამოკითხულია 50 მოქალაქე, რომელთაც წყალი არ მიეწოდებათ. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკრებულომ თავი შეიკავა, მიეღო გადაწყვეტილება წყალგაყვანილობის კომუნალური სამსახურისათვის გადაცემაზე, პრობლემის აღმოფხვრამდე, რათა სრულყოფილი გაყვანილობა მიეღო მუნიციპალიტეტს და თავი აერიდებინა ზედმეტი ხარჯებისგან.

ასევე 2019 წლის ოქტომბერში სახლდაზიანების პროგრამის დაფინანსებამდე, საკრებულოს თავმჯდომარემ სრულად ნახა ყველა სოფელი, შექმნა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების მიახლოებული სტატისტიკა და ფოტოდოკუმენტი, ესაუბრა მოქალაქეებს და, მერიასთან შეთანხმებით, ერთის ნაცვლად დაიგეგმა ოთხი სახლის მშენებლობის დაფინანსება.

პრაქტიკაში სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილებების გაზიარება დანერგილი არ არის, თუმცა თვეში ერთხელ გუბერნიაში იმართება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირთა შეხვედრები, სადაც ხდება აზრთა გაზიარება.

მერიასა და საკრებულოს შემუშავებული აქვთ თანამშრომელთა მუშაობის შეფასების გეგმა, კრიტერიუმები. დასაქმებულთა ქულობრივი შეფასება ხდება წელიწადში ოთხჯერ.

2019 წლის ბოლოს მერიაში მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით წარმატებულ 11 ადამიანს მოემატა ხელფასი 1%-ით, ხოლო საკრებულოში 8 ადამიანმა აჩვენა საუკეთესო შედეგი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური და ეფექტიანია, როდესაც მოსახლეობა წინასწარ ფლობს ინფორმაციას საკრებულოს სხდომების ჩატარების ვადების და დღის წესრიგის შესახებ. დღის წესრიგის წინასწარ ატვირთვა საინფორმაციო სივრცეში ვერ ხერხდება, თუმცა როგორც კი გადაწყდება დღის წესრიგი, მოქალაქეებისთვის ინფორმაცია იტვირთება ვებგვერდზე და თავსდება საინფორმაციო დაფაზე.

საკრებულოს სხდომების წლიური და თვის გეგმა არ არის, განმარტეს, რომ აღნიშნული გეგმა უნდა დამტკიცდეს საკრებულოს სხდომაზე და მიმდინარე ცვლილებები ითხოვს რიგგარეშე სხდომებს, რაც, გარკვეულწილად, არაეფექტიანია და ქმნის ბარიერებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის (დადგენილების N628 2016 წლის 30 დეკემბერი) „მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის ანგარიშებისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ცალკე გამოყოფილი მონიტორინგის ჯგუფი ან მონიტორინგზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული არ არის, თუმცა მონიტორინგის პროცესში დაკვირვებამ, გასაუბრებამ, დოკუმენტებმა გვიჩვენა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს, საჭიროა მისი სისტემაში მოყვანა, რაც მუშაობას უფრო ეფექტურს და ეფექტიანს გახდიდა, ამ კუთხით საჭიროა ცოდნის მიწოდება.

თვითმმართველობის ორგანოები ნაწილობრივ თავად ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის მონიტორინგს, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების, უწყებების ანგარიშების მოსმენით და ქულობრივი შეფასებებით. მოქალაქეების ინტერესი სხდომების მიმართ მხოლოდ სოციალურ ქსელში იკვეთება, საკრებულოს გეგმური სხდომა ტარდება თვეში ერთხელ (თვის პირველ ოთხშაბათს). არ ფიქსირდება მოქალაქეთა დასწრება, რაც ხელს შეუწყობდა მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას.

ინკლუზიურობა

შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა ზოგად ასპექტში ერთ-ერთი ფუნდამენტური გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის და, ცხადია, მუნიციპალიტეტი, დადგენილი სტანდარტების ფონზე ვერ პასუხობს ამ დროისთვის არსებულ გამოწვევებს, რადგან სახელმწიფოს არ გააჩნია კონვენციის სტანდარტებთან ჰარმონიზირებული საკანონმდებლო ბაზა. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით, შესაძლებლობის ფარგლებში, არის ადაპტირებული ფიზიკური და საინფორმაციო სივრცე, მათ შორის ინფრასტრუქტურული, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მექანიზმების მოწესრიგებისაკენ. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მუშაობა პროგრესირებადია (მერიისა და საკრებულოს შენობების პანდუსები), თუმცა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის სათემო სერვისებზე წვდომა არასაკმარისია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ქვეყნის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტი ჩართულია სოციალური პროგრამებით. აქვე იკვეთება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია „თერჯოლის ინვალიდთა ასოციაციის“ დაფინანსება, რაც განსაზღვრული ამოცანების შესრულებისას რელატიური ნაბიჯია.

თერჯოლის თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი 29%-ია, აქედან ხელმძღვანელ თანამდებობებზე არის 12%. ზოგადად ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ საქმიანობაში პროგრესირებადია, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობისთვის საკონტაქტო პირი გამოყოფილი არ არის, თუმცა არსებობს სოციალური სამსახური, რომელიც ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, სახელმწიფო პროგრამებში ჩართულობას და თერჯოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 14 სოციალური პროგრამის, მათ შორის ინკლუზიური პროგრამების განხორციელებაც, იკვეთება ქალთა კუთხით მუშაობაში ცვლილება, რაც შეეხება გენდერზე პასუხისმგებელი პირის უფლება-მოვალეობას, ის ითვალისწინებს ქალთა პრობლემებზე მუშაობას.

საქართველოს კანონმდებლობა ინკლუზიური კუთხით თანდათან შედის თანაფარდობაში ასოცირების ხელშეკრულებისა და ადამიანის უფლებების კონვენციასთან. ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში შესაბამისი ცოდნა არის, თუმცა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა და არც ნორმატიული აქტი, რეგულაცია არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწირია ცოდნა გენდერული ბიუჯეტის შესახებ, თუმცა ეს საკითხი პროგრესირებადია, იკვეთება ცალკეული აქტივობები და პროგრამები, რომლებშიც ნაწილობრივ ასახულია გენდერული ბალანსი.

მუნიციპალიტეტის მერიას ჰყავს გამოყოფილი გენდერზე პასუხისმგებელი პირი, ასევე საკრებულოში არსებობს გენდერული საბჭო, რომელსაც შექმნილი აქვს სამოქმედო გეგმა და ეტაპობრივად ცდილობს მის განხორციელებას. მერიისა და საკრებულოს რამდენიმე თანამშრომელს გავლილი აქვს ტრენინგები გენდერული თანასწორობის შესახებ, ასევე თემაზე „გენდერული, სოციალური, პროგრამული და სამოქალაქო ბიუჯეტირება“.

სამოქალაქო ორგანიზაციებთან მომუშავე საკონტაქტო პირი თერჯოლის მუნიციპალიტეტში არ არის, რაც, გარკვეულწილად, გამოწვეულია სამოქალაქო ორგანიზაციების სიმცირით, სულ ორი ორგანიზაცია მუშაობს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებობს მრჩეველთა და გენდერული საბჭოები. მრჩეველთა საბჭო საწყის ეტაპზეა, ადგილობრივ საჭიროებათა შესაბამისად, მოსმენილია ანგარიშები, რაც მათი მხრიდან ხელისუფლების მუშაობის მიმართ მაღალი დაინტერესებით აისახება, თუმცა გარკვეული საკითხები ადგილობრივ დონეზე, მრჩეველთა საბჭოს ინიციატივით და აქტიური მუშაობით არ გადაჭრილა. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შექმნილი და დამტკიცებულია გენდერული საბჭოს სამუშაო გეგმა, რომელიც შესულია მოქმედებაში 2019 წლის ნოემბრიდან.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში თვითმმართველობის ერთეულების საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის მიხედვით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებელია არსებული ცოდნის, რესურსების და შესაძლებლობის ფარგლებში.

რეკომენდაციები

კარგი იქნება, მრჩეველთა და გენდერულმა საბჭოებმა ისარგებლონ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით, გახდნენ მეტად ქმედითუნარიანები, წინასწარ მოითხოვონ თვითმმართველი ორგანოების - მერიის, საკრებულოს სამუშაო გეგმის პროექტები, ბიუროების, სხდომების დღის წესრიგები, ნორმატიული აქტები, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, შეიტანონ წინადადებები და ა.შ... ასევე დანერგონ ბიუჯეტის მარტივი, მოსახლეობის გასაგებ ენაზე დაბეჭდვა და ჩაატარონ საჯარო შეხვედრები სფეროების და პრიორიტეტების მიხედვით.

სასურველია, მოქალაქეთა და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობით შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე ინფორმირებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფებისა და მოქალაქეების ჩართულობას.

ვინაიდან თვითმმართველობას ეკისრება ყოველდღიური საქმიანობის წინამძღოლობა და პასუხისმგებლობა მომავლის დაგეგმვაში, სასურველია, ჩატარდეს თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭიროებათა კვლევა, შემუშავდეს ტრენინგ-გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ტრენინგები, მონაწილეობითი, გენდერული ბიუჯეტის, კომუნიკაციისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტის შესახებ. ასევე საჭიროა კვლევის და მონიტორინგის მეთოდების შესწავლის მიზნით მოკლევადიან პროფესიულ კურსებზე გადამზადდეს რამდენიმე ადამიანი - მინიმუმ სამი მაინც.

სასურველია, დაცულ იქნას საბიუჯეტო კალენდარი, საქართველოს კანონის საბიუჯეტო კოდექსის და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად და ანგარიშები ბიუჯეტის შესრულების შესახებ დროულად და სისტემატურად ინფორმაციის სახით მიიღოს საზოგადოებამ.

რეალურად მოქალაქეების მიერ ვებგვერდის მოხმარების პროცენტულობის მაჩვენებელი ნულოვანია. აუცილებელია SED ოპტიმიზაცია, რაც დაეხმარება ადამიანებს საიტის მოძებნაში, ხოლო საიტის მფლობელს - მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაში. გამოყენების სიმარტივე უნდა იყოს ხელმისაწვდომი, როგორც პლანშეტზე, ისე ყველა ტიპის მობილურ მოწყობილობაზე.

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

მოამზადა ხათუნა გოგუამ
ფონდი „სოხუმის“ კონსულტანტი
ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში

შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად,[16] ქვეყანამ თავის თავზე სიღრმისეული საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება აიღო, რაც გამოიხატება ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ინკლუზიური, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნაში, რომლის განხორციელება ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2015 წელს, აქტიურ ფაზაში შევიდა.

რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020,** რომლის ჯეროვნად შესრულებისთვის, 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამი ეროვნული სამოქმედო გეგმა იქნა დამტკიცებული.[17] რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა** (PAR), რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა. საგულისხმოა, რომ ადგილებზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა როგორც რეფორმის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, ასევე მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში.

PAR-ის ახალ, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში **ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით გათვალისწინებულია** ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძ-

[16] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4 ხელმისაწვდომია

[17] საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020, გვ. 4, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/72422–72422–512614–სამოქმედოგეგმა2019-2020–აღწერილობა.pdf

ლიერების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებდა მოქალაქეების მიერ დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე, საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის კომუნიკაციის პროცესს და უზრუნველყოფდა მათ აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მომსახურების დანერგვა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო მოსახლეობის მონაწილეობა და ანგარიშვალდებულების არსებული პრაქტიკა საკმაოდ სუსტია. 2019 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით,[18] მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი 32%-ს შეადგენდა, ხოლო საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის საშუალება მუნიციპალური ვებგვერდების 20%-ს გააჩნდა.

ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას რეგიონებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს მოშორებულ ლოკაციებში, მნიშვნელოვნად აფერხებს ინტერნეტის მიწოდების ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, ინტერნეტ მომსახურების მაღალი საფასური, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ტექნოლოგიების მოხმარების სუსტი უნარ-ჩვევები. რეფორმის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების და, ზოგადად, მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა და ჩართულობა მონიტორინგის განხორციელების პროცესში დამატებით წინაღობას ქმნის საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით გატარებისთვის. შესაბამისად, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, მათი აქტიური ჩართულობით პოლიტიკური დიალოგის წამოწყება და რეფორმის მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს.

მონიტორინგის მიზანი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ხელშეწყობისთვის, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“. აღნიშნული პროექტი გამიზნულია, დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნის და გაძლიერების გზით, უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა და კონტროლი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის 8 მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესზე.

[18] ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, „საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება“ 2019, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload/IDFI–2019/General/LSGINDEX–Report–GEO.pdf

მონიტორინგის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების **ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის** ხარისხის შესწავლა, ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციასა და მიგნებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი - ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, 2020 წლის 27 იანვრის-28 თებერვლის პერიოდში. მონიტორინგის პროცესში აქტიურად ჩაერთო პროექტის ფარგლებში 2019 წლის ოქტომბერს ჩამოყალიბებული „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი“, რომელმაც გააერთიანა სამიზნე რეგიონებში სხვადასხვა პროფილის და განსხვავებულ თემატურ მიმართულებებზე მომუშავე 16 საზოგადოებრივი ორგანიზაცია[19].

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა პროექტის პარტნიორების მიერ წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმის და კითხვარების საფუძველზე, რომელიც შეფასების 32 სხვადასხვა კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა (იხ. დანართი „კითხვარი“). რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილებზე დაკვირვების საფუძველზე. ინფორმაციის მოძიების და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ყველა ოფიციალური ონლაინ წყარო, რაც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

მონიტორინგის შედეგების ანალიზი

წინამდებარე ანგარიში ასახავს **ბაღდათის** მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი მსგავსი მონიტორინგის განხორციელება, რაც საფუძვლად დაედება ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის რეალიზების მონიტორინგი ქალაქ ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2020 წლის 3 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა, რომელსაც აწარმოებდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ა(ა)იპ „თანასწორობა ახლა“ და ა(ა)იპ შშმ პირთა კავშირი „რწმენა და იმედი.“

მონიტორები სარგებლობდნენ წინასწარ შემუშავებული სპეციალური კითხვარებით. ინფორმაციის შესაგროვებლად შესწავლილ იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ელექტრონული გვერდები, ფეისბუქგვერდები. ასევე ჩატარდა ინტერვიუები სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან. პროცესი წარიმართა პრობლემების გარეშე და

[19] სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://csoforum.ge/index.php/ka/about-forum-ka-1

დათქმულ ვადებში, ხელისშემშლელი ფაქტორები ან სხვა რაიმე სახის წინააღმდეგობები საჯარო მოხელეებთან გასაუბრების პროცესში არ დაფიქსირებულა. მონიტორინგში ჩართული გუნდი გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას, საორგანიზაციო სამსახურის ხელმძღვანელს, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის თანამშრომლებს, საფინანსო სამსახურს, HR განყოფილების უფროსს, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს, საკრებულოს აპარატის უფროსს, საკრებულოს დეპუტატებს.

საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის *რეალიზების მონიტორინგის ინდიკატორები სამ ძირითად ელემენტზე იყო გათვლილი: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა, ინკლუზიურობა.*

გამჭვირვალობა

მონიტორინგიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობის კუთხით ძირითადი სტანდარტები დაცულია, გამართული და აქტიურია ვებგვერდი, აქტიურია ასევე ფეისბუქგვერდი, მოქალაქეებს აქვთ საშუალება, ონლაინ ადევნონ თვალი მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს: გაეცნონ სიახლეებს, განცხადებებს ვაკანსიების შესახებ.

საკანონმდებლო აქტები, დებულებები ატვირთულია და იძებნება შესაბამის ელექტრონულ გვერდზე. შესაძლებელია საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება ნებისმიერი სტრუქტურის წარმომადგენელთან დასაკავშირებლად. თუმცა მათთან დაკავშირება მხოლოდ ელფოსტით არის შესაძლებელი. საჯარო პირთა ბიოგრაფიებს ხშირ შემთხვევებში არ ერთვის ტელეფონის ნომრები, რაც მოქალაქეთა მომართვიანობას ამუხრუჭებს. აღნიშნული ტიპის ხარვეზები ასახულია რეკომენდაციებში, რომელთა განხორციელებაც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობის ხარისხს.

- რამდენად ხელმისაწვდომია ონლაინ განცხადებები ვაკანსიების შესახებ? დაცულია თუ არა ვაკანსიის გამოცხადების ვადები? - ამ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად მიმოხილულ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი http://baghdati.gov.ge/gehttp:/ ინფორმაციით დასტურდება, რომ **ვაკანსია გამოცხადდა მითითებულ დროში, განთავსებული იყო საჯარო სამსახურების ბიუროს გვერდზე (https://www.hr.gov.ge/)** 10 დღის განმავლობაში, ხოლო 10 დღის შემდეგ ვაკანსია ვებგვერდზე არ იძებნება, რაც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. მუნიციპალიტეტში დღემდე არსებობს ბრძანება N41 1946 17.11.2019 - კონკურსის გამოცხადების შესახებ. ბრძანება N41 1234 11.10.2018 საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე.

გამჭვირვალობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ელემენტია, მოქალაქეებს ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ისეთ ონლაინ ინფორმაციებზე, როგორებიცაა: საჯარო მოხელეთა ბიოგრაფიები, სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელი პირების პოზიციები, საკონტაქტო ინფორმაციები.

კითხვაზე, ***განთავსებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით? -*** ინფორმაციის მისაღებად მიმოხილულ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი http://www.baghdati.gov.ge/; ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

მოკვლეული მასალებით დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სამსახურების სტრუქტურაზე, არსებობს ბიოგრაფიული მონაცემები ხელმძღვა-

ნელ პირებზე, რომელსაც დართული აქვს ელექტრონული ფოსტის მისამართები. თუმცა ***საჯარო მოხელეთა ბიოგრაფიებს არა აქვს დართული ტელეფონის ნომრები (http://baghdati.gov.ge/ge/meriis-samsaxurebi?person=0),*** რადგან მოქალაქეთა უმრავლესობა ადგილობრივ ხელისუფლებათან დასაკავშირებლად, ძირითადად, სატელეფონო კომუნიკაციას იყენებს, აღნიშნული ხარვეზი აბრკოლებს კონკრეტულ საჯარო მოხელესთან ურთიერთობის შესაძლებლობას.

თუმცა აღნიშნული ხარვეზის საპასუხოდ შეიძლება ითქვას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, მოქალაქეებს აქვთ კომუნიკაციის შესაძლებლობა ნებისმიერი სამსახურის წარმომადგენლებთან ელექტრონული ფოსტის დახმარებით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გვერდზე არსებობს ველი - **„დაუკავშირდი ხელისუფლებას". ამავე გვერდზე აღნიშნულია ცხელი ხაზის ნომერი 595 909005,** რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობს.

კითხვაზე, **არსებობს თუ არა ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების წარდგენის მექანიზმი/ფორმა? -** ინფორმაციის მისაღებად შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი. არსებობს ელფორმით საიტიდან წერილის, საჩივრის მიწერის საშუალება (http://baghdati.gov.ge/ge/contact); (http://baghdati.gov.ge/ge/contact), ყველა შესაძლო ველის შემოწმების საფუძველზე დასტურდება, რომ ვებგვერდზე მიბმულია საიტი - https://mkhileba.gov.ge/. აღნიშნულ საიტზე „მხილება" ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გააგზავნოს საჩივარი, დაწეროს პრეტენზია, ამხილოს ნებისმიერი საჯარო მოხელე, ანონიმურობის დაცვის გარანტიით (სახელის და გვარის მითითების ველის შევსება არ არის სავალდებულო).

მსგავსი ფორმით ონლაინ კომუნიკაციის შესაძლებლობა ხაზს უსვამს მუნიციპალიტეტის მზაობას, მოქალაქეებთან კომუნიკაციის პროცესი იყოს გამჭვირვალე. თუმცა, სასურველია, არსებობდეს უფრო გამარტივებული ფორმა, რომელიც მოქალაქეებს პირდაპირ დააკავშირებს ადგილობრივი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან.

რამდენად ღიად და გამჭვირვალედ მიმდინარეობს მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის ანგარიშგების პროცესი, **ქვეყნდება თუ არა ონლაინ: ფინანსური ანგარიშები, დამტკიცებული ბიუჯეტი, ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები, წლიური ანგარიში, შესყიდვის გეგმა? ვებგვერდის http://baghdati.gov.ge/ge/documents შესწავლისას ირკვევა, რომ ვებგვერდზე ატვირთულია მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი, მასზე მიბმულია მისი შესრულების ერთწლიანი ანგარიშები, ხოლო 3, 6, 9 თვიანი ანგარიშები ონლაინ არ არის ატვირთული. არ იძებნება ასევე ცალკეული სამსახურების ანგარიშები, რაც გამჭვირვალობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დეტალია.**

მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვით მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ **მუნიციპალიტეტის ვებგვერდის სტრუქტურა გამართულია, კანონის შესაბამისად, გვერდზე იძებნება საჯარო ინფორმაციები; მაგ.:** თანამდებობის პირების ბიოგრაფიები; საკრებულო/მერიის სხდომების დღის წესრიგი; საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები; დადგენილებები; სხვადასხვა დეპარტამენტის/განყოფილების ანგარიშები http://baghdati.gov.ge/ge/documents

გაჭვირვალობა გულისხმობს საჯარო მოხელეებთან შეხვედრების შესაძლებლობის ხელმისაწვდომობას, რამდენად გამარტივებულია ეს პროცესი მუნიციპალიტეტში; **აქვთ თუ არა მოქალაქეების მიღების, კონსულტაციების საათები მერს; მერის მოადგილეს; საკრებულოს თავმჯდომარეს; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს; დეპუტატებს; დეპარტამენტების მოადგილეებს და გამოქვეყნებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე? -** ამ საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის დათვალიერებისას დასტურდება, რომ მერის და სხვა თანამდებობის პირებთან კონსულტაციების და **მიღების საათების შესახებ ინფორმაცია არ არის განთავსებული.**

აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის შესავსებად პირისპირ შეხვედრა ჩატარდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტთან, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტში დაწესებულია კონკრეტული დღეები მოქალაქეებთან შეხვედრისათვის. მაგალითად, მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან შეხვედრა კვირაში 2 დღე, 3 საათი. დანარჩენი სამსახურის წარმომადგენლებთან - თავისუფალი გრაფიკით ნებისმიერ დროს. **ვებგვერდზე აღნიშნული ინფორმაციის განთავსება მნიშვნელოვანია მოქალაქეებთან კომუნიკაციის გამარტივების კუთხით.**

მოქალაქეთა ჩართულობა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გამჭვირვალობის ხარისხს მნიშვნელოვნად ამაღლებს. რამდენად არის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამები მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი? **აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს: მონაწილეობითი ბიუჯეტი? სოციალური ბიუჯეტი? გენდერული ბიუჯეტი?** ირკვევა, რომ **მონაწილეობითი ბიუჯეტი მუნიციპალიტეტს არა აქვს, აქვს სოციალური ბიუჯეტი.** არ აქვს ცალკე გენდერული ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტში მუშაობს გენდერული პროგრამები, რაც ჩაშლილია სხვადასხვა ქვეპროგრამაში.

ინფორმაციის მოკვლევა მოხდა საბიუჯეტო დაგეგმვის, ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსთან ინტერვიუს მეშვეობით. ასევე შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი http://baghdati.gov.ge/.

ამავე წყაროებზე დაყრდნობით გენდერული ბიუჯეტის პროცენტული იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. რაც შეეხება სოციალურ ბიუჯეტს, მისი პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 7.4%-ს.

რამდენად ინერგება მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობა ანტიკორუფციულ ზომებთან დაკავშირებით? მიღებულია თუ არა მუნიციპალიტეტში ზომები? რამდენად **ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ანტიკორუფციული გეგმები, დებულება, ფინანსური რეგულაციები, დებულება ეთიკური ქცევის შესახებ? - ამ კითხვებზე ინფორმაციის მოსაძიებლად** მონიტორინგის პროცესში გამოკითხულ იქნენ თვითმმართველობის წარმომადგენლები მათი უფლებამოსილებების ფარგლებში. ასევე შესწავლილ იქნა ვებგვერდი, რითაც მოხდა მუნიციპალიტეტის სამართლებრივ ბაზაში ანტიკორუფციული მექანიზმების არსებობის შემოწმება. **დასტურდება, რომ ვებგვერდზე ატვირთული არ არის შესაბამისი მასალები.** ინფორმაციის დაზუსტების მიზნით ანგარიშვალდებულ პირებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ანტიკორუფციული მექანიზმის სახით მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობს: ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონით (https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550) და საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ მთავრობის დადგენილებით (https://matsne.gov.ge/ka/document/view/3645402?publication=0).

ეფექტიანობა

მონიტორინგში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრა. მოკვლეული მასალებით დასტურდება, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტს აქვს შესაბამისი სამუშაო სტრუქტურა, გამართული ონლაინ გვერდი, რაც განსაზღვრავს საკუთარ მოქალაქეებთან ეფექტიანი თანამშრომლობის შესაძლებლობას.

მერიისა და საკრებულოს უფლებამოსილი პირების ინტერვიუირებით, თანამდებობის პირებთან პირისპირ შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციებით ირკვევა, **რომ საკრებულოში მოქალაქეებთან შეხვედრებისთვის,** გეგმის თანახმად, დადგენილია კვირაში ორი დღე.

საჭიროების შემთხვევაში ორივე ორგანოსთან შეხვედრები, ფაქტობრივად, ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, სამართლებრივი დოკუმენტის გარეშე.

არის თუ არა განსაზღვრული **მოქალაქეების საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობა? -** უფლებამოსილ პირთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ საჩივრებზე პასუხის მიღების დღეების რაოდენობა შეესაბამება კოდექსით დადგენილ ვადებს - 10 სამუშაო დღე, რასაც საფუძვლად უდევს შემდეგი დოკუმენტები: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის საფუძვლები, მერიის დებულება და საკრებულოს ***<u>რეგლამენტი</u>***. ***<u>სასურველია, ანგარიში ამ საკითხზე არსებობდეს ვებგვერდზე.</u>***

- ხელმისაწვდომი ელექტრონული მომსახურების რაოდენობა: წერილების წარდგენა; პეტიციები; საჩივრები; შეხვედრაზე დარეგისტრირება; პასუხის მიღება და ა.შ. - ამ საკითხზე ინფორმაცია მოძიებულ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე http://www.baghdati.gov.ge/.

<u>გვერდზე არ იძებნება ანგარიში შემოსული წერილების, საჩივრების, პეტიციების შესახებ,</u> მსგავსი პრაქტიკა მუნიციპალიტეტში არ არსებობს.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობას ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს საჯარო მოხელეთა პროფესიონალიზმი, მათი მაღალი კვალიფიკაცია. ამ მიმართულებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე **აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს თანამშრომელთა განვითარების გეგმა? -** დასტურდება, რომ თანამშრომელთა განვითარების გეგმა დამტკიცებულია ბრძანებით 41 549.

აღნიშნული გეგმის საფუძველზე 2019 წელს გადამზადდა 12 საჯარო მოხელე. ინფორმაცია დასტურდება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუდან მიღებული მასალით. **<u>ვებგვერდზე აღნიშნული ინფორმაცია არ იძებნება.</u>**

მონიტორგი იძლევა ინფორმაციას, რამდენი იყო **ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა: დეპუტატებისთვის, საკრებულოს, მერიის თანამშრომლებისთვის (სულ, ბოლო წლის მანძილზე), რა თემაზე ჩატარდა ტრენინგები.**

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ 2019 წელს 4 ტრენინგი ჩატარდა. არსებობს მივლინების ბრძანება 411960; 41 1340; 41 1551; 41 1255.

საკრებულოს და მერიის თანამშრომლები მივლინებულნი იყვნენ ტრენინგებზე, რომლებიც მოიცავდა შემდეგ თემებს: საზოგადოებასთან ურთიერთობა, იურიდიული საკითხები, მოხელის შეფასება, შეფასების დანერგვა ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსით.

გამოკითხვით დასტურდება, რომ **ტრენინგებში მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პროცენტული მაჩვენებელი (სულ და ბოლო წლის მანძილზე)** შეადგენს მოხელეთა საერთო რაოდენობის 12%-ს.

აღნიშნული ინფორმაცია ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ჩატარებულ ინტერვიუს, ასევე არსებობს ბრძანება - 41 549.

კითხვაზე, **გამოიყენება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რაიმე სახის ინსტრუმენტი ან ტექნიკა საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის (მაგალითად, ცოდნის მართვის კუთხით)? - ვორკშოპები, ტრენინგები, ანგარიშები, ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა განყოფილებასა და დეპარტამენტს შორის -** ადამიანური რესურსების სამსახურის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ შეხვედრების, ტრენინგების შედეგად მიღებული ინფორმაციების და ცოდნის გაზიარება ხდება სხვადასხვა სამსახურსა და განყოფილებას შორის, რაც ხელს

უწყობს საჯარო მოხელეთა პროფესიონალურ განვითარებას და საქმიანობის ხარისხიან წარმართვას. ***სასურველია, ვებგვერდზე არსებობდეს ინფორმაცია ამ შეხვედრების ანგარიშებზე.***

მუნიციპალიტეტს არა აქვს შემუშავებული ***მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები.*** შეფასების კუთხით, ძირითადად, აუდიტის შეფასებას ეყრდნობიან. აღნიშნული ინფორმაცია ეფუძნება მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ჩატარებულ ინტერვიუს.

ეფექტიანობის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია საუკეთესო გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. რა ხდება ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში? **გასული წლის მანძილზე რამდენი შეხვედრაა ჩატარებული სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით?** გუბერნიებში იმართება ყოველთვიური შეხვედრები, სადაც მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ხელმძღვანელი პირების მიერ ადგილზე ხდება მიღებული ინფორმაციების გავრცელება. ასეთი შეხვედრების შესახებ ***ოფიციალური დოკუმენტი, ანგარიში არ არსებობს.***

მონიტორინგით ნათელი ხდება, რამდენად ეფექტიანია საკანონმდებლო ხელისუფლების მუშაობა, **არის თუ არა საკრებულოს სხდომების ჩატარების ერთი წლის/ერთი თვის გეგმა? - ამ საკითხზე** უფლებამოსილ პირთან ჩატარებული ინტერვიუთი დასტურდება, რომ არსებობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2417270, გარდა ამისა, არსებობს ყოველთვიურად საკრებულის სხდომის ჩატარების განრიგი.

მუნიციპალიტეტში ეფექტიანობის საზომად მნიშვნელოვანია მონიტორინგის სისტემის არსებობა, **დაწესებულია თუ არა მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმა? - დასტურდება, რომ** მუნიციპალიტეტის აუდიტის სამსახურს აქვს სამსახურების პერიოდული მონიტორინგის უფლებამოსილება, აღნიშნული გაწერილია ასევე შესაბამისი კანონმდებლობით. აუდიტის სამსახურის დებულება - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4006551?publication=1.

ინკლუზიურობა

მონიტორინგით განისაზღვრა ისეთ მნიშვნელოვან ელემენტზე ფოკუსირება, როგორიც არის ინკლუზიურობა. აღნიშნულ ბლოკში თავს იყრის ინფორმაციები, რომლებიც ხაზს უსვამს ინკლუზიურობის საკითხის პრიორიტეტულობას მუნიციპალიტეტში, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებობს ბევრი გამოწვევა და სამუშაო.

შეკითხვაზე, არის თუ არა პანდუსები მერიის/საკრებულოს შენობებში? - გარე დაკვირვებით დასტურდება, რომ ეს საკითხი ნაწილობრივ არის გადაწყვეტილი, შენობის შესასვლელში არის გარე პანდუსი, შენობის შიგნით კი, როგორც მუნიციპალიტეტების დიდ ნაწილში, ეს საკითხი მოუგვარებელია.

- არის თუ არა არადისკრიმინაციული მუნიციპალიტეტის განცხადებები ვაკანსიების შესახებ? - მონიტორინგის პროცესში შემოწმდა ვებგვერდი http://baghdati.gov.ge/https://www.hr.gov.ge/. ვაკანსიის შესახებ განცხადების ტექსტის შეფასებისას არ იკვეთება რაიმე სახის დისკრიმინაციული შეზღუდვები. მაგ., ასაკი, სქესი, შშმ პირები, რელიგიური და ეთნიკური მხარე და სხვა. შესაბამისად, ვაკანსიების შესახებ ტექსტები არადისკრიმინაციულია.

რამდენად არის გენდერული ბალანსი დაცული მუნიციპალიტეტში? **როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი? -** ამ საკითხებზე ინფორმაციის მოძიებით გამოვლინდა, რომ ეს საკითხი რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საკრებულოს რეგლამენტით. თვითმმართველობაში და-

საქმებული ქალების რაოდენობა 37%-ია. აღნიშნულ მაჩვენებელს ადასტურებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუ.

ადგილობრივ თვითმმართველობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მერი, მერის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე) მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი 2.9%-ს შეადგენს.

ხელმისაწვდომია თუ არა არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურება? - ინტერვიუ თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელთან, ადასტურებს, რომ ამ ტიპის მომსახურება მუნიციპალიტეტში არ არის ხელმისაწვდომი. რადგან ამის საჭიროება არ არის გამოკვეთილი მუნიციპალიტეტში სხვა ეთნიკური ჯგუფების არარსებობის გამო.

ინკლუზიურობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, **,არის თუ არა მუნიციპალიტეტში საკონტაქტო პირი ურთიერთობისთვის მოწყვლად ჯგუფებთან: ქალები, სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (სმენის, მხედველობის, გადაადგილების პრობლემით) -** მონიტორინგით დასტურდება, რომ <u>**მსგავსი ტიპის საშტატო ერთეული არ არსებობს, ამ საქმეს ითავსებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი.**</u>

მუნიციპალიტეტში მუშაობს შშმ პირთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, სოციალური სამსახური. თითოეული ამ სფეროს წარმომადგენელი მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

ინკლუზიურობის საკითხში რამდენად კომპეტენტურები არიან თვითმმართველობაში დასაქმებული პირები, **აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტში (მერიაში, საკრებულოში) ცოდნა ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესახებ?**

იციან თუ არა საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ; კანონდებლობა შრომის უფლებების შესახებ; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია?

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ჩატარებულ ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტში აქვთ ინფორმაცია ჩამოთვლილი კანონმდებლობის შესახებ და მათი მუშაობა აღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ხორციელდება.

კითხვაზე - მუნიციპალიტეტში მოქმედებს თუ არა ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ?

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ინტერვიუში ადასტურებს, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილია სამოქალაქო, მრჩეველთა, შშმ პირთა და გენდერული თანასწორობის საბჭოები. მათი მუშაობა ეფუძნება შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებს: არსებობს შშმ პირთა საბჭოს დებულება - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2856192?publication=2); გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება - (https://matsne.gov.ge/ka/document/view/3652627?publication=2); თან ერთვის ბრძანება - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაფუძნების შესახებ N41 642.

არსებობს თუ არა ადგილებზე გენდერული ბიუჯეტირება/ცოდნა მისი ფუნქციონირების შესახებ? - მონიტორინგიდან ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტში გენდერული პროგრამები არსებობს, თუმცა კომპეტენტური ცოდნა გენდერული ბიუჯეტირების, მისი ფუნქციონირების შესახებ არ არსებობს. ინფორმაცია ეყრდნობა საბიუჯეტო დაგეგმვის, ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსთან ჩატარებულ ინტერვიუს.

შესაძლებელია <u>**მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება გენდერუ-**</u>

ლი ბიუჯეტირების საკითხებზე ტრენინგებით, ვორკშოპებით, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის დატვირთვას გენდერული პროგრამებით.

მონიტორინგიდან ირკვევა, რომ თვითმმართველობა დაინტერესებულია სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტში მუშაობს **საკონტაქტო პირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან/სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის.** ინფორმაცია დასტურდება თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად.

არსებობს დანიშვნის ბრძანება 41 974 თარიღი 01.08.2018. ასეთი პირი არის მირიან ცინცაძე, მერის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში.

არსებობს თუ არა მერიაში და საკრებულოში: მრჩეველთა საბჭო; გენდერული საბჭო; სხვა საბჭოები, სამუშაო ჯგუფები?

აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის მოსაძიებლად შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, რასაც დაემატა ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან. მიღებული ინფორმაციების შესაბამისად დასტურდება, რომ აღნიშნული საბჭოები შექმნილია მუნიციპალიტეტში, მათი მუშაობა ეფუძნება შემდეგ საკანონმდებლო აქტებს:

შშმ პირთა საბჭოს დებულება - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2856192?publication=2

გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3652627?publication=2

თან ერთვის ბრძანება - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაფუძნების შესახებ N41 642.

რეკომენდაციები ცალკეული სეგმენტების მიხედვით

გამჭვირვალობა

გამჭვირვალობის თვალსაზრისით, სასურველია, გაანალიზდეს მოქალაქეთა ონლაინ აქტიურობის მაჩვენებელი და, მიღებული შედეგების შესაბამისად, დაინერგოს ახალი მექანიზმები ელექტრონულ ფოსტაზე, ვებგვერდზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გამარტივების კუთხით.

ვებგვერდზე არსებული საიტის „მხილება“ (https://mkhileba.gov.ge/) ელექტრონულად შემოსული წერილების, საჩივრების გაანალიზება და შესაბამისი ანგარიშის ატვირთვა. ამ ტიპის ინფორმაციები მოქალაქეებში გააძლიერებს ნდობის ფაქტორს და ხელს შეუწყობს გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის მერთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან კონსულტაციების და მიღების საათების შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყოს ვებგვერდზე.

გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკის დანერგვა - აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა მუნიციპალიტეტში გახსნის ახალ ფანჯარას სამოქალაქო იდეების და ინიციატივების რეალიზების კუთხით.

მონიტორინგით იკვეთება, რომ ანტიკორუფციული მექანიზმის სახით მუნიციპალიტეტში ხელმძღვანელობენ ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონით და საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ მთავრობის დადგე-

ნილებით, რეკომენდებულია, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ანტიკორუფციული გეგმა, ანტიკორუფციული დებულება, ფინანსური რეგულაციების დოკუმენტი. ასევე მართებულია, შეიმუშაოს ეთიკური ქცევის დებულება.

აღნიშნული დოკუმენტები გააძლიერებს ანტიკორუფციულ მექანიზმებს მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტის პრაქტიკაში სასურველი იქნება ბიუჯეტის ფინანსური შესრულების 3, 6 და 9 თვის ანგარიშების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, რათა მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იყოს. მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის ასევე მართებულია შესყიდვის გეგმისა და ანგარიშის განთავსება.

ეფექტიანობა

მეტი ეფექტიანობის მიზნით ვებგვერდზე შესაძლებელია ახალი ველის გახსნა, თანამდებობის პირებთან პირდაპირი კონსულტაციების და საჭირო ინფორმაციების მისაღებად (მაგალითად, კითხვა ქალაქის მერს: საკრებულოს თავმჯდომარეს, სამსახურის უფროსს და ა. შ.).

საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის რეკომენდებულია, ოფიციალური დოკუმენტით განისაზღვროს შეხვედრების, ტრენინგების შედეგად მიღებული ინფორმაციების გაცვლის პრაქტიკის დანერგვა, შესაბამისი ანგარიშების ვებგვერდზე განთავსება. აღნიშნული პრაქტიკის დაკანონება ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებული პირების მხრიდან ინფორმაციის გაცემის პასუხისმგებლობის გაზრდას და ინოვაციური მეთოდების დამკვიდრებას მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტში სიახლეების დანერგვის მიზნით სასურველია სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კუთხით შეხვედრების ციკლის ჩატარება, ამ შეხვედრების ანგარიშის და ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება.

ვინაიდან მუნიციპალიტეტს არა აქვს შემუშავებული მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები და, ძირითადად, აუდიტის შეფასებას ეყრდნობიან, რეკომენდებულია მომსახურების შეფასების მექანიზმის შექმნა, შეფასებისთვის საჭირო ფორმების შემუშავება და დამტკიცება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის მუშაობის ეფექტიანობას.

რეკომენდებულია მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა. ეს პრაქტიკა გამართლებულია სხვა მუნიციპალიტეტებში, ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას და სამოქალაქო სექტორის გააქტიურებას.

ინკლუზიურობა

ვინაიდან მუნიციპალიტეტში გენდერული პროგრამები არსებობს, მნიშვნელოვანია კომპეტენციის გაზრდა გენდერული ბიუჯეტირების ფუნქციონირების შესახებ, რაც ასევე სპეციალიზებული ტრენინგებით არის შესაძლებელი. ამ საკითხზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ხელს შეუწყობს გენდერული ბიუჯეტის პარამეტრების გაზრდას.

მონიტორინგით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების ინფორმირება პერიოდულად ხდება ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესახებ, მაგრამ დოკუმენტირებულად ეს ინფორმაცია არ დევს, სასურველია სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტაციის განთავსება ვებგვერდის შესაბამის ველზე.

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

ხონის მუნიციპალიტეტი

მოამზადა ნაზი ჯიქია

განათლებისა და განვითარების ცენტრის „ედელვაისის“ თავმჯდომარე

შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად,[20] ქვეყანამ თავის თავზე სიღრმისეული საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება აიღო, რაც გამოიხატება ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ინკლუზიური, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნაში, რომლის განხორციელება ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2015 წელს, აქტიურ ფაზაში შევიდა.

რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020,** რომლის ჯეროვნად შესრულებისთვის, 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამი ეროვნული სამოქმედო გეგმა იქნა დამტკიცებული.[21] რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა** (PAR), რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა. საგულისხმოა, რომ ადგილებზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა როგორც რეფორმის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, ასევე მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში.

PAR-ის ახალ, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში **ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით გათვალისწინებულია** ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ

[20] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4 ხელმისაწვდომია

[21] საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020, გვ. 4, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/72422–72422–512614–სამოქმედოგეგმა2019-2020–აღწერილობა.pdf

თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებდა მოქალაქეების მიერ დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე, საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის კომუნიკაციის პროცესს და უზრუნველყოფდა მათ აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მომსახურების დანერგვა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო მოსახლეობის მონაწილეობა და ანგარიშვალდებულების არსებული პრაქტიკა საკმაოდ სუსტია. 2019 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით,[22] მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი 32%-ს შეადგენდა, ხოლო საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის საშუალება მუნიციპალური ვებგვერდების 20%-ს გააჩნდა.

ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას რეგიონებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს მოშორებულ ლოკაციებში, მნიშვნელოვნად აფერხებს ინტერნეტის მიწოდების ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, ინტერნეტ მომსახურების მაღალი საფასური, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ტექნოლოგიების მოხმარების სუსტი უნარ-ჩვევები. რეფორმის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების და, ზოგადად, მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა და ჩართულობა მონიტორინგის განხორციელების პროცესში დამატებით წინაღობას ქმნის საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით გატარებისთვის. შესაბამისად, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, მათი აქტიური ჩართულობით პოლიტიკური დიალოგის წამოწყება და რეფორმის მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს.

მონიტორინგის მიზანი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ხელშეწყობისთვის, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“. აღნიშნული პროექტი გამიზნულია, დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნის და გაძლიერების გზით, უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა და კონტროლი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის 8 მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესზე.

<u>მონიტორინგის მიზანია</u> ადგილობრივი ხელისუფლების **ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის** ხარისხის შესწავლა, ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციასა და მიგნებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება.

[22] ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, „საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება“ 2019, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload/IDFI–2019/General/LSGINDEX–Report–GEO.pdf

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი - ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, 2020 წლის 27 იანვრის-28 თებერვლის პერიოდში. მონიტორინგის პროცესში აქტიურად ჩაერთო პროექტის ფარგლებში 2019 წლის ოქტომბერს ჩამოყალიბებული „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი“, რომელმაც გააერთიანა სამიზნე რეგიონებში სხვადასხვა პროფილის და განსხვავებულ თემატურ მიმართულებებზე მომუშავე 16 საზოგადოებრივი ორგანიზაცია[23].

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა პროექტის პარტნიორების მიერ წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმის და კითხვარების საფუძველზე, რომელიც შეფასების 32 სხვადასხვა კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა (იხ. დანართი „კითხვარი“). რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილებზე დაკვირვების საფუძველზე. ინფორმაციის მოძიების და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ყველა ოფიციალური ონლაინ წყარო, რაც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

მიღებული შედეგების ანალიზი

წინამდებარე ანგარიში ასახავს ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, რომელიც ჩატარდა დევნილთა საინიციატივო ჯგუფის და ხონის განათლებისა და განვითარების ცენტრის „ედელვაისის“ მიერ კურატორი ორგანიზაციის - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ დახმარებით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი მსგავსი მონიტორინგის განხორციელება, რაც საფუძვლად დაედება ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

მონიტორინგში ჩართული გუნდი გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის თანამშრომლებს, საფინანსო სამსახურს, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს, საკრებულოს აპარატის უფროსს, საკრებულოს დეპუტატებს.

პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში იმერეთში, კერძოდ, ხონის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა კვლევა - საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის მონიტორინგის შესახებ.

კვლევის საფუძველი იყო სამი ძირითადი ინდიკატორი - გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ინკლუზიურობა. თითოეული მათგანი თვითმმართველობის უმთავრესი კომპონენტია და განმტკიცებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

[23] სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://csoforum.ge/index.php/ka/about-forum-ka-1

გამჭვირვალობა

თვითმმართველობას **გამჭვირვალობისა და ინფორმირებულობის** ვალდებულება საკუთარ მუნიციპალურ საზღვრებში ეკისრება. მოსახლეობის ინფორმირებულობას, ინფორმაციის პროაქტიულად (დაუყოვნებლივ) გავრცელებას თვითმმართველობას ავალდებულებს საქართველოს მოქმედი კანონი თვითმმართველობის შესახებ; ასევე ღია მმართველობის დანერგვის რეფორმით (OGP) ნაკისრი ვალდებულება.

ხონის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მონიტორინგი, მათი საქმიანობის გამჭვირვალობის აღწერისა და შეფასების მიზნით, ეფუძნება არსებული ელექტრონული პორტალის khoni.gov.ge დაკვირვებას, კანონმდებლობის, შიდარეგულაციების ანალიზს და გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის შესწავლას.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხონის მუნიციპალიტეტს აქვს ვებგვერდი და ოფიციალური ფეისბუქგვერდი. მუნიციპალიტეტში გამოდის ოთხი გაზეთი: „ხონი“, „თაობა“, „თანადგომა“, „ათინათი“.

ხონის მუნიციპალიტეტს აქვს მოქალაქეთა მისაღები. არ ფუნქციონირებს ცხელი ხაზის ნომერი. ამ ეტაპზე ვებგვერდზე მითითებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომლის ნომერი, რომელიც საჯარო ინფორმაციის გაცემაზეა პასუხისმგებელი. მუნიციპალური სერვისების თაობაზე ინფორმაციის მიღება ტელეფონით/დისტანციურად ხელმისაწვდომი არ არის.

2014 წლიდან დღემდე საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა მკვეთრად გააუმჯობესა სისტემის ფუნქციონირება. შემუშავდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეეხო საჯარო სამსახურში ღია კონკურსის საფუძველზე თანამშრომელთა აყვანას, გამარტივდა კონკურსის გამოცხადებისა და განაცხადის გაკეთების პროცესი. ხონში საკრებულოს და მერიის ვაკანსიებთან დაკავშირებით ონლაინ განცხადებები ხელმისაწვდომია როგორც მერიის ფეისბუქგვერდზე, ისე ვებგვერდზე khoni.gov.ge და ქვეყნდება საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე hr.gov.ge. დაცულია ვაკანსიათა გამოქვეყნების ვადები.

რაც შეეხება თვითმმართველობის თანამდებობის პირთა მონაცემების, ბიოგრაფიების, სამუშაო გამოცდილების, კვალიფიკაციისა და საკონტაქტო ინფორმაციის საჯაროობას, მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან დაცულია ყველა მოთხოვნა და საჯაროობა სრულად არის უზრუნველყოფილი. საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს წევრთა შესახებ ინფორმაცია ელექტრონულ პორტალზე სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი.

ხონის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი არ იძლევა საშუალებას, რომ მოქალაქემ, დაინტერესებულმა პირმა საჩივარი, განცხადება ონლაინ რეჟიმში წარადგინოს. ვებგვერდზე khoni.gov.ge არსებობს ფანჯარა, სადაც მითითებულია, რომ შესაძლებელია წინადადებებისა და წერილების ონლაინ გაგზავნა, თუმცა აღნიშნული ველი რეალურად არ მუშაობს. როგორც განგვიმარტეს, არსებობს ტექნიკური ხარვეზი.

ხონის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ქვეყნდება დამტკიცებული ბიუჯეტი, შესყიდვების გეგმა. ბიუჯეტის 9 თვისა და წლიური ანგარიშები წარმოდგენილია ახალი ამბების ველში (არ არის გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტი). არ იძებნება ბიუჯეტის შესრულების 3 და 6 თვის და შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშები, შესყიდვების ანგარიშის დოკუმენტები.

მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე khoni.gov.ge საკმაოდ ნათლად არის წარმოდგენილი საკრე-

ბულოს დადგენილებები, მიღებული და დამტკიცებული ნორმატიული აქტები. ვებგვერდზე არ იძებნება ინფორმაცია სამსახურებისა და განყოფილებების ანგარიშების შესახებ.

საკონტროლო ვიზიტებით დადასტურდა, რომ მერიაში მიღების დღეებში მუნიციპალიტეტის მერი და მისი მოადგილეები ხვდებიან მოქალაქეებს და ისმენენ მათ საჭიროებებს. ამის დასტურია ასევე ნუსხა (დოკუმენტი), რომელიც კვირის განმავლობაში მერიაში იქმნება და სადაც შეხვედრის მსურველ მოქალაქეთა მონაცემებია მოყვანილი.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამომდინარე იქედან, რომ არ არის განსაზღვრული მოქალაქეთა მიღების კონკრეტული დღეები, ძნელი დასაზუსტებელია, რამდენად დაცულია მოქალაქეთა უფლებები და ეძლევა თუ არა საშუალება მათ, რომ შეკითხვებზე პასუხები უშუალოდ საკრებულოს წევრებისგან მოისმინონ. თუმცა საკრებულოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ეს დღეები თავისუფალია, ისინი ყოველდღე მზად არიან მოქალაქის მისაღებად და დღემდე ამ პრაქტიკით მუშაობენ. მერიაში მოქალაქეთა მიღების დღეების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზეც.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს მონაწილეობითი და გენდერული ბიუჯეტი.

რაც შეეხება სოციალურ ბიუჯეტს, მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს სოციალური პროგრამები. მოქმედებს სოციალური პროგრამების მიღებისა და გაცემის წესი (ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №88 2019 წლის 7 მარტი).

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საკუთარი ანტიკორუფციული ზომები, გეგმები, დებულება. არ გააჩნია საკუთარი ფინანსური რეგულაციები. არ არსებობს ეთიკური ქცევის დებულება. გადაწყვეტილების მიმღები პირები ხელმძღვანელობენ ქვეყანაში არსებული ანტიკორუფციული ზომებითა და კანონმდებლობით, ფინანსური რეგულაციებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხონის მუნიციპალიტეტს გააჩნია „გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2019-2022 წწ.“ (ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №40 74 25.12.2019), რაც წინგადადგმული ნაბიჯია და არსებული ხარვეზების აღიარების და პრობლემების ეტაპობრივად მოგვარების ცალსახა გეგმა და გარანტია.

ეფექტიანობა

თვითმმართველობას საქმიანობის განხორციელების პროცესში **ეფექტიანობის** ვალდებულება გააჩნია, რაც გულისხმობს მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის ზრდას თვითმმართველობის საქმიანობაში.

ხონის მუნიციპალიტეტში მონიტორინგის განხორციელების პროცესში ეფექტიანი მმართველობის თვალსაზრისით შემდეგი სურათი მივიღეთ:

მერი და მოადგილეები მოქალაქეებს ოფიციალურად თვეში 8 დღის განმავლობაში ხვდებიან და მათ პრობლემებს ისმენენ. არაოფიციალურად, ადგილზე ყოფნის შემთხვევაში, მერიის საჯარო მოხელეები შეუზღუდავად, დაუყოვნებლივ იღებენ მოქალაქეებს და მათ საჭიროებებს ისმენენ.

რაც შეეხება საკრებულოს, არანაირი ჩანაწერი არ არსებობს, რომელიც განსაზღვრავს კვირის რომელი დღე, დრო აქვთ საკრებულოს ხელმძღვანელ პირებს მოსახლეობასთან შეხვედ-

რებისთვის გამოყოფილი. თუმცა აღნიშნეს, რომ ეს დღეები თავისუფალია, ისინი ყოველდღე მზად არიან მოქალაქის მისაღებად და დღემდე ამ პრაქტიკით მუშაობენ.

საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის თვითმმართველობის ორივე რგოლში, ძირითადად, 3-დან 10 დღემდე ვადას იყენებენ. თუმცა, საკითხის მოცულობიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში გაცილებით მეტი დრო სჭირდება დოკუმენტაციის მომზადებას.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ წერილების, საჩივრების წარდგენა და პასუხების მიღება ელექტრონულად შესაძლებელია მერიის ელექტრონული ფოსტის საშუალებით khonismeria@yahoo.com, მაგრამ ვებგვერდზე არ არის ფანჯარა პეტიციის წარსადგენად, არ არის შესაძლებელი შეხვედრებზე ელექტრონულად დარეგისტრირება.

ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წლის მაისის მონაცემებით, დასაქმებულია 127 თანამშრომელი (აქედან 3 პოლიტიკური თანამდებობის პირი, 106 საჯარო მოხელე, 18 ხელშეკრულებით აყვანილი პირი). ეს ციფრი არ მოიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებული პირების თაობაზე. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 ა(ა)იპ, მათ შორის კომუნალური სერვისები, სასაფლაო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სოციალური, სპორტის, ტურიზმისა და კულტურის მიმართულებებით.

დღემდე გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების შეფასებისა და მათი მომზადება/გადამზადების საკითხების სტანდარტიზაცია და თანმიმდევრული განხორციელება. ხონის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და საჯარო მოხელეებისთვის 2019 წლის პერიოდში ჩატარებულ იქნა 40 ტრენინგი (ჯამში - მერიისა და საკრებულოს 80-მდე თანამშრომელმა გაიარა, ანუ 56%-მა.) ძირითადი თემები იყო: ელწარმოება, კომუნიკაცია, სოციალური სერვისების მიწოდება/დანერგვა, ფინანსები, სახელმწიფო შესყიდვები, ბუღალტერია, ქონების მართვა, კოოპერირება, სტატისტიკა და გენდერული საკითხები. ტრენინგები თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, თვითმმართველობაში შემუშავებულია „მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიული დოკუმენტი“, სადაც პრიორიტეტულ საკითხთა შორის მითითებულია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ აღნიშნული პრობლემა 2020-2021 წწ. ეტაპობრივად მოგვარდება, მოხდება თანამშრომელთა გადამზადება საჭიროებების მიხედვით.

ხონის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში, ინფორმაციის გაცვლის და თანამშრომელთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, კვირაში ერთხელ იმართება სამუშაო შეხვედრა. სამუშაო შეხვედრას ესწრებიან სამსახურების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები და თანამდებობის პირები, რომლებიც, თავის მხრივ, მიღებულ ინფორმაციას თანამშრომლებს უზიარებენ.

შიდა აუდიტის შეფასება და კონტროლი გეგმის მიხედვით ხორციელდება. იდება შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. „მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიულ დოკუმენტში“ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და ფორმები ცალსახად არის გაწერილი.

ადგილზე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ინსტრუმენტები დანერგილი არ არის. თვეში ერთხელ, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით, მუნიციპალიტეტების პირველი პირები და წამყვანი სამსახურების ხელმძღვანელები იკრიბებიან საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში, სადაც ხდება საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და დანერგილი სიახლეებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციების გაცვლა.

ინკლუზიურობა

მონიტორინგის პროცესში საკმაოდ საინტერესო სურათი გამოიკვეთა თვითმმართველობის მუშაობის პროცესში **ინკლუზიურობის** თვალსაზრისით, რაც გულისხმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლების რეალიზების შესაძლებლობის შექმნას, ასევე სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას მუნიციპალურ პროგრამებსა და სერვისებზე.

ხონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა ხორციელდება მერიის სოციალური სამსახურის მეშვეობით, რომლის შემადგენლობაშიც შედის სამსახურის უფროსი, განყოფილების უფროსი და ოთხი სპეციალისტი. სოციალური სამსახური ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მის მთავარ ფუნქციას მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამების ადმინისტრირება წარმოადგენს. ადგილობრივი სოციალური პროგრამები, ძირითადად, ავსებს სახელმწიფო პროგრამებს და უმეტეს შემთხვევაში ცენტრალური პროგრამების მსგავსად ეფუძნება ერთჯერად ფულად გასაცემელს. საყურადღებოა ადგილობრივი სოციალური პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია. ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა, ძირითადად, წინა წლებში ბენეფიციართა მომართვიანობას ეფუძნება და პროგრამებიც შემოსულ განცხადებებში მითითებული საჭიროებების მიხედვით განისაზღვრება. მუნიციპალიტეტში აღნიშნულ პროცესში მოსახლეობის ჩართულობის და საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა არ არსებობს, რაც გამოწვეულია შეზღუდული ფინანსური რესურსებით. ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იმერეთის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მწირია და 7 239 000 ლარს შეადგენს.

ხონის მუნიციპალიტეტისთვის გამოწვევად რჩება ბენეფიციარების საჭიროებების კვლევა და მონაცემთა ბაზის ფორმირება. ეს პრობლემა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რომლის მოგვარებაშიც ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად არასამთავრობო სექტორი და მოსახლეობა უნდა ჩაერთოს. ასევე ერთ-ერთი გამოწვევაა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ნაკლები ჩართულობა. ბუნებრივია, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მხრიდან ინტერესის გამოხატვა და მონაწილეობის მიღება ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვისა თუ სოციალური პროგრამების შემუშავების პროცესში, თუმცა, მეორე მხრივ, საჭიროა მუნიციპალიტეტის მხრიდან მეტი ძალისხმევის მიმართვა მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ახალი დონორების, დამატებითი რესურსების მოძიების პრაქტიკის დანერგვა, რაც არაერთი მნიშვნელოვანი ადგილობრივი საკითხის გადაჭრას შეუწყობს ხელს და გააუმჯობესებს მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობას.

ასევე კვლევამ გვიჩვენა, რომ ხონის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ შენობაზე პანდუსები მოწყობილი არ არის, რაც ქმნის ბარიერს და ირღვევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.

მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეთა ვაკანტური პოზიციების შესახებ მომზადებულ და გამოქვეყნებულ ტექსტებში არ იკვეთება დისკრიმინაციული მიდგომები.

მონიტორინგის შედეგად ნათელი გახდა, რომ გენდერული საბჭოს მიერ დამუშავებული სტატისტიკის მიხედვით, მუნიციპალიტეტში სულ დასაქმებულია 902 თანამშრომელი და მათ შორის არის 566 ქალი. ხონის მუნიციპალიტეტში საჯარო სექტორში დასაქმებულთა შორის 63% ქალია. წამყვან პოზიციაზე დასაქმებულია 232 პირი, მათ შორის 120 არის ქალი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მერიასა და საკრებულოში თარჯიმნის მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტში არ ცხოვრობენ ეთნიკურად განსხვავებული ოჯახები, საჭიროებაც არ გამოკვეთილა.

აღსანიშნავია ის, რომ ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში მოწყობილია სივრცე, მოქალაქეთა მისაღები, სადაც მოწყვლად ჯგუფებს სათანადო კომპეტენციის მქონე პირი, სპეციალისტი ესაუბრება და უწევს კონსულტაციას. საკრებულოს შენობაში მსგავსი მომსახურებისათვის გამოყოფილი სივრცე არ არსებობს.

ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობს იურისტთა გუნდი და არის სპეციალური განყოფილება, სადაც კომპეტენციები გადანაწილებულია. მათ შორის მუშაობს იურისტი, რომელიც დეტალურად ფლობს ინფორმაციას სოციალური მიმართულებით არსებულ კანონმდებლობაზე. რაც შეეხება ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აქაც მუშაობს სპეციალისტი, რომლის გამოცდილება და კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დებულებით მოთხოვნილ პირობებთან.

ხონის მუნიციპალიტეტის მერია ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას ითვალისწინებს. შემუშავებულია გამჭვირვალობის დოკუმენტი, რომლის სამოქმედო გეგმა 2020-2021 წლებში კონკრეტული აქტივობების განხორციელებას გულისხმობს.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ, ერთი მხრივ, არსებობს ცოდნა „გენდერული ბიუჯეტირების შესახებ“, მეორე მხრივ, პროგრამული ბიუჯეტირება პრაქტიკაში არ ხორციელდება.

სამოქალაქო სექტორთან და სამუშაო ჯგუფებთან და, ზოგადად, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით მერიაში მუშაობს საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების საზოგადოებასთან ერთიერთობის ორი სპეციალისტი და საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთი სპეციალისტი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შშმ პირთა საბჭო, მერის მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, სოციალურ სამსახურთან არსებული მრჩეველთა საბჭო.

მიღებული შედეგები და რეკომენდაციები

ა) ხონის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ცხელი ხაზი. ასევე საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების წესის შესრულებაში არის რიგი პრობლემები. მათ შორის, ბრძანებები, განკარგულებები, შესყიდვებისა და მერის 3 და 6 თვის ანგარიშები, საბჭოს სხდომები, აუდიტის დასკვნები, თანამდებობის პირთა საკონტაქტო და შეხვედრის დღეებთან დაკავშირებული ინფორმაცია პროაქტიულად გამოქვეყნებული არ არის. პეტიციის ონლაინ წარდგენისა და ონლაინ კონსულტაციის შესაძლებლობა საჭიროებს გამართვას, დახვეწას და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

რეკომენდაცია: უნდა დაინერგოს და ტექნიკურად გაიმართოს ცხელი ხაზის მუშაობის პრინციპი. აღნიშნულის შესახებ მოხდეს საზოგადოების ინფორმირება პირისპირ შეხვედრების ფორმატით, საინფორმაციო ბილბორდების განთავსებით და არსებული ონლაინ და ბეჭდური საშუალებებით.

საჭიროა განახლდეს მუნიციპალიტეტის ვებგვერდი khoni.gov.ge და ვებგვერდის გაზრდილი ფუნქციური მონაცემების თაობაზე მომზადდეს ანგარიში, რომლის შესახებაც საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიეწოდება.

ბ) გამოწვევას წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების

შესახებ“ 2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილება - კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების შეფასება და მათი მომზადება/გადამზადების საკითხების სტანდარტიზაცია და თანმიმდევრული განხორციელება.

რეკომენდაცია: უნდა განხორციელდეს მერიის თანამშრომელთა შეფასება და საჭიროებების გამოვლენა. უნდა შეიქმნას მერიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და მოკვლევის საფუძველზე უნდა დადგინდეს საჭირო ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ნუსხა.

გ) ერთი-ერთი გამოწვევაა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ნაკლები ჩართულობა. ბუნებრივია, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მხრიდან ინტერესის გამოხატვა და მონაწილეობის მიღება ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვისა თუ სოციალური პროგრამების შემუშავების პროცესში, თუმცა, მეორე მხრივ, საჭიროა მუნიციპალიტეტის მხრიდან მეტი ძალისხმევის მიმართვა მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია: მერის წარმომადგენლების ჩართულობით უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად მოწყვლადი პირების და ოჯახების შეფასება და მუნიციპალიტეტში დანერგილი სერვისების, პროგრამებისა და პროცესების შესახებ მათი ინფორმირებულობა. ამავდროულად, მოქმედი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების თაობაზე მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარება, ასევე პროგრამების ეფექტიანობის კვლევა საშუალებას მისცემს თვითმმართველობას, ბიუჯეტი ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული, დაბალანსებული, რიგითი მოქალაქე კი პროცესის მონაწილე გახადოს. რეკომენდებულია მრჩეველთა და თვითმმართველობაში მოქმედი სხვა საბჭოების გაძლიერება, ანგარიშგების პროცესისა და შედეგების პრეზენტაბელურობის გაზრდა.

დ) გამოიკვეთა, რომ მერიასა და საკრებულოში არ არსებობს თარჯიმნის მომსახურება, რაც არაქართულენოვან პირთა მომსახურების თვალსაზრისით პრობლემას წარმოადგენს.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში განისაზღვროს საჯარო მოხელე ან ხელშეკრულებით აყვანილი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უცხოენოვან მოქალაქეს თარჯიმნის მომსახურებას გაუწევს.

ე) საკრებულოსა და მერიის შენობები არ არის ადაპტირებული, რაც შშმ პირთა უფლებების ცალსახა დარღვევაა.

რეკომენდაცია: მოხდეს სათანადო სივრცითი დაგეგმარება და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შენობები გახდეს ადაპტირებული.

ვ) მუნიციპალიტეტს არ აქვს ანტიკორუფციული გეგმა, ფინანსური ხარჯვის წესი, ეთიკის კოდექსი.

რეკომენდაცია: შემუშავებულ იქნეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რაც თვითმმართველობის მუშაობას გახდის გამჭვირვალეს და მოქნილს.

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

მოამზადა ანჟელა ჩიხლაძემ

მეწარმე ქალთა ფონდის კონსულტანტი

ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში

შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად,[24] ქვეყანამ თავის თავზე სიღრმისეული საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება აიღო, რაც გამოიხატება ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ინკლუზიური, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნაში, რომლის განხორციელება ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2015 წელს, აქტიურ ფაზაში შევიდა.

რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020,** რომლის ჯეროვნად შესრულებისთვის, 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამი ეროვნული სამოქმედო გეგმა იქნა დამტკიცებული.[25] რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა** (PAR), რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა. საგულისხმოა, რომ ადგილებზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა როგორც რეფორმის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, ასევე მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში.

PAR-ის ახალ, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში **ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით გათვალისწინებულია** ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ

[24] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4 ხელმისაწვდომია

[25] საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020, გვ. 4, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/72422–72422–512614–სამოქმედოგეგმა2019-2020–აღწერილობა.pdf

თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებდა მოქალაქეების მიერ დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე, საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის კომუნიკაციის პროცესს და უზრუნველყოფდა მათ აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მომსახურების დანერგვა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო მოსახლეობის მონაწილეობა და ანგარიშვალდებულების არსებული პრაქტიკა საკმაოდ სუსტია. 2019 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით,[26] მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი 32%-ს შეადგენდა, ხოლო საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის საშუალება მუნიციპალური ვებგვერდების 20%-ს გააჩნდა.

ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას რეგიონებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს მოშორებულ ლოკაციებში, მნიშვნელოვნად აფერხებს ინტერნეტის მიწოდების ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, ინტერნეტ მომსახურების მაღალი საფასური, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ტექნოლოგიების მოხმარების სუსტი უნარ-ჩვევები. რეფორმის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების და, ზოგადად, მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა და ჩართულობა მონიტორინგის განხორციელების პროცესში დამატებით წინაღობას ქმნის საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით გატარებისთვის. შესაბამისად, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, მათი აქტიური ჩართულობით პოლიტიკური დიალოგის წამოწყება და რეფორმის მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს.

მონიტორინგის მიზანი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ხელშეწყობისთვის, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“. აღნიშნული პროექტი გამიზნულია, დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნის და გაძლიერების გზით, უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა და კონტროლი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის 8 მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესზე.

<u>მონიტორინგის მიზანია</u> ადგილობრივი ხელისუფლების **ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის** ხარისხის შესწავლა, ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციასა და მიგნებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება.

[26] ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, „საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება“ 2019, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload/IDFI–2019/General/LSGINDEX–Report–GEO.pdf

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი - ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, 2020 წლის 27 იანვრის-28 თებერვლის პერიოდში. მონიტორინგის პროცესში აქტიურად ჩაერთო პროექტის ფარგლებში 2019 წლის ოქტომბერს ჩამოყალიბებული „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი“, რომელმაც გააერთიანა სამიზნე რეგიონებში სხვადასხვა პროფილის და განსხვავებულ თემატურ მიმართულებებზე მომუშავე 16 საზოგადოებრივი ორგანიზაცია[27].

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა პროექტის პარტნიორების მიერ წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმის და კითხვარების საფუძველზე, რომელიც შეფასების 32 სხვადასხვა კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა (იხ. დანართი „კითხვარი“). რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილებზე დაკვირვების საფუძველზე. ინფორმაციის მოძიების და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ყველა ოფიციალური ონლაინ წყარო, რაც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

მონიტორინგის შინაარსი

წინამდებარე ანგარიში ასახავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, რომელიც ჩატარდა „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრის“ და „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ჰაბის-„აფხაზინტერკონტის“ მიერ, კურატორი ორგანიზაცია - მეწარმე ქალთა ფონდი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი მსგავსი მონიტორინგის განხორციელება, რაც საფუძვლად დაედება ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის რეალიზების მონიტორინგის ინდიკატორები განხილულია სამი ძირითადი მიმართულებით: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა, ინკლუზიურობა.

გამჭვირვალობა

მონიტორინგიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობის კუთხით ძირითადი სტანდარტები დაცულია, თუმცა არის გარკვეული ხარვეზები ვებგვერდზე. აქტიურია ფეისბუქგვერდი, მოქალაქეებს ნაწილობრივ აქვთ საშუალება, ონლაინ ადევნონ თვალი მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს. ხარვეზებზე მუშაობა და გათვალისწინება გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობის ხარისხს.

[27] სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://csoforum.ge/index.php/ka/about-forum-ka-1

- რამდენად ხელმისაწვდომია ონლაინ განცხადებები ვაკანსიების შესახებ? დაცულია თუ არა ვაკანსიის გამოცხადების ვადები? - ამ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად მიმოხილულ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი http://ambrolauri.gov.ge/. ინფორმაციის დასადასტურებლად, ვაკანსია არის თუ არა აქტიურ ფაზაში, შემოწმდა მითითებული ბმულიც https://www.hr.gov.ge/, თუმცა მონიტორინგის პროცესში ამ კომპონენტის შეფასება ვერ მოხდა, რადგან გამოცხადებული ვაკანსიები ვადის გასვლის შემდეგ ავტომატურ რეჟიმში იშლება.

კითხვაზე, ***განთავსებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით? -*** ინფორმაციის მისაღებად მონიტორინგის ჯგუფმა მიმოიხილა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი /http://ambrolauri.gov.ge/; მოკვლეული მასალებით დასტურდება, რომ ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სამსახურების სტრუქტურაზე, არსებობს მონაცემები ხელმძღვანელ პირებზე, რომელთაც დართული აქვს ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ნომრები.

კითხვაზე, **არსებობს თუ არა ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების წარდგენის მექანიზმი/ფორმა? -** ინფორმაციის მისაღებად შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი http://ambrolauri.gov.ge/ (რომელიც მონიტორინგის პროცესში ახლდებოდა). მონიტორინგის ჯგუფის მიერ იმ დროის მონაცემებით დგინდება, რომ მსგავსი ფორმატი არ არსებობს.

რამდენად ღიად და გამჭვირვალედ მიმდინარეობს მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის ანგარიშგების პროცესი. **ქვეყნდება თუ არა ონლაინ: ფინანსური ანგარიშები, დამტკიცებული ბიუჯეტი, ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები, წლიური ანგარიში, შესყიდვის გეგმა? ვებგვერდის http://ambrolauri.gov.ge/sajaro–info.php?id=1 შესწავლისას ირკვევა, რომ გასული წლის ყველა ფინანსური ანგარიში და მიმდინარე წლის ბიუჯეტი გამოქვეყნებულია. აღნიშნული დოკუმენტის ნახვა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ვებგვერდზე.**

კითხვაზე: - მოიცავს თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი საჯარო ინფორმაციას? მაგალითად: თანამდებობის პირების ბიოგრაფიები; საკრებულო/მერიის სხდომების დღის წესრიგი; საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები; დადგენილებები; სხვადასხვა დეპარტამენტის/განყოფილების ანგარიშები - მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის შედეგად დგინდება, რომ http://ambrolauri.gov.ge/page–t.php?id=63 მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე თანამდებობის პირების ბიოგრაფიები გამოქვეყნებულია, გარდა მერის და საკრებულოს თავმჯდომარის ბიოგრაფიებისა, ასევე განთავსებულია სხდომების დღის წესრიგი; საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები; დადგენილებები და სხვა ყველა აღნიშნული ინფორმაცია.

გამჭვირვალობა გულისხმობს საჯარო მოხელეებთან შეხვედრების შესაძლებლობის ხელმისაწვდომობას. რამდენად გამარტივებულია ეს პროცესი მუნიციპალიტეტში: **- აქვთ თუ არა მოქალაქეების მიღების, კონსულტაციების საათები: მერს; მერის მოადგილეს; საკრებულოს თავმჯდომარეს; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს; დეპუტატებს; დეპარტამენტების მოადგილეებს და გამოქვეყნებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე? -** ამ კითხვაზე პასუხით მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ, რადგანაც მოქალაქეებს სხვადასხვა სოფლიდან უწევთ ჩამოსვლა, შეხვედრებისთვის კონკრეტული დღეები არ არსებობს გაწერილად, რათა სამუშაო დღეებში მათთვის მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი იყოს საჯარო მოხელეებთან საჭიროების შემთხვევაში შეხვედრა.

მოქალაქეთა ჩართულობა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. რამდენად არის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამები მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი. **აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს: მო-**

ნაწილეობითი ბიუჯეტი? სოციალური ბიუჯეტი? გენდერული ბიუჯეტი? - ირკვევა, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტი, სოციალური და გენდერული ბიუჯეტი მუნიციპალიტეტს არა აქვს. მონიტორინგის ჯგუფმა ინფორმაცია მერიის საფინანსო სამსახურის უფროსთან გაარკვია.

რამდენად ინერგება მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობა ანტიკორუფციულ ზომებთან დაკავშირებით? მიღებულია თუ არა მუნიციპალიტეტში ზომები? რამდენად **ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ანტიკორუფციული გეგმები, დებულება, ფინანსური რეგულაციები, დებულება ეთიკური ქცევის შესახებ? -** მონიტორინგის პროცესში შედგა ინტერვიუ მერიის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსთან, რომლის ინფორმაციებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ანტიკორუფციული გეგმები, დებულება, ფინანსური რეგულაციები, დებულება ეთიკური ქცევის შესახებ არ არის.

<u>**გამჭვირვალობა:**</u> მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება აუცილებელია, რათა მოხდეს სწორი გადაწყვეტილებების მიღება დასახული მიზნების მისაღწევად და ასევე შესაძლებელი იყოს მოსალოდნელი ტენდენციებისა და გამოწვევების პროგნოზირება. აუცილებელია შემუშავდეს მონაწილეობითი ბიუჯეტი, რადგან სწორად იქნეს გათვალისწინებული სოციალური და გენდერული პრიორიტეტების ბიუჯეტირება. სასურველია, შემუშავდეს ანტიკორუფციული გეგმები, დებულება, ფინანსური რეგულაციები, დებულება ეთიკური ქცევის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე მოქალაქეებს შეეძლოთ ყველა საჯარო ინფორმაციაზე წვდომა, წინადადებებისა და საჩივრების წარდგენა, უკუკავშირად კი მიიღონ საჯარო პასუხები უფლებამოსილი პირებისაგან, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობის პროცესს და გაზრდის მოქალაქეთა ნდობის ხარისხს. თავის მხრივ, ამ რეკომენდაციების გათვალისწინება გაამარტივებს იმ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რომელიც ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებაშია გაწერილი. საჯარო მმართველობის რეფორმის რეალიზება ხელს შეუწყობს ეფექტური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფას.

ეფექტიანობა

ეფექტიანობის განსაზღვრა მუნიციპალიტეტის საქმიანობის მონიტორინგში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მონიტორინგის ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციებით ირკვევა, **რომ დღეების რაოდენობა თვის მანძილზე მერიაში, საკრებულოში მოქალაქეებთან შეხვედრებისთვის** დადგენილი არ არის, მოქალაქეებს სამუშაო დღეებში შეუზღუდავად შეუძლიათ მიმართონ საჯარო მოხელეებს. აღნიშნული პასუხები მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო მერთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან, მერიის და საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელთან, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსთან ინტერვიუს შედეგად.

მოქალაქეების საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობა - შეხვედრა შედგა მერიის და საკრებულოს ადმინისტრაციის სამსახურის უფროსებთან და გაირკვა, რომ შემოსულ საჩივარზე პასუხის გაცემა ხდება კანონის შესაბამისად, 10 დღის ვადაში. მიმდინარე წელს მერიაში 3 ადმინისტრაციული საჩივარია შესული.

- ხელმისაწვდომი ელექტრონული მომსახურების რაოდენობა: წერილების წარდგენა; პეტიციები; საჩივრები; შეხვედრაზე დარეგისტრირება; პასუხის მიღება და ა.შ. - ადამიანის რესურსების მართვის განყოფილებაში ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ ელექტრონული

მომსახურება ორი სახით ხდება: 1) იუსტიციის სამინისტროს პროგრამასთან ელექტრონული ხელმისაწვდომობა; 2) ესემეს შეტყობინებები განმცხადებელს მიწის რეგისტრაციის, მაღალმთიანი სტატუსის, მშენებლობის ნებართვის, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე აღნიშნული ინფორმაციების მოპოვებას, ვერ ხერხდება, რადგან ვებგვერდს აქვს მცირე მეხსიერება. განთავსებული ინფორმაციები გარკვეული პერიოდის შემდეგ იშლება.

საჯარო მოხელეთა პროფესიონალიზმს და მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობას ხშირ შემთხვევაში მათი მაღალი კვალიფიკაცია განსაზღვრავს. **აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს თანამშრომელთა განვითარების გეგმა?** ამ მიმართულებით ინფორმაცია მოძიებულ იქნა ინტერვიუს სახით ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ინეზა ბანძელაძესთან. ვებგვერდზე თანამშრომელთა განვითარების გეგმა არ არის ხელმისაწვდომი და, როგორც მან აღნიშნა, ამის მიზეზი ვებგვერდზე არსებული დროებითი ხარვეზებია, რის გამოც ვერ მოხერხდა ინფორმაციის განთავსება. თუმცა მიმდინარეობს სამუშაოები ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ თანამშრომელთა განვითარების გეგმა რეგულირდება მუნიციპალიტეტის განკარგულებით N17.

მონიტორინგი იძლევა ინფორმაციას, რამდენი იყო **ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა: დეპუტატებისთვის, საკრებულოს, მერიის თანამშრომლებისთვის (სულ, ბოლო წლის მანძილზე), რა თემაზე ჩატარდა ტრენინგები.**

ადამიანური რესურსების მართვის წარმომადგენელთან ინტერვიუს და მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის შედეგად ირკვევა, რომ მერიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ადგილობრივ თვითმმართველობათა ფინანსთა ასოციაციასთან, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტს გადახდილი საწევრო შენატანიდან. ტრენინგი ჩატარდა შემდეგ თემებზე: „სკოლამდელი აღზრდა“, „რებრენდინგი, ანგარიშის მომზადება და ეფექტური პრეზენტაცია“, „პროექტის წერა“ და სხვა. სულ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა აღრიცხული არ აქვთ. გასულ წელს დაახლოებით ჩატარდა 150 ტრენინგი.

გამოკითხვით დასტურდება, რომ **ტრენინგებში მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პროცენტული მაჩვენებელი (სულ და ბოლო წლის მანძილზე)** შეადგენს მოხელეთა საერთო რადენობის 70%-ს. აღნიშნული ინფორმაცია ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ჩატარებულ ინტერვიუს.

კითხვაზე, **გამოიყენება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რაიმე სახის ინსტრუმენტი ან ტექნიკა საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის (მაგალითად, ცოდნის მართვის კუთხით)? ვორკშოპები, ტრენინგები, ანგარიშები, ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა განყოფილებასა და დეპარტამენტს შორის -** ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუთი და ვებგვერდის http://ambrolauri.gov.ge/sajaro–info.php?id=2 მიმოხილვით დგინდება, რომ მერიის თათბირზე 15-20 წუთის განმავლობაში მიმდინარეობს პრეზენტაცია, რომლის დროსაც ხდება გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება სხვადასხვა სამსახურს შორის. ასევე ცოდნის გაზიარებისთვის იყენებენ ინფორმაციის გაზიარების სატელეფონო და ელექტრონულ მექანიზმებს.

მუნიციპალიტეტს არა აქვს შემუშავებული ***<u>მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები.</u>*** აღნიშნული ინფორმაცია ეფუძნება მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ჩატარებულ ინტერვიუს.

გასული წლის მანძილზე რამდენი შეხვედრაა ჩატარებული სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით? ეფექტიანობის

თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია საუკეთესო გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის არსებობა. რა ხდება ამ მიმართულებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში? მონიტორინგის ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ადამიანური რესურსების მართვის წარმომადგენლისგან მიღებული ინფორმაციით, 50-მდე შეხვედრაა ჩატარებული მუნიციპალიტეტების სამსახურებს შორის მიღებული პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მონიტორინგით ნათელი ხდება, რამდენად ეფექტიანია საკანონმდებლო ხელისუფლების მუშაობა, **არის თუ არა საკრებულოს სხდომების ჩატარების ერთი წლის/ერთი თვის გეგმა? - ამ საკითხზე** ინტერვიუ საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსთან, თეონა ღუდუმიძესთან მიმდინარეობდა, რის შედეგადაც მონიტორინგის ჯგუფს გაეცა პასუხი, რომ საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად კვარტალური გეგმები გამოქვეყნებულია ვებგვერდზე განკარგულების სახით, რაც ფიქსირდება აღნიშნულ ბმულზე http://ambrolauri.gov.ge/sajaro–info.php?id=2.

მონიტორინგის სისტემის არსებობა მუნიციპალიტეტში ეფექტიანობის საზომად მნიშვნელოვანია. **დაწესებულია თუ არა მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმა?** მერიის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსთან, თამარ ქევანაშვილთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ თანამშრომლების შეფასება ხდება ივნისში (შუალედური) და წლის ბოლოს. სამსახურების უფროსების საქმიანობის შეფასებებს აკეთებს მერი, რაც რეგულირდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებული ფორმებით და ხორციელდება საკრებულოს მიერ შემუშავებული განკარგულებით.

ეფექტიანობის კუთხით ჩატარებული მონიტორინგით ვლინდება, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მმართველობის რეფორმის უკეთ რეალიზებისათვის სასურველია, დადგინდეს მოქალაქეთა მიღების დღეები. საქმიანობის ხარისხიანად წარმართვის მიზნით რეკომენდებულია, ოფიციალური დოკუმენტით განისაზღვროს შეხვედრების, ტრენინგების შედეგად მიღებული ინფორმაციების გაცვლის პრაქტიკის დანერგვა, შესაბამისი ანგარიშების ვებგვერდზე განთავსება. აღნიშნული პრაქტიკის დაკანონება ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებული პირების მხრიდან ინფორმაციის გაცემის პასუხისმგებლობის გაზრდას და ახალი მეთოდების დამკვიდრებას მუნიციპალიტეტში. სასურველია, შემუშავდეს მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები.

ინკლუზიურობა

მონიტორინგის შედეგად გამახვილდა ყურადღება, თუ როგორ გამოირჩევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ინკლუზიურობის მექანიზმების შესრულების კუთხით. აღნიშნულ ველში თავს იყრის ინფორმაციები, რომლებიც ხაზს უსვამს ინკლუზიურობის საკითხის პრიორიტეტულობას მუნიციპალიტეტში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა და სამუშაო არსებობს ამ მიმართულების სრულფასოვნად დაძლევის კუთხით.

შეკითხვაზე, არის თუ არა პანდუსები მერიის/საკრებულოს შენობებში? - ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაზე მონიტორინგის ჯგუფმა მოახდინა დაკვირვება, რის შედეგად დასტურდება, რომ ამბროლაურის თვითმმართველობაში აღნიშნული საკითხი მოგვარებულია.

- არის თუ არა არადისკრიმინაციული მუნიციპალიტეტის განცხადებები ვაკანსიების შესახებ? - მონიტორინგის პროცესში შემოწმდა ვებგვერდი, თუმცა მონიტორინგის ჯგუფის მიერ

ვერ მოხდა მაჩვენებლის შემოწმება, რადგან აქტიური ვაკანსია იმ დროის მონაცემებით არ იყო განთავსებული საიტზე.

გენდერული ბალანსი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ზედმიწევნით დაცულია. **როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი? –** ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტში გენდერული ბალანსი თანამშრომელთა კონკურსების საფუძველზე აყვანის შედეგად 50%-ით არის დაცული.

ადგილობრივ თვითმმართველობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მერი, მერის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე) მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელია 20%, რაც ვლინდება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუირებით.

ხელმისაწვდომია თუ არა არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურება? – თვითმმართველობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ ამ ტიპის მომსახურება მუნიციპალიტეტში არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა აღნიშნავენ იმასაც, რომ თანამშრომელთა უმრავლესობა ფლობს უცხო ენებს, მაგრამ საჭიროება არ არის გამოკვეთილი, რადგან ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ძირითადად, ქართულენოვანი მოსახლეობაა.

ინკლუზიურობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, **არის თუ არა მუნიციპალიტეტში საკონტაქტო პირი ურთიერთობისთვის მოწყვლად ჯგუფებთან: ქალები; სოციალურად დაუცველები; იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ); შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (სმენის, მხედველობის, გადაადგილების პრობლემით).** საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელთან მონიტორინგით დასტურდება, რომ მსგავსი ტიპის საშტატო ერთეული არ არსებობს, თუმცა ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი იღებს ამ პირებს და ამისამართებს შესაბამის სამსახურებთან.

აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტში (მერიაში, საკრებულოში) ცოდნა ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესახებ? იციან თუ არა საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ; კანონდებლობა შრომის უფლებების შესახებ; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია?

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუ ადასტურებს, რომ მუნიციპალიტეტში აქვთ ინფორმაცია ჩამოთვლილი კანონმდებლობის შესახებ და მათი მუშაობა აღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ხორციელდება - საკრებულოს დადგენილება N32, მე-16 და მე-18 მუხლებში.

კითხვაზე - მუნიციპალიტეტში მოქმედებს თუ არა ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ? მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან, მერიის სოციალური განყოფილების უფროსთან ინტერვიუში დასტურდება, რომ არსებობს შშმ პირთა საბჭო - N19 დებულების დადგენილებით. შესაბამის ორგანოს საკრებულოსთვის მიწოდებული აქვს მოთხოვნა შშმ საბჭოში შშმ პირის ჩართვის შესახებ და ელოდება დადგენილების დამტკიცებას.

- არსებობს თუ არა ადგილებზე გენდერული ბიუჯეტირება/ცოდნა მისი ფუნქციონირების შესახებ? - მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესრულებული მონიტორინგის პროცესიდან ირ-

კვევა, რომ მუნიციპალიტეტში გენდერული ბიუჯეტის კომპეტენტური ცოდნა მისი ფუნქციონირების შესახებ არ არსებობს. ინფორმაცია ეყრდნობა თვითმმართველობის ფინანსური სამსახურის უფროსთან ჩატარებულ ინტერვიუს.

მონიტორინგიდან ირკვევა, რომ თვითმმართველობა დაინტერესებულია სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტში მუშაობს **საკონტაქტო პირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან/სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის.** ინფორმაცია დასტურდება თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტთან ჩატარებული ინტერვიუთი.

საშტატო ნუსხის მიხედვით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები ითავსებს ამ ფუნქციას, მერიაში - ნინო რუსიშვილი და მარიკა დვალი; საკრებულოში - სოფიო ხიდურელი.

კითხვაზე: - არსებობს თუ არა მერიაში და საკრებულოში: მრჩეველთა საბჭო; გენდერული საბჭო; სხვა საბჭოები, სამუშაო ჯგუფები?

მონიტორინგის შედეგად ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუთი ირკვევა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს გენდერული საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების და გაუქმების ჯგუფი, ქონების განკარგვის საკითხების შემსწავლელი საბჭო, შშმ პირთა საკითხების საბჭო, სოციალურ საკითხთა შემსწავლელი საბჭო http://ambrolauri.gov.ge/.

<u>**ინკლუზიურობის**</u> კუთხით დგინდება, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტს პანდუსის ქონა პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, თუმცა სხვა საკითხები, რომლებიც უკავშირდება ინკლუზიურობის კომპონენტს, მეტადაა დასახვეწი და გასააქტიურებელი. მაგ., გენდერული ბიუჯეტირების საკითხზე და მის ფუნქციებზე ჩატარებული ტრენინგებით შესაძლებელია მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება გენდერული ბიუჯეტირების საკითხზე, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის დატვირთვას გენდერულად მგრძნობიარე პროგრამებით.

<u>***აღსანიშნავია, რომ*** მონიტორინგის პროცესში შემსრულებელი ჯგუფის მიერ გაწეული რეკომენდაციის საფუძველზე გასწორდა ვებგვერდის ხარვეზი და დაკორექტირდა თანამდებობის პირთა პირადი ინფორმაცია (სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შესახებ).</u>

მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შესაბამის სამსახურებს დაევალოს მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მეხსიერების მოცულობის საჭიროების დადგენა, რათა ყველა საჯარო ინფორმაცია განთავსდეს და ხელმისაწვდომი გახდეს საიტზე ვიზიტორთათვის.
2. მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურიდან გამოიყოს უფლებამოსილი პირი, რომელსაც დაევალება ყველა ინფორმაციის და დოკუმენტაციის მიწოდება შესაბამის უფლებამოსილ პირზე, რათა დროულად იქნეს განთავსებული ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე.

3. შემუშავდეს და განთავსდეს მოსახლეობისთვის მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეების (თანამდებობის პირების) მიერ მოქალაქეთა მიღებისა და კონსულტაციების დღეები და საათები.

4. მოქალაქეთა ნდობის გაზრდის და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ელექტრონულად მოხდეს საჩივრებისა თუ წინადადებების გაანალიზება და შესაბამისი პასუხების გამოქვეყნება.

5. მუნიციპალიტეტის შესაბამის სტრუქტურებს დაევალოს: მონაწილეობითი ბიუჯეტის, სოციალური ბიუჯეტის, გენდერული ბიუჯეტის შედგენა და განთავსება ვებგვერდზე.

6. შემუშავდეს დებულება მოქალაქეთა ჩართულობის, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მისი განხილვისა და დაფინანსების წესებზე, რაც ხელს შეუწყობს კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ნდობის ამაღლებას, საჭიროების სწორად განსაზღვრას.

7. შემუშავდეს მუნიციპალიტეტში ანტიკორუფციული დებულება და გეგმები, ფინანსური რეგულაციები და ეთიკის ქცევის დებულება, რაც ვებგვერდზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

8. შემუშავდეს მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები, მომსახურების შეფასების მექანიზმის შექმნით და შეფასებისთვის საჭირო ფორმების შემუშავებადამტკიცებით.

9. დაევალოს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს, შეიმუშაონ თანამშრომელთა განვითარების გეგმა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ბიუჯეტირება, გენდერი, ინკლუზიურობა, ეფექტიანობა და შემუშავდეს გაცვლითი პროგრამები სხვა წარმატებულ მუნიციპალიტეტებთან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით.

10. მერიის და საკრებულოს შესაბამისი სამსახურების, კომისიის ხელმძღვანელებისთვის ჩატარდეს სემინარები მონაწილეობითი, სოციალური და გენდერული ბიუჯეტის მომზადების შესახებ.

11. საქმიანობის ხარისხიანად წარმართვის მიზნით რეკომენდებულია, ოფიციალური დოკუმენტით განისაზღვროს შეხვედრების, ტრენინგების შედეგად მიღებული ინფორმაციების გაცვლის პრაქტიკის დანერგვა, შესაბამისი ანგარიშების ვებგვერდზე განთავსება.

<u>მონიტორინგში ჩართული გუნდი გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიას.</u>

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

ცაგერის მუნიციპალიტეტი

მოამზადა ანუკელა ჩიხლაძემ
მეწარმე ქალთა ფონდის კონსულტანტი
ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში

შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად,[28] ქვეყანამ თავის თავზე სიღრმისეული საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება აიღო, რაც გამოიხატება ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ინკლუზიური, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნაში, რომლის განხორციელება ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2015 წელს, აქტიურ ფაზაში შევიდა.

რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020,** რომლის ჯეროვნად შესრულებისთვის, 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამი ეროვნული სამოქმედო გეგმა იქნა დამტკიცებული.[29] რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა** (PAR), რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა. საგულისხმოა, რომ ადგილებზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა როგორც რეფორმის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, ასევე მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში.

PAR-ის ახალ, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში **ადგილობრივი თვითმმართველობის**

[28] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4 ხელმისაწვდომია

[29] საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020, გვ. 4, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/72422–72422–512614–სამოქმედოგეგმა2019-2020–აღწერილობა.pdf

მიმართულებით გათვალისწინებულია ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებდა მოქალაქეების მიერ დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე, საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის კომუნიკაციის პროცესს და უზრუნველყოფდა მათ აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მომსახურების დანერგვა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო მოსახლეობის მონაწილეობა და ანგარიშვალდებულების არსებული პრაქტიკა საკმაოდ სუსტია. 2019 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით,[30] მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი 32%-ს შეადგენდა, ხოლო საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის საშუალება მუნიციპალური ვებგვერდების 20%-ს გააჩნდა.

ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას რეგიონებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს მოშორებულ ლოკაციებში, მნიშვნელოვნად აფერხებს ინტერნეტის მიწოდების ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, ინტერნეტ მომსახურების მაღალი საფასური, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ტექნოლოგიების მოხმარების სუსტი უნარ-ჩვევები. რეფორმის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების და, ზოგადად, მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა და ჩართულობა მონიტორინგის განხორციელების პროცესში დამატებით წინაღობას ქმნის საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით გატარებისთვის. შესაბამისად, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, მათი აქტიური ჩართულობით პოლიტიკური დიალოგის წამოწყება და რეფორმის მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს.

მონიტორინგის მიზანი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ხელშეწყობისთვის, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“. აღნიშნული პროექტი გამიზნულია, დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნის და გაძლიერების გზით, უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა და კონტროლი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის 8 მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესზე.

[30] ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, „საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება“ 2019, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload/IDFI–2019/General/LSGINDEX–Report–GEO.pdf

მონიტორინგის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების **ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის** ხარისხის შესწავლა, ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციასა და მიგნებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი - ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, 2020 წლის 27 იანვრის-28 თებერვლის პერიოდში. მონიტორინგის პროცესში აქტიურად ჩაერთო პროექტის ფარგლებში 2019 წლის ოქტომბერს ჩამოყალიბებული „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი“, რომელმაც გააერთიანა სამიზნე რეგიონებში სხვადასხვა პროფილის და განსხვავებულ თემატურ მიმართულებებზე მომუშავე 16 საზოგადოებრივი ორგანიზაცია[31].

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა პროექტის პარტნიორების მიერ წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმის და კითხვარების საფუძველზე, რომელიც შეფასების 32 სხვადასხვა კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა (იხ. დანართი „კითხვარი“). რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილებზე დაკვირვების საფუძველზე. ინფორმაციის მოძიების და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ყველა ოფიციალური ონლაინ წყარო, რაც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

მონიტორინგის შედეგები

წინამდებარე ანგარიში ასახავს ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, რომელიც ჩატარდა **„ა(ა)იპი ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრის“** (ამჟამად დარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაცია **„ცაგერის ქალთა უფლებების და თანასწორობის ცენტრი“**) და **„აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება“** მიერ. კურატორი ორგანიზაცია - მეწარმე ქალთა ფონდი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი მსგავსი მონიტორინგის განხორციელება, რაც საფუძვლად დაედება ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის რეალიზების მონიტორინგის ინდიკატორები განხილულია სამი ძირითადი მიმართულებით: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა, ინკლუზიურობა.

[31] სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://csoforum.ge/index.php/ka/about-forum-ka-1

გამჭვირვალობა

მონიტორინგის პროცესში თვითმმართველობის მუშაობის გამჭვირვალობის დასადგენად შემდეგი კითხვები იყო წარმოდგენილი:

✓ **არის თუ არა ხელმისაწვდომი ონლაინ განცხადებები ვაკანსიების შესახებ? დაცულია თუ არა ვაკანსიის გამოცხადების ვადები?**

მონიტორინგის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნულ კითხვებზე პასუხის მიღების მიზნით გაესაუბრნენ მერიის ადმინისტრაციის უფროსს და საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელს; შესწავლილ იქნა მერიის ვებგვერდი: **tsageri.gov.ge; hr.gov.ge; ფეისბუქგვერდი - „ცაგერის მუნიციპალიტეტი“.** შეისწავლეს საქართველოს მთავრობის დადგენილება საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და აღნიშნეს, რომ ონლაინ ხელმისაწვდომია ვაკანსიები, ვადები კი განსაზღვრულია 10 დღით.

✓ **განთავსებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით?**

ვებგვერდის (**tsageri.gov.ge**) შესწავლის საფუძველზე განხილული მასალებიდან ირკვევა, რომ განთავსებულია ინფორმაციები საკონტაქტო მისამართებით.

✓ **არსებობს თუ არა ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების გაკეთების/წარდგენის მექანიზმი/ფორმა?**

ვებგვერდის tsageri.gov.ge შესწავლით ირკვევა, რომ საჩივრის და წინადადების გაკეთების/წარდგენის მექანიზმი/ფორმა არსებობს.

✓ **ქვეყნდება თუ არა ონლაინ ფინანსური ანგარიშები?**

- **დამტკიცებული ბიუჯეტი**
- **ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები, წლიური ანგარიში**
- **შესყიდვის გეგმა და ანგარიში?**

ონლაინ ფინანსური ანგარიშები, დამტკიცებული ბიუჯეტი, ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები, წლიური ანგარიში, შესყიდვის გეგმა გამოქვეყნებულია - მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დადგენილება N60, 2018 წლის 28 დეკემბერს, ბოლო ინფორმაცია ვებგვერდზე **tsageri.gov.ge** და მაცნეზეა გამოქვეყნებული 2020 წლის 5 თებერვალს, გამოქვეყნებულია ასევე 3, 6, 9 თვის ანგარიშები, შესრულების გეგმა და ანგარიშები, აღნიშნული ინფორმაციები დამატებით ქვეყნდება ადგილობრივ გაზეთში **„ახალი ლეჩხუმი“** და ასევე გაშუქებულია მედიაჰოლდინგ **„კვირას“** მიერ. მასალები ატვირთულია **ფეისბუქგვერდზე „ცაგერის მუნიციპალიტეტი.“**

✓ **მოიცავს თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი საჯარო ინფორმაციას? მაგ.,**

- **თანამდებობის პირების ბიოგრაფიები;**
- **საკრებულო/მერიის სხდომების დღის წესრიგი;**
- **საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები;**
- **დადგენილებები;**
- **სხვადასხვა დეპარტამენტის/განყოფილების ანგარიშები.**

ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე ვებგვერდის **tsageri.gov.ge** მიმოხილვისას ირკვევა, რომ საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, დადგენილება სოციალური დახმარების გაცემისა და 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ გამოქვეყნდა 2020 წლის 5 თებერვალს საკანონმდებლო „მაცნეში". საკრებულოს/მერიის დღის წესრიგები არ ქვეყნდება ონლაინ გვერდებზე და იგი გამოქვეყნებულია საინფორმაციო დაფაზე, ონლაინ რეჟიმში ნორმატიული აქტები ქვეყნდება მიღებიდან ორი დღის ვადაში, რასაც ითვალისწინებს კანონმდებლობა.

✓ **აქვთ თუ არა მოქალაქეების მიღების/ღია კონსულტაციების საათები:**

- **მერს**
- **მერის მოადგილეს**
- **საკრებულოს თავმჯდომარეს**
- **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს**
- **დეპუტატებს**
- **დეპარტამენტების მოადგილეებს**

და გამოქვეყნებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე?

ვებგვერდის, სამუშაო კაბინეტებზე საინფორმაციო წარწერების მიმოხილვის კუთხით აპარატის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუებით ირკვევა, რომ არც მერს და არც საკრებულოს თავმჯდომარეს, ასევე მოადგილეებს, სამსახურის ხელმძღვანელებს არ გააჩნიათ მოქალაქეთა მიღების და ღია კონსულტაციებისთვის განსაზღვრული მიღების საათები. მათივე განმარტებით, ცხელ ხაზში ჩართულია ადმინისტრაციის უფროსის პირადი მოხმარების ტელეფონის ნომერი. მოქალაქეთა მიღება ხორციელდება შეუზღუდავად.

✓ **აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტებს:**

- **მონაწილეობითი ბიუჯეტი?**
- **სოციალური ბიუჯეტი?**
- **გენდერული ბიუჯეტი?**

შესწავლილი ბიუჯეტით, საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელთან შეხვედრის შედეგად და მიმოხილული ვებგვერდით ირკვევა, რომ კონკრეტულად (მონაწილეობითი ბიუჯეტი) არ არის, თუმცა არის სოციალური ბიუჯეტი, რომელიც ცაგერის მუნიციპალიტეტმა პრიორიტეტად დაასახელა 2020 წელს. სოციალურ ბიუჯეტში დაგეგმილია 385.000 ლარის დახარჯვა ამ მიმართულებით, რაც მთლიანი ბიუჯეტის 5%-ს შეადგენს. რაც შეეხება გენდერულ ბიუჯეტირებას - შექმნილია ა(ა)იპ „ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი", რომელიც აქტიურადაა ჩართული გენდერული ბიუჯეტირების საკითხებში, გამოყოფილია გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი **შორენა დვალი;** პროგრამებსა და პროექტებში თანაბარი ხელმისაწვდომობაა გათვალისწინებული ქალებისა და მამაკაცებისთვის (https://tsageri.gov.ge/page/shpsebi) საკრებულოს გადაწყვეტილება 9-45/03.07.2017

✓ **მიღებულია თუ არა მუნიციპალიტეტში ანტიკორუფციული ზომები?**

ხელმისაწვდომია თუ არა ვებგვერდზე:

- **ანტიკორუფციული გეგმები**
- **ანტიკორუფციული დებულება**
- **ფინანსური რეგულაციები**
- **დებულება ეთიკური ქცევის შესახებ**

მონიტორინგის ჯგუფმა გამართა ინტერვიუ შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსთან დათუნა ლეთოდიანთან, საკრებულოს სამანდატო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარესთან თამაზ ჭაბუკიანთან, რის შედეგადაც ირკვევა, რომ 2018 წლის 7 მარტის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის შესახებ N37 დადგენილება, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N39, რომელიც მიღებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; 2019 წელს შემოწმებულ იქნა შვიდი ა(ა)იპი, ორი შპს, სამი პირველადი სტრუქტურული სამსახური; მნიშვნელოვანი დარღვევები არ დაფიქსირებულა. არ არის ინფორმაციები ფინანსური რეგულაციების შესახებ; დებულება ეთიკის ქცევის შესახებ - ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N39, საკრებულოში შექმნილია სამანდატო და ეთიკის კომისია.

გამჭვირვალობის კუთხით ჩატარებული მონიტორინგით ირკვევა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეები საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ კარგად არიან ინფორმირებულები, თუმცა შესრულების მექანიზმები სრულფასოვნად სისრულეში ვერ არის მოყვანილი, არის ხარვეზები, რომლებიც რეკომენდაციების სახით მიეწოდებათ, რის შესასრულებლად მათი მზაობა არის მაღალი. იყენებენ ელექტრონული მომსახურების სხვადასხვა ფორმას. მოქალაქეებს შეუძლიათ, მუნიციპალიტეტში განვითარებულ პროცესებს ონლაინ ადევნონ თვალი: გაეცნონ სიახლეებს, განცხადებებს, ვაკანსიებს, პროგრამებს, საკანონმდებლო აქტებს და ა.შ.

ეფექტიანობა

მონიტორინგის პროცესში თვითმმართველობის მუშაობის ეფექტიანობის დასადგენად პასუხები გაიცა შემდეგ კითხვებზე:

✓ **დღეების რაოდენობა თვის მანძილზე მერიაში, საკრებულოში შეხვედრებისთვის:**

- **მერთან**
- **მერის მოადგილესთან**
- **საკრებულოს თავმჯდომარესთან**
- **თავმჯდომარის მოადგილესთან**
- **დეპუტატთან**
- **დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან**

მონიტორინგის ჯგუფმა ინტერვიუ ჩაატარა მერიის და საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელთან თამარ დავითულიანთან, რის შედეგადაც დგინდება: იმის გამო, რომ არ არსებობს განსაზღვრული დღეები და საათები, შესაბამისად, არ არის დათვლადი დღეებისა და მოქალაქეთა რიცხვი. მათივე განმარტებით, შეუზღუდავია მიღებისა და საათების რაოდენობა. საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელის ინტერვიუთი ირკვევა, რომ თემების დეპუტატებს აქვთ განსაზღვრული კვირის დღეები, როდესაც ხვდებიან მოსახლეობას და ისინი წარმოადგენენ შუამავალ რგოლს თვითმმართველობასთან **(ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის შინაგანაწესი)** https://tsageri.gov.ge/page/cageris-municipalitetis-meriis-shinaganatsesi; https://tsageri.gov.ge/page/cageris-municipalitetis-meriis-debuleba

✓ **საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობა?**

მონიტორინგის ჯგუფმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ორივე სტრუქტურაში ჩატა-

რებული ინტერვიუს საფუძველზე დაადგინა, რომ მერიაში არის 3-10 დღე; (საჩივრის სიმძიმისა და ინფორმაციის მოძიების არეალის მიხედვით), საკრებულოში - 4-5 დღე.

✓ **ხელმისაწვდომი ელექტრონული მომსახურების რაოდენობა:**

- **წერილების წარდგენა**
- **პეტიციები**
- **საჩივრები**
- **შეხვედრაზე დარეგისტრირება**
- **პასუხის მიღება და ა.შ.**

თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს და ვებგვერდის მიმოხილვის შედეგად დგინდება, რომ შეხვედრაზე დარეგისტრირება არ ფიქსირდება მერიაში; საკრებულოში - დიახ, ოთხი ელექტრონული მომსახურება წერილებზე პასუხის გაცემის თაობაზე (https://tsageri.gov.ge/page/117-gasachivrebis-tsesi).

✓ **აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტს თანამშრომელთა განვითარების გეგმა?**

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან მარიკა ბენდელიანთან ინტერვიუირების პროცესიდან ვლინდება, რომ მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა განვითარების გეგმა არ გააჩნიათ.

✓ **ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა:**

o დეპუტატებისთვის, საკრებულოს, მერიის თანამშრომლებისთვის (სულ, ბოლო წლის მანძილზე რა თემაზე ჩატარდა ტრენინგები)

ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუთი დგინდება, რომ საკრებულოში ჩატარებულია ხუთი ტრენინგი: „ადამიანური რესურსების მართვა"; „ეკონომიკური განვითარება"; „ფინანსები", „მყარი ნარჩენების მართვა" და „საჯარო მმართველობა". 2019 წელს 27-მა საჯარო მოხელემ გაიარა ტრენინგები ეტაპობრივად, ამ რაოდენობაში შედიან: მერი, მერის მოადგილეები და სხვა თანამშრომლები - tsageri.gov.ge; 2/პ-მლ 136, 18.10.2019წ.

✓ **ტრენინგებში მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პროცენტული მაჩვენებელი (სულ და ბოლო წლის მანძილზე).**

აღნიშნულ საკითხზე პასუხის მისაღებად მონიტორინგის ჯგუფმა ინტერვიუ ჩაატარა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან, რის შედეგადაც პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება: მერია - 35%; საკრებულო - 40%.

✓ **გამოიყენება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რაიმე სახის ინსტრუმენტი ან ტექნიკა საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის (მაგალითად, ცოდნის მართვის კუთხით)?**

- **ვორკშოპები, ტრენინგები**
- **ანგარიშები, ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა განყოფილებასა და დეპარტამენტს შორის**

აღნიშნული საკითხის გასარკვევად პასუხები მონიტორინგის ჯგუფმა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელისგან მიიღო, რის შედეგადაც ირკვევა, რომ მერიაში ყოველ ორშაბათს იმართება თათბირი, სადაც ხდება ინფორმაციების გაცვლა განყოფილე-

ბებს შორის, ჯამდება განვლილი კვირის შედეგები, ტრენინგები, ანგარიშები, ხოლო რაც შეეხება რაიმე სახის ინსტრუმენტს ან ტექნიკას, ვერ გაირკვა.

✓ **შემუშავებულია თუ არა მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები?**

ინტერვიუ აპარატის ხელმძღვანელებთან - დგინდება, რომ მსგავსი ფორმა არ არსებობს.

✓ **გასული წლის მანძილზე რამდენი შეხვედრაა ჩატარებული სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით?**

ინტერვიუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, მერთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან - საკოორდინაციო შეხვედრები ტარდება გუბერნიაში თვეში ერთხელ, სადაც ოთხი მუნიციპალიტეტი ერთმანეთს უზიარებს გამოცდილებას, შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები; 2019 წელს ლატვიაში, ცარნიკოვას მუნიციპალიტეტში გაცვლითი პროგრამით ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ამაღლებისა და მენეჯმენტის მიმართულებით ტრენინგზე იმყოფებოდნენ მერი და მერის მოადგილეები ttps://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2097940?publication=0)

✓ **არის თუ არა საკრებულოს სხდომების ჩატარების ერთი წლის/ერთი თვის გეგმა?**

აღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით ჩატარდა ვებგვერდის https://tsageri.gov.ge/page/sakrebulos-skhdomebi მიმოხილვა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ შემუშავებულია და ვებგვერდზე გამოქვეყნებულია სამი თვის სამუშაო წინასწარი (კვარტალური) გეგმა საკრებულოს სხდომების ჩატარების შესახებ.

✓ **დაწესებულია თუ არა მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმა?**

აღნიშნულზე პასუხი მერიის ადმინისტრაციის უფროსთან გაირკვა, რომ არ აქვთ მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმა.

ეფექტიანობის კუთხით დგინდება, რომ არის გასამართი რამდენიმე საკითხი, დოკუმენტი, რომელიც რეკომენდაციის სახით გაიწერება. რაც ეხება მოქალაქეების ეფექტიან ჩართულობას თვითმმართველობის მართვის პროცესში, ცაგერის მუნიციპალიტეტი ცდილობს მაქსიმალურ ხელშეწყობას. სასურველია, გაიწეროს ზუსტი დღეები მოქალაქეთა მიღებისთვის, შემუშავდეს თანამშრომელთა განვითარების გეგმა, მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები, მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმა.

ინკლუზიურობა

ცაგერის მუნიციპალიტეტში მონიტორინგის ამ კომპონენტის კითხვარით დგინდება ინკლუზიურობის პრიორიტეტულობა.

✓ **არის თუ არა პანდუსები მერიის/საკრებულოს შენობებში?**

მონიტორინგის პროცესში ადმინისტრაციულ შენობაზე დაკვირვებით ვლინდება, რომ პანდუსის საკითხი მოუგვარებელია.

✓ **არის თუ არა არადისკრიმინაციული მუნიციპალიტეტის განცხადებები ვაკანსიების შესახებ?**

მიმოხილული განცხადებების ტექსტებით შეფასდა, რომ არ არის დისკრიმინაციული ვაკანსიები https://tsageri.gov.ge/.

✓ **როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი?**

ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ დასაქმებულ ქალთა რაოდენობა 40%-ს შეადგენს ცაგერის მუნიციპალიტეტში, რაც რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საკრებულოს რეგლამენტით https://tsageri.gov.ge/page/sakrebulos-skhdomebi).

✓ **როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მერი, მერის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე) მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი?**

მერია - 5 ქალი, 17%, საკრებულო - 3 ქალი, 8% (https://tsageri.gov.ge/page/meriis-tanamshromlebi). აღნიშნულ მაჩვენებელს ადასტურებს ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთან.

✓ **ხელმისაწვდომია თუ არა არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურება?**

ინტერვიუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელთან - ის განმარტავს, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება თარჯიმნის გამოძახება და მისი შრომის ანაზღაურებაც ერთჯერადად განისაზღვრება (https://tsageri.gov.ge/page/cageris-municipalitetis-meriis-debuleba).

✓ **არის თუ არა მუნიციპალიტეტში საკონტაქტო პირი ურთიერთობისთვის მოწყვლად ჯგუფებთან:**

- **ქალები**
- **სოციალურად დაუცველები**
- **იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ)**
- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (სმენის, მხედველობის, გადაადგილების პრობლემით)**

ინტერვიუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელთან, ვებგვერდის https://tsageri.gov.ge/page/cageris-municipalitetis-meriis-debuleba https://tsageri.gov.ge/page/samoqalaqo-sabcho მიმოხილვა - ბრძანება 2-204 03.12.2019. მერიაში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირია შორენა დვალი, სოციალურად დაუცველთა, იძულებით გადაადგილებულ და შშმ პირებთან საკონტაქტოდ შექმნილია სოციალური სამსახური დავით ჩაკვეტაძის ხელმძღვანელობით. მერის ბრძანებით შექმნილია საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც შედიან მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები და, შესაბამისად, მათი ინტერესების გათვალისწინებით ახდენენ მუშაობას. საკრებულოში არსებობს სოციალური კომისია, რომლის ხელმძღვანელია მარიკა კოპალიანი.

✓ **აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტში (მერიაში, საკრებულოში) ცოდნა ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესახებ? საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ?**

- **კანონმდებლობა შრომის უფლებების შესახებ**
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია**

მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ინტერვიუთი ირკვევა, რომ მერის ბრძანებით 2019 წლის იანვარში (ბრძანება N45) შექმნილია შშმ პირებთან მომუშავე კომისია. შესაბამისად, კანონის ცოდნა მათი მხრიდან უზრუნველყოფილია.

✓ მუნიციპალიტეტში მოქმედებს თუ არა ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ? თუ არ მოქმედებს, არის თუ არა გათვალისწინებული/განსაზღვრული მისი დანერგვა?

საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს ამ კითხვაზე პასუხი არის ასეთი: - დიახ, საკრებულოში შემუშავებულია დებულება, რომელიც არეგულირებს ადგილობრივ დონეზე მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას - სოციალური კომისიის სხდომის 2016 წლის N7/73 დებულებით.

✓ არსებობს თუ არა ადგილებზე გენდერული ბიუჯეტირება/ცოდნა მისი ფუნქციონირების შესახებ?

საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს მეშვეობით ირკვევა, რომ შესაბამისი ცოდნა გენდერული ბიუჯეტირების შესახებ სრულფასოვნად არ გააჩნიათ. ამ საკითხებზე მომზადებული შეხვედრების/ტრენინგების ჩატარება ცაგერის მუნიციპალიტეტში ხელს შეუწყობს ბიუჯეტის კიდევ უფრო დატვირთვას გენდერული ასპექტებით.

✓ არის თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობაში საკონტაქტო პირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან/სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის? დაზუსტდეს, ვინ არის დანიშნული საქალაქო ორგანიზაციებთან საკონტაქტო პირად?

ამ კითხვაზე პასუხით მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ მუნიციპალიტეტის N2/პ - კადრები 91-30.09.2018 დოკუმენტით სამოქალაქო ორგანიზაციებთან/სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის დანიშნულია ვასილ საღინაძე. ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტში არის მზაობა სამოქალაქო ორგანიზაციებთან ეფექტიანი თანამშრომლობის კუთხით.

✓ არის თუ არა მერიაში და საკრებულოში:

- **მრჩეველთა საბჭო**
- **გენდერული საბჭო**
- **სხვა საბჭოები, სამუშაო ჯგუფები**

ადამიანური რესურსების სამსახურის სპეციალისტთან ინტერვიუთი და ვებგვერდზე (tsageri.gov. ge) მოპოვებული ინფორმაციებით დგინდება, რომ შემდეგი დოკუმენტების: 05.07.2017წ. ბრძანება №3/87, თებერვლის N2-167 საკრებულოს განკარგულება 9-07 2017წ. 1.ო №98 საკრებულოს დადგენილება 7-98/45 თანახმად, მერიაში სულ 7 საბჭოა. არსებობს დროებითი საბჭოების შექმნის პრაქტიკა, საჭიროებების შესაბამისად. საკრებულოში გენდერულ საბჭოს ხელმძღვანელობს საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გუგავა.

ინკლუზიურობის კუთხით დგინდება, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტისთვის პანდუსები ჯერ კიდევ დიდი გამოწვევაა, თუმცა სხვა საკითხები, რომლებიც უკავშირდება ინკლუზიურობის მონიტორინგის კომპონენტების საჭიროებების გამოვლენას, ნაწილობრივ, გამართულად ფუნქციონირებს.

მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები:

1. შემუშავდეს და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეების (თანამდებობის პირების) მიერ მოქალაქეთა მიღებისა და კონსულტაციების დღეები და საათები.
2. მოქალაქეთა ნდობის გაზრდის და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე გაანალიზდეს ელექტრონულად შემოსული საჩივრები თუ წინადადებები და გამოქვეყნდეს შესაბამისი პასუხები.
3. შემუშავდეს მუნიციპალიტეტის ანტიკორუფციული დებულება და გეგმები, ფინანსური რეგულაციები და ეთიკის ქცევის დებულება, რომლებიც ვებგვერდზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.
4. მუნიციპალიტეტის შესაბამის სტრუქტურებს დაევალოს: მონაწილეობითი ბიუჯეტის, სოციალური ბიუჯეტის, გენდერული ბიუჯეტის შედგენა და განთავსება ვებგვერდზე.
5. შემუშავდეს მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები, მომსახურების შეფასების მექანიზმის შექმნით და შეფასებისთვის საჭირო ფორმების შემუშავება-დამტკიცებით.
6. შემუშავდეს და განხორციელდეს შშმ პირებზე მუნიციპალიტეტის შენობის ადაპტირების პროექტი.
7. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს, შეიმუშაონ თანამშრომელთა განვითარების გეგმა შემდეგ საკითხებზე: ბიუჯეტირება, გენდერი, ინკლუზიურობა, ეფექტიანობა. შემუშავდეს გაცვლითი პროგრამები სხვა წარმატებულ მუნიციპალიტეტებთან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით.
8. საქმიანობის ხარისხიანად წარმართვის მიზნით რეკომენდებულია, ოფიციალური დოკუმენტით განისაზღვროს შეხვედრების, ტრენინგების შედეგად მიღებული ინფორმაციების გაცვლის პრაქტიკის დანერგვა, შესაბამისი ანგარიშების ვებგვერდზე განთავსება.

<u>მონიტორინგში ჩართული გუნდი გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას.</u>

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

მოამზადა ემა კამკია
ფონდი „სოხუმის“ კონსულტანტი
ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში

შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად,[32] ქვეყანამ თავის თავზე სიღრმისეული საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება აიღო, რაც გამოიხატება ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ინკლუზიური, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნაში, რომლის განხორციელება ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2015 წელს, აქტიურ ფაზაში შევიდა.

რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020,** რომლის ჯეროვნად შესრულებისთვის, 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამი ეროვნული სამოქმედო გეგმა იქნა დამტკიცებული.[33] რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა** (PAR), რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა. საგულისხმოა, რომ ადგილებზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა როგორც რეფორმის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, ასევე მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში.

PAR-ის ახალ, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში **ადგილობრივი თვითმმართველობის მი-**

[32] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4 ხელმისაწვდომია

[33] საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020, გვ. 4, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/72422–72422–512614–სამოქმედოგეგმა2019-2020–აღწერილობა.pdf

მართულებით გათვალისწინებულია ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებდა მოქალაქეების მიერ დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე, საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის კომუნიკაციის პროცესს და უზრუნველყოფდა მათ აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მომსახურების დანერგვა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო მოსახლეობის მონაწილეობა და ანგარიშვალდებულების არსებული პრაქტიკა საკმაოდ სუსტია. 2019 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით,[34] მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი 32%-ს შეადგენდა, ხოლო საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის საშუალება მუნიციპალური ვებგვერდების 20%-ს გააჩნდა.

ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას რეგიონებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს მოშორებულ ლოკაციებში, მნიშვნელოვნად აფერხებს ინტერნეტის მიწოდების ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, ინტერნეტ მომსახურების მაღალი საფასური, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ტექნოლოგიების მოხმარების სუსტი უნარ-ჩვევები. რეფორმის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების და, ზოგადად, მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა და ჩართულობა მონიტორინგის განხორციელების პროცესში დამატებით წინაღობას ქმნის საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით გატარებისთვის. შესაბამისად, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, მათი აქტიური ჩართულობით პოლიტიკური დიალოგის წამოწყება და რეფორმის მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს.

მონიტორინგის მიზანი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ხელშეწყობისთვის, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“. აღნიშნული პროექტი გამიზნულია, დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნის და გაძლიერების გზით, უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა და კონტროლი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის 8 მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესზე.

[34] ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, „საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება“ 2019, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload/IDFI–2019/General/LSGINDEX–Report–GEO.pdf

მონიტორინგის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების **ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის** ხარისხის შესწავლა, ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციასა და მიგნებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი - ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, 2020 წლის 27 იანვრის-28 თებერვლის პერიოდში. მონიტორინგის პროცესში აქტიურად ჩაერთო პროექტის ფარგლებში 2019 წლის ოქტომბერს ჩამოყალიბებული „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი“, რომელმაც გააერთიანა სამიზნე რეგიონებში სხვადასხვა პროფილის და განსხვავებულ თემატურ მიმართულებებზე მომუშავე 16 საზოგადოებრივი ორგანიზაცია[35].

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა პროექტის პარტნიორების მიერ წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმის და კითხვარების საფუძველზე, რომელიც შეფასების 32 სხვადასხვა კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა (იხ. დანართი „კითხვარი“). რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილებზე დაკვირვების საფუძველზე. ინფორმაციის მოძიების და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ყველა ოფიციალური ონლაინ წყარო, რაც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

მიღებული შედეგების ანალიზი

წინამდებარე ანგარიში ასახავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, რომელიც ჩატარდა ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრისა და საქართველოს სასოფლო დარბაზის მიერ კურატორი ორგანიზაციის - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის“ მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი მსგავსი მონიტორინგის განხორციელება, რაც საფუძვლად დაედება ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

მონიტორინგის ინდიკატორები განხილული იყო სამი ძირითადი ელემენტის თანახმად: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა, ინკლუზიურობა.

[35] სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://csoforum.ge/index.php/ka/about-forum-ka-1

გამჭვირვალობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით (№37 2017 წლის 25 დეკემბერი) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ[36] განსაზღვრულია, რომ მერიის საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებგვერდი.

ვებგვერდზე, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ასევე უნდა გამოქვეყნდეს: მერიის სამართლებრივი აქტები; ინფორმაცია მერიის სტრუქტურისა და საქმიანობის წესის, მერიის თანამდებობის პირების შესახებ; მარეგულირებელი აქტები (დებულება, შინაგანაწესი, მისამართი); მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი; და სხვა საჯარო ინფორმაცია.[37]

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე არის სპეციალური აპლიკაცია, რომლითაც შესაძლებელია ინფორმაციის გამოთხოვა როგორც საკრებულოდან, ასევე მერიიდან, მაგრამ, მიუხედავად საძიებო სისტემაში არსებული მინიშნებისა **- „საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გასაჩივრების წესი“,** შესაბამისი ჩანაწერი მუნიციპალიტეტის ვებპლატფორმაზე არ მოიპოვება.

საინტერესოა განყოფილება **„განცხადებები ვაკანსიების შესახებ“:** ონლაინ განცხადებების განყოფილება ვაკანსიების თაობაზე ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, თუმცა იქ იძებნება ერთადერთი განცხადება, დათარიღებული 2019 წლის 29 ოქტომბრით.[38] არსებული სიტუაცია ვერ პასუხობს დადგენილ წესს, რომლის მიხედვით ინფორმაცია მუნიციპალიტეტში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ – ქვეყნდება კონკურსის გამოცხადებიდან მომდევნო სამუშაო დღეს[39].

მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე სრულად არის განთავსებული საკრებულოსა და მერიის ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, მათი ფოტოსურათებით, სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით[40].

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესი განსაზღვრულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №49 დადგენილებით (ცვლილებები შევიდა 2018 წლის 31 აგვისტოს).

მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას უზრუნველყოფს მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური და საკრებულოს აპარატი.

---

[36] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3943691?publication=0
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4315644?publication=0

[37] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3943691?publication=0

[38] http://lanchkhuti.gov.ge/?cat=120

[39] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №37
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4315644?publication=0

[40] http://lanchkhuti.gov.ge/?page–id=3563

ვებგვერდის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების წარდგენის მექანიზმი. მოპოვებული ინფორმაციით, წარდგენილი იყო ორი საჩივარი, თუმცა ვებგვერდზე მის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

მუნიციპალიტეტში ხდება შემოსული კითხვების რეესტრის წარმოება - ექსელის ფორმაში მოცემულია კითხვის შემოსვლის დრო, კითხვის შინაარსი, ადრესატი საჯარო დაწესებულების დასახელება. ამავდროულად, თითოეული კითხვის შემთხვევაში, აღნიშნულია, როდის გაიცა პასუხი. დაკვირვებით გამოვლინდა, რომ შემოსულ წერილებზე პასუხის გაცემის საშუალო ვადაა 4-5 დღე.

მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ონლაინ ფინანსური ანგარიშები: დამტკიცებული ბიუჯეტი, ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები, წლიური ანგარიში, შესყიდვის გეგმა და ანგარიში (ბოლო ანგარიშის თარიღი: საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში - ნოემბერი 22, 2019, მუნიციპალური შესყიდვები).

მუნიციპალიტეტის ვებგვერდი მოიცავს ამომწურავ საჯარო ინფორმაციას შემდეგი მიმართულებითაც: თანამდებობის პირების ბიოგრაფიები; საკრებულო/მერიის სხდომების დღის წესრიგი; საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები; საკრებულოს დადგენილებები; სხვადასხვა დეპარტამენტის/განყოფილების ანგარიშები.

მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მოქალაქეების მიღების/ღია კონსულტაციების საათები განსაზღვრული აქვთ: მერს, მერის მოადგილეს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, დეპუტატებს, დეპარტამენტების მოადგილეებს. საკრებულოს აპარატსა და მერიის საორგანიზაციო სამსახურში მიღებული ინფორმაციით, მერს - პარასკევობით - 4 საათი; მერის მოადგილეს - ყოველდღე; საკრებულოს თავმჯდომარეს - ორშაბათობით, 4 საათი; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს - ყოველდღე; დეპუტატებს - ყოველდღე; დეპარტამენტების მოადგილეებს - ყოველდღე; შეხვედრების შესახებ პროაქტიულად ქვეყნდება ნიუსები.

ეფექტიანობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირების პრობლემა საზოგადოების დემოკრატიული მოწყობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს.

ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები[41].

აქტიური საზოგადოება და მონაწილეობის მაღალი ხარისხი არის წარმატებული თვითმმართველობის, ღია და ეფექტიანი მმართველობის გარანტია. მსგავსი მოცემულობის პირობებში შესაძლებელია ლოკალური პრობლემების ადგილზე სწრაფად, ეფექტურად და გამჭვირვალედ განხორციელება. საზოგადოებრივი ჩართულობის მაღალი ხარისხი განაპირობებს ადგილობრივი რესურსების სწორ და ეფექტიან ათვისებას[42].

მოქალაქეთა დამოკიდებულებას განსაზღვრავს თვითმმართველი ორგანოების მიდგომა სა-

[41] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=46

[42] https://bit.ly/3aQAXrE - ადგილობრივი მმართველობის რეფორმა - გამოსავალი რუხი ზონიდან.

ზოგადოებრივი მონაწილეობის მიმართ. ადგილობრივი მოხელეები არ გრძნობენ თავს ანგარიშვალდებულად ამომრჩევლების წინაშე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით არ არის დანერგილი სამოქალაქო ბიუჯეტირება. თუმცა მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია. მუნიციპალიტეტის მზაობა ამ მიმართულებით დაფიქსირებული აქვს მუნიციპალიტეტის მერს: *„ვიმედოვნებ, რომ ლანჩხუთი აქტიურად ჩაერთვება [მონაწილეობითი ბიუჯეტირების] პროექტის განხორციელებაში და ჩვენი მცხოვრებლები უფრო მეტი შემართებით მიიღებენ მონაწილეობას ბიუჯეტის შედგენის პროცესში“*[43].

მონაწილეობითი ბიუჯეტირების თემაზე ლანჩხუთში ჩატარდა ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისთვის. ტრენინგი მიზნად ისახავდა მოქალაქეთა მონაწილეობით ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის მოდელებისა და ფორმების სწავლებას იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტმა შეძლოს მომდევნო წლებში მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა.

საფინანსო სამსახურისგან მიღებული ინფორმაციით, სოციალური ბიუჯეტი შეადგენს ბიუჯეტის 5%-ს. მათივე ცნობით, მუნიციპალიტეტს აქვს გამოყოფილი გენდერული ხარჯები - ის შეადგენს 5000 ლარს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ლანჩხუთის ბიუჯეტში არის მკაფიოდ გამოკვეთილი გენდერული პროგრამები, რომლებიც ჩაშლილია სხვა მიმართულებებში და ბიუჯეტის გენდერული ინდექსით შესწავლის შემთხვევაში მათ საკმაოდ მაღალი ნიშნული ექნებათ. მაგალითად, ძუძუს კიბოთი დაავადებული ქალების სარეაბილიტაციო პროგრამა, ქალთა საფეხბურთო კლუბის დაფინანსება.

მონიტორინგის პროცესში საკრებულოს წევრებისგან მოპოვებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში არ არის მიღებული ანტიკორუფციული ზომები. ვებგვერდზე არ იძებნება ანტიკორუფციული გეგმები, ანტიკორუფციული დებულება, ფინანსური რეგულაციები, დებულება ეთიკური ქცევის შესახებ.

მონიტორინგის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ მერის მოადგილესთან, მომსახურების ცენტრის სპეციალისტთან, საკრებულოს აპარატის უფროსთან. მიღებული ინფორმაციით, განსაზღვრულია თვის მანძილზე შეხვედრებისთვის გამოყოფილი დღეების რაოდენობა მერიასა და საკრებულოში.

მოპოვებული ინფორმაციით, საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობა განსაზღვრულია 10 დღით. გასულ წელს დაფიქსირდა 2 საჩივარი. პასუხს საშუალოდ დასჭირდა 7 დღემდე ვადა. საგულისხმოა, რომ ვებგვერდზე არის შესაბამისი გრაფა, მაგრამ არანაირი ინფორმაცია არ იძებნება.

„საჩივრების“ განყოფილების გარდა, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ფიქსირდება სხვა ელექტრონული მომსახურებაც: წერილების წარდგენა, პეტიციები.

ვებგვერდზე განთავსებულია ერთი პეტიცია „გურული მხედრების სახელობის მოედანი ლანჩხუთში“[44].

მოპოვებული ინფორმაციით, ელექტრონული პეტიციის ვებაპლიკაცია მომზადდა პროექტის „ინოვაციური მიდგომების გამოყენება მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებისათვის“ ფარ-

[43] *შეხვედრა პროექტის „მოქალაქეთა თანამონაწილეობა ადგილობრივ ბიუჯეტირებაში“ ფარგლებში*

[44] პეტიციის გამოქვეყნების თარიღი - 12.04.19 http://lanchkhuti.gov.ge/?page–id=712

გლებში, რომელიც განახორციელა სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა (ICCC), მცირე გრანტების პროგრამის (SGS) ფინანსური მხარდაჭერით. მიუხედავად ელექტრონული აპლიკაციის გამართული სისტემისა და მისი შევსების ფორმის სიმარტივისა, მოქალაქეთა ნაკლები დაინტერესება აღნიშნული ჩართულობით თვალშისაცემია.

ობიექტურად, მუნიციპალიტეტის ვებგვერდის რესურსი იძლევა საშუალებას, მოხდეს შეუფერხებელი კომუნიკაცია მოქალაქესა და მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს შორის. მაგალითად, არის ფანჯარა ონლაინ გამოკითხვისთვის, რომელიც სათანადო სოციო-დემოგრაფიული პროფილის დაფიქსირების შემდეგ (საცხოვრებელი ადგილი, სქესი, ასაკი) იძლევა საშუალებას, მომხმარებელმა დააფიქსიროს საკუთარი ხედვა, „რის გაკეთებას ისურვებდით თქვენს საცხოვრებელ ადგილას (სოფელში/უბანში) უპირველესად? (ჩაწერეთ მაქსიმუმ სამი პრიორიტეტი)“[45].

მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არის ფანჯარა „სიახლეების გამოწერა“, რომლითაც საკუთარი ტელეფონის, ან ელექტრონული ფოსტის დაფიქსირების შემდეგ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს სიახლეები მის მიერ არჩეული სფეროების გარშემო: ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი; გარემოსდაცვა და ნარჩენების მართვა, წყალმომარაგება და წყალარინება, ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები და სხვა.

საგულისხმოა, რომ ვებგვერდს არ აქვს შეხვედრაზე დარეგისტრირების რესურსი.

ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის

მუნიციპალიტეტში მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი საჯარო მოხელეების კომპეტენციას და მათ პერმანენტულ სწავლებებს ეფექტიანი მმართველობის განსახორციელებლად. საქართველოს მუნიციპალიტეტები აქტიურად არიან ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების პროგრამებში, რომელთაც ახორციელებენ კვალიფიციური ორგანიზაციები.[46]

ლანჩხუთის HR განყოფილების უფროსთან ინტერვიუს თანახმად, მუნიციპალიტეტში გააზრებულია ამ საკითხის მნიშვნელობა. დეპუტატებისთვის, საკრებულოს, მერიის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები, რომლებიც გაიარა საკრებულოს წევრების 100%-მა, საკრებულოს აპარატის 70%-მა, მერიის სამსახურების წარმომადგენელთა 45%-მა. ტრენინგები ჩატარდა ისეთ თემებზე, როგორებიცაა: პროგრამული ბიუჯეტირება, საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფები.

მიუხედავად ადგილობრივ მოხელეთა საგანმანათლებლო კომპონენტის მნიშვნელობის დეკლარირებისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არ არის რაიმე სახის ინსტრუმენტი ან ტექნიკა საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის (პერსონალის ცოდნის მართვის კუთხით), გარდა დოკუმენტაციის მართვის ელსისტემის დანერგვისა. ნაკლებად ტარდება ვორკშოპები, ტრენინგები, ანგარიშები, ინფორმაციის შიდა გაცვლა სხვადასხვა განყოფილებასა და დეპარტამენტს შორის.

თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით გასული

[45] http://lanchkhuti.gov.ge/?page–id=540

[46] 2015 წლის 7 ივლისის საქართველოს მთავრობის №319 დადგენილება https://bit.ly/3cWlHL6

წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან მხოლოდ რამდენიმე შეხვედრის გახსენება შეძლეს, რომლებიც, ძირითადად, ორგანიზებული იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

მონიტორინგის ფარგლებში საორგანიზაციო სამსახურის უფროსისგან მოპოვებული ინფორმაციით, არ არის შემუშავებული მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებს დიდი ხანია, აქვთ რეკომენდაცია, დანერგონ პროგრამების ეფექტის გამოვლენის პრაქტიკა.

მონიტორინგის თანახმად, მუნიციპალიტეტში არსებობს სხდომების ჩატარების წლიური, კვარტალური გეგმა. სხდომები ტარდება რეგლამენტის შესაბამისად. ვებგვერდზე განთავსებულია ანონსები დაგეგმილი სხდომების თაობაზე და დევს ოქმები.

მონიტორინგის მასალებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დადგენილია მერიის სამსახურების საქმიანობის შესწავლის ვადები და ფორმა[47]. მათ შორის - მერიის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი; კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია; მერისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა; ასევე მერიის საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მხარდაჭერა და ა.შ.

ხელმისაწვდომია ინფორმაცია შიდა აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებაზე.[48]

ინკლუზიურობა

საჯარო დაწესებულების ვებგვერდებზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მონიტორინგთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ სერვისებისა და აპლიკაციების შემოწმება, რომელთა მთავარი ამოცანა მოქალაქეების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფაა.[49]

მიიჩნევა, რომ ადგილობრივი დემოკრატიული მართვის ხაზი გადის მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის მაჩვენებელზე, „ქვევიდან - ზევით“ ინიციატივებზე. იმაზე, რამდენად კარგად შეუძლია თვითმმართველობას, წაახალისოს ინკლუზიური ჯგუფები ადგილობრივი ჩართულობისთვის; რამდენად მონაწილეობენ ქალები და სხვა გენდერული ჯგუფები ადგილობრივ მართვაში.

ლანჩხუთის ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი HR განყოფილების უფროსთან და საკრებულოს აპარატის უფროსთან ინტერვიუების თანახმად, საკმაოდ მაღალია: მერია - 54%, საკრებულო - 78%.

ადგილობრივ თვითმმართველობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მერი, მერის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე) მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი მერიაში არის 45%, საკრებულოში - 20%.

[47] https://bit.ly/3d0CrRt

[48] https://bit.ly/2y1zLo5

[49] https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files

ვებგვერდზე არ არის მოცემული გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები. ცარიელია „სტატისტიკის“ განყოფილება, რომელშიც, სასურველია, იყოს სქესის და სხვა სოციო-დემოგრაფიული ნიშნით სეგრეგირებული ინფორმაცია. ის, რომ კატეგორია „სტატისტიკა“ მომხმარებელს ვერ აწოდებს ვერანაირ მონაცემებს, მიუთითებს მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მხრიდან მომსახურების შეფასების და პროგრამების შესრულების პრაქტიკის ნაკლებობაზეც.

რამდენად არის უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლება, შეუფერხებლად მიიღონ და გასცენ ინფორმაცია: როგორც ირკვევა, მუნიციპალიტეტში პერიოდულად არის არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურების საჭიროება, რაც უზრუნველყოფილია, თუმცა მხოლოდ საჭიროებისა და წინასწარი ინფორმირების შემთხვევაში.

როგორც მონიტორინგით ირკვევა, მუნიციპალიტეტში არის საკონტაქტო პირი მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობისთვის (ქალები, სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (სმენის, მხედველობის, გადაადგილების პრობლემით): საკრებულოში ამ საკითხებს კურირებს გენდერული საბჭოს თავმჯდომარე; მერიაში - სოციალური სამსახურის სპეციალისტი.

მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტებს აქვთ ვალდებულებები შშმ პირებთან მიმართებით: „საკრებულომ უნდა გაითვალისწინოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირობები, რათა მათ თავისუფლად ისარგებლონ კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებებით და სპორტული ნაგებობებით, აგრეთვე უზრუნველყონ ისინი სპეციალური სპორტული ინვენტარითა და სხვა საჭირო საშუალებებით. გარდა ამისა, ამავე კანონის მე-11 მუხლი ავალებს საკრებულოებს, დაადგინონ სპეციალური წესი და პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, მათ შორის სურსათ-სანოვაგითა და სახალხო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის, კომუნალური და სხვა სახის მომსახურების განხორციელების მიზნით“[50].

მოცემული პერიოდისთვის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მხოლოდ პირველი სართულის შესასვლელში არის მოწყობილი პანდუსები. აქ განლაგებულია მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი და სოციალური სამსახური, სადაც უმრავლეს შემთხვევაში უწევთ მისვლა ვიზიტორებს. თუმცა საკრებულოს სხდომებზე დასწრება და მერთან/მოადგილეებთან ვიზიტი იზღუდება, რადგან საკრებულოს სხდომა მესამე სართულზე ტარდება და მესამე სართულზევეა მერის მისაღები. გამომდინარე იქიდან, რომ შენობა აგებულია 40 წლის წინ, მისი გადაკეთება პრობლემებთან არის დაკავშირებული.

მონიტორინგის შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში (მერიაში, საკრებულოში) გამოვლინდა არასაკმარისი ცოდნა ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის თაობაზე: საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ; კანონმდებლობა შრომის უფლებების შესახებ; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაზე.

მიუხედავად ამისა, უნდა დაფიქსირდეს, რომ მუნიციპალიტეტში წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ძალისხმევა შშმ პირთათვის შესაბამისი გარემოს შექმნის თვალსაზრისით.

[50] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30316?publication=9

ცვლილებები შეეხო საკრებულოს რეგლამენტში, მერიისა და და სოციალური კომისიის დებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის შესაბამისად ასახვას[51].

არსებობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის დადგენილება №24 ქ. ლანჩხუთი) – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ[52].

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე მოცემული ბოლო ინფორმაცია არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის დღის წესრიგი (30 იანვარი 2020 წელი). თუმცა ინფორმაცია თავად ამ საბჭოს, მისი წევრების შესახებ, სათანადო დებულება ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ არის.

ინფორმაცია იმის თაობაზე, მოქმედებს თუ არა მუნიციპალიტეტში ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ - მიღებულ იქნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსისგან, ასევე - საკრებულოს აპარატის უფროსისგან. მათი ინფორმაციით, მსგავსი რეგულაცია მუნიციპალიტეტში არ არის. მათ არა აქვთ ინფორმაცია, იგეგმება თუ არა სამომავლოდ მსგავსი ღონისძიებების განხორციელება.

ვებგვერდზე არის განყოფილება „შშმ პირთა ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“, „ბავშვებისა და მოხუცებისათვის სპეციალური ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“, სადაც საძიებო სიტყვის შესაბამისი ჩანაწერი არ მოიპოვება. ზოგადად, ეს ეხება ამ განყოფილების ბევრ სხვა სერვისსაც.

შშმ პირთა, დევნილთა, მარტოხელა მშობლების, ხანდაზმულების, ძალადობის მსხვერპლი ქალების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება განსაზღვრულია საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების გაცემის წესით[53]. მისასალმებელია, რომ სხვადასხვა გენდერული ჯგუფი ინტეგრირებულია ადგილობრივ პოლიტიკურ დოკუმენტებში, დებულებებში, რაც ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის შესახებ განაცხადს მეტ ლეგიტიმურობას მატებს.

მონიტორინგით დადგინდა, რომ მერიაში და საკრებულოში არის სხვადასხვა საბჭო - მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, შშმ პირთა საბჭო, რჩეულთა საბჭო. საინტერესო საქმიანობას ახორციელებს ლანჩხუთის ახალგაზრდული საკრებულო, თუმცა ვებგვერდი ნაკლებად ასახავს მათ საქმიანობას: მასზე არ მოიპოვება ინფორმაცია ახალგაზრდული საბჭოს შესახებ.

ადგილობრივ თვითმმართველობაში, კერძოდ მერიაში, არ არის საკონტაქტო პირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან/სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის. საკრებულოში ამ საკითხს კურირებს აპარატის უფროსი.

ვებგვერდის შესაბამის გრაფაში არ იძებნება არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია.

---

[51] საკრებულოს რეგლამენტი - http://lanchkhuti.gov.ge/?page–id=495

[52] https://matsne.gov.ge/ka/document/download/4162533/0/ge/pdf

[53] http://lanchkhuti.gov.ge/?p=5304

მუნიციპალიტეტში, მონიტორინგის მასალებით, პერიოდულად იქმნება სხვა საბჭოები, სამუშაო ჯგუფები. გასულ წელს იყო შექმნილი ერთი სამუშაო ჯგუფი - სოფელ გრიგოლეთის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით (საკრებულოს განკარგულება N33).

ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭოზე, კერძოდ, იძებნება წევრების სია, სამსახურებრივი პოზიცია, მაგრამ არ არის მითითებული საკონტაქტო ინფორმაცია.

ვებგვერდზე არ დევს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გეგმა, რაც ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ძალისხმევას ნაკლებად თვალსაჩინოს ხდის.

დასკვნები და რეკომენდაციები

მონიტორიგის პროცესში გამოიკვეთა საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობისას თვითმმართველობებთან მიმართებით დასახული ამოცანების რეალიზაციის კუთხით არსებული ძლიერი მხარეები, წარმატებული პრაქტიკა, ასევე - გამოწვევები და ნაკლოვანებები.

მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ შემოიფარგლოს ცენტრიდან წამოსული ინიციატივებით და დამოუკიდებლად, პროაქტიულად იზრუნოს ადგილზე კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრებაზე, რომლის ქვაკუთხედი, საჯარო მმართველობის რეფორმის მიხედვით, არის ელექტრონული მმართველობა. კერძოდ: 2021 წლისთვის ელექტრონული მმართველობის სრული მოდულების ადგილობრივ დონეზე ფართომასშტაბიანი იმპლემენტაციის პროცესის დაწყებას უნდა დახვდეს გამოკვეთილი პოლიტიკური მზაობა ადგილობრივ დონეზე ადგილობრივი მოხელეებისა და მოქალაქეების მხრიდან, ასევე - შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა.

გამჭვირვალობა

ინტერნეტ რესურსების ეფექტური გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივება, პირდაპირი კომუნიკაციის აგება სხვადასხვა ჯგუფთან, აზრთა ურთიერთგაცვლა და, საბოლოო ჯამში, მთავრობის მეტი ღიაობის უზრუნველყოფა. მიუხედავად აღნიშნული დადებითი მხარეებისა, ამ ყველაფრის წინაპირობას ქვეყნის მასშტაბური ინტერნეტიზაცია და მასობრივი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანერგილი ელექტრონული საშუალებებით მოქალაქეების მხოლოდ შეზღუდული ნაწილი ისარგებლებს. ეს არის სერიოზული გამოწვევა რეფორმის წარმატებისთვის ადგილობრივ დონეზე.

კიდევ ერთი გამოწვევა არის ის, რომ მოქალაქეების გარკვეული ნაწილისთვის ჯერ კიდევ უცნობია ინფორმაცია მოსახლეობის აქტივობისა და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის ამ კონკრეტული საშუალების შესახებ. ხშირ შემთხვევაში არასათანადოდ ხდება ცალკეული სამოქალაქო ინიციატივების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

ელექტრონული რესურსების მოქალაქეთა მხრიდან აქტიურ გამოყენებას ხელს უშლის ინ-

ტერნეტის არასაკმარისი ხელმისაწვდომობა. ნაკლებად იკვეთება მოქალაქეების მზაობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და საკუთარი ინიციატივების და დაკვეთის შეთავაზებისათვის. ამის დასტურია პეტიციების ძალიან დაბალი მაჩვენებელი, ელექტრონულად შემოსული წინადადებების სიმცირე, დაბალი უკუკავშირი და ინტერაქცია სოციალურ ქსელებში.

შეიძლება ითქვას, რომ ისინიც კი, ვინც სარგებლობენ მუნიციპალური ელექტრონული სერვისებით, უმეტესწილად მხოლოდ ინფორმაციის მიმღებები არიან და ნაკლებად ცდილობენ ინტერაქციას და აზრთა ურთიერთგაცვლაზე ორიენტირებული საშუალებების (პეტიცია, იდეის მიწოდება და სხვა) გამოყენებას.

რეკომენდაცია: ***მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მათი მხრიდან ელექტრონული მომსახურებით სარგებლობას, თანამშრომლობას და სოციალური დაკვეთის დემონსტრირებას.***

უნდა აღინიშნოს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ელექტრონული მომსახურების ტექნიკური და მეთოდოლოგიური რესურსები მეტნაკლებად პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს. გარდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის პროაქტიულად მიღების და სხვა მომსახურების შესაძლებლობისა, ის საშუალებას იძლევა, განხორციელდეს მოქალაქეების მეტი მონაწილეობა ინტერაქტიული გამოკითხვებისა და სხვა მეთოდების მეშვეობით.

ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია ამ საშუალებების გამოყენებით მოქალაქეების საჭიროებების, იდეებისა და მათ მიერ შემოთავაზებული პროექტების, უკვე განხორციელებული პროგრამების მუდმივი მონიტორინგი, მათი ეფექტურობის განსაზღვრა, მაგრამ გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ როგორც მოქალაქეებში, ასევე ადგილობრივ მოხელეებში, ნაკლებია ცოდნა მუნიციპალიტეტის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიაზე. არ ტარდება სხვადასხვა პროგრამით ბენეფიციარების კმაყოფილების შეფასება, არ ხდება ბენეფიციართა საჭიროებების კვლევა და მათზე დაფუძნებული პროგრამების დანერგვა.

რეკომენდაცია: ***დაინერგოს მოქალაქეთათვის მომსახურების მიწოდების ეფექტურობის განმსაზღვრელი შესაფერისი ფორმები, საჭიროებათა გამოვლენის მექანიზმები, რათა მომზადდეს მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამები. მოხდეს საამისო კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყოფა.***

ის, რომ მოქალაქეები ნაკლებად იყენებენ ელექტრონული მიმართვის ფორმებს, დაბალია მათი აქტიურობა პეტიციებისა და საკუთარი იდეების ინიცირების კუთხით, ნაკლებია რესპონდენტთა აქტივობა პეტიციებისთვის მხარდაჭერის კუთხით, მიუთითებს იმაზე, რომ რესპონდენტთა გარკვეული ნაწილისთვის ჯერ კიდევ უცნობია ინფორმაცია ამ მნიშვნელოვან პლატფორმაზე ადგილობრივი პოლიტიკური დიალოგისთვის.

რეკომენდაცია: ***მუნიციპალიტეტის ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესების საკითხზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა მოახერხონ მოქალაქეების უფრო მაღალი ჩართულობის, მეტი უკუკავშირის სისტემის შექმნა.***

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი თვითმმართველობაში არსებულ ვაკანსიებზე ელექტრონული ფორმით ინფორმაციის გავრცელების წარმატებული პრაქტიკა. ეს აძნელებს იმ საკითხის მონიტორინგს, რამდენად არის დაცული არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპი გენდერული და სხვა სოციალური ნიშნით.

რეკომენდაცია: ***უნდა იქნეს მიღწეული, რომ საკრებულოს და ასევე მერიის საქმიანობა ვაკანსიების გამოცხადების, საჯაროობის, ვადების დაცვის საკითხებში იყოს გამჭვირვალე და ღია.***

ეფექტიანობა

მუნიციპალიტეტში შეინიშნება პროგრამული/გენდერული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიაზე სათანადო ცოდნის დეფიციტი, რაც აისახება კიდეც ბიუჯეტზე (შეინიშნება პროგრამების მიზნებისა და ინდიკატორების, შუალედური და საბოლოო შედეგების ბუნდოვანება. სუსტია ქვეპროგრამების კავშირი პროგრამის მიზანთან და საბოლოო რეზულტატებთან. არ არის სათანადოდ გააზრებული პროგრამების მონიტორინგისთვის საჭირო სწორი ინდიკატორების, განსაკუთრებით - გენდერული ინდიკატორის მნიშვნელობა).

მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, სათანადო ტემპით არ ხდება სამოქალაქო ბიუჯეტის პრაქტიკის დანერგვა, რომლის გამოყენებას ექნება რამდენიმე ეფექტი: განხორციელდება უფრო ეფექტიანი ადგილობრივი მართვა, უზრუნველყოფილი იქნება მოქალაქეთა მეტი ჩართულობა ადგილობრივ მართვაში, ადგილობრივი პოლიტიკა გახდება უფრო გამჭვირვალე და გაიზრდება მის მიმართ ნდობა, ლეგიტიმაცია.

რეკომენდაცია: ***მოხდეს პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის უფრო ეფექტიანი დანერგვა; გაიზარდოს ცნობიერება გენდერული ბიუჯეტირების საკითხზე და ბიუჯეტის ორიენტაცია ადგილობრივ საჭიროებებზე. პროგრამების მონიტორინგის განხორციელებისას გამოყენებულ იქნეს გენდერული ინდიკატორები; დაჩქარდეს სამოქალაქო ბიუჯეტირების დანერგვის პროცესი.***

გამოყენებულ იქნეს გენდერული თანასწორობის საბჭოს რესურსი და მოხდეს მისი ქმედითობის ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით არ არის მოხელეების განვითარების გეგმა, მოკლე, საშუალო ან გრძელვადიანი ტრენინგ-სტრატეგია. იშვიათად ტარდება შეხვედრები გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

რეკომენდაცია: ***აუცილებელია მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეთა განვითარების კონკრეტული გეგმის შედგენა. შიდა (საბიუჯეტო) და გარე (არასამთავრობო ორგანიზაციების შემოთავაზება) რესურსების ეფექტური გამოყენება;***

გათვალისწინებული უნდა იქნეს სასწავლო პროგრამის შემუშავების სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს თემატიკის გარდა, ტრენინგები გენდერული თანასწორობის, გენდერული და პროგრამული ბიუჯეტირების, სამოქალაქო ბიუჯეტის, აუთსორსინგის/მუნიციპალური სერვისების გაყიდვის მიმართულებით; ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული ონლაინ სწავლების კურსები.

გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით დამყარდეს მეტი კომუნიკაცია საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან, სხვადასხვა საკითხში დაინერგოს ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის გამოცდილება.

მუნიციპალიტეტში არ არის შემუშავებული ანტიკორუფციული გეგმა, დებულება, რეგულაციები, ეთიკის წესები.

რეკომენდაცია: *მნიშვნელოვანია, კონკრეტულმა სპეციალისტებმა შეისწავლონ ადგილობრივი გადაწყვეტილებები და შექმნან შესაბამისი ანტიკორუფციული რეგულაციები.*

საჭიროა ჩამოყალიბდეს მერიის სამსახურების მონიტორინგის კონკრეტული გეგმა.

ადგილობრივი ჩართულობის ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია ყველა მოწყვლადი ჯგუფისთვის თანაბარი შესაძლებლობის შექმნა. მიუხედავად ამ კუთხით გადადგმული სერიოზული ნაბიჯებისა, ჯერ კიდევ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს შშმ პირთა დაცვისა და განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფის საკითხი.

რეკომენდაცია: *აუცილებელია თანხების გამოძებნა მუნიციპალიტეტის შენობის პანდუსებით აღჭურვისთვის.*

ინკლუზიურობა

მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების უმრავლესობა ქალია, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალები უმცირესობაში არიან. ნაკლებად გვხვდება შშმ პირთა დასაქმების პოზიტიური პრაქტიკა. არ მოქმედებს რაიმე დამტკიცებული აქტი, რომლის შესაბამისად შესაძლებელი გახდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვა.

რეკომენდაცია: *მუნიციპალიტეტში უნდა დაინერგოს სამუშაოს აღწერილობის, თანაბარი ანაზღაურების არადისკრიმინაციული პრინციპი. შეიქმნას გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სტრატეგია და ფინანსური ვალდებულებებით გამყარებული სამოქმედო გეგმა. მოხდეს გენდერული საბჭოს, შშმ პირთა საბჭოს, როგორც თანასწორობის ადგილობრივი მექანიზმის, გაძლიერება.*

მოხდეს შშმ პირთა მიმართ თვითმმართველობისთვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვა, განვითარებისთვის სათანადო გარემოს შექმნა.

მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ დაბალია მოქალაქეთა მონაწილეობა ბიუჯეტირების პროცესში. ასევე დაბალია მათი ინფორმირებულობა უკვე დამტკიცებული ბიუჯეტის შესახებ.

რეკომენდაცია: *იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშები მეტწილად გაუგებარია რიგითი მოქალაქისთვის, მნიშვნელოვანია, ისინი გამოქვეყნდეს ინფოგრაფიკების სახითაც.*

შესაძლებელია, შეიქმნას ე.წ. „საბიუჯეტო საბჭო“, რომელშიც შევლენ როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის, ასევე სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები, ან შედგეს ფოკუს-ჯგუფები, რაც შესაძლებელს გახდის, გამოიკვეთოს არსებული ტენდენციები და საჭიროებები.

არაეფექტურია მოქალაქეთა ჩართულობისა და წარმომადგენლობითობის ერთ-ერთი დანერგილი მექანიზმი „დასახლების საერთო რჩეული“, რომელსაც აქვს მანდატი, იყოს მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის სოციალური დაკვეთის გამხმოვანებელი და შეასრულოს „საკომუნიკაციო ხიდის“ ფუნქცია მოქალაქეებსა და თვითმმართველობას, სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შორის.

რეკომენდაცია: *თვითმმართველობის წარმომადგენლებმა კონკრეტულ თემებთან ურთიერთობის დროს მეტი კომუნიკაცია იქონიონ ამ სოფლების დასახლების საერთო რჩეულებთან. მოხდეს მათი აქტიურობის წახალისება და მოტივაცია მეტი ადგილობრივი პოლიტიკური დიალოგისათვის.*

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

მოამზადა ემა კამკია
ფონდი „სოხუმის“ კონსულტანტი
ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში

შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად,[54] ქვეყანამ თავის თავზე სიღრმისეული საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება აიღო, რაც გამოიხატება ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ინკლუზიური, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნაში, რომლის განხორციელება ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2015 წელს, აქტიურ ფაზაში შევიდა.

რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020,** რომლის ჯეროვნად შესრულებისთვის, 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამი ეროვნული სამოქმედო გეგმა იქნა დამტკიცებული.[55] რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა** (PAR), რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა. საგულისხმოა, რომ ადგილებზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა როგორც რეფორმის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, ასევე მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში.

PAR-ის ახალ, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში **ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით გათვალისწინებულია** ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ

[54] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4 ხელმისაწვდომია

[55] საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020, გვ. 4, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/72422–72422–512614–სამოქმედოგეგმა2019-2020–აღწერილობა.pdf

თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებდა მოქალაქეების მიერ დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე, საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის კომუნიკაციის პროცესს და უზრუნველყოფდა მათ აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მომსახურების დანერგვა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო მოსახლეობის მონაწილეობა და ანგარიშვალდებულების არსებული პრაქტიკა საკმაოდ სუსტია. 2019 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით,[56] მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი 32%-ს შეადგენდა, ხოლო საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის საშუალება მუნიციპალური ვებგვერდების 20%-ს გააჩნდა.

ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას რეგიონებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს მოშორებულ ლოკაციებში, მნიშვნელოვნად აფერხებს ინტერნეტის მიწოდების ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, ინტერნეტ მომსახურების მაღალი საფასური, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ტექნოლოგიების მოხმარების სუსტი უნარ-ჩვევები. რეფორმის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების და, ზოგადად, მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა და ჩართულობა მონიტორინგის განხორციელების პროცესში დამატებით წინაღობას ქმნის საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით გატარებისთვის. შესაბამისად, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, მათი აქტიური ჩართულობით პოლიტიკური დიალოგის წამოწყება და რეფორმის მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს.

მონიტორინგის მიზანი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ხელშეწყობისთვის, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“. აღნიშნული პროექტი გამიზნულია, დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნის და გაძლიერების გზით, უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა და კონტროლი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის 8 მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესზე.

<u>მონიტორინგის მიზანია</u> ადგილობრივი ხელისუფლების **ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის** ხარისხის შესწავლა, ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციასა და მიგნებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება.

[56] ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, „საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება“ 2019, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload/IDFI–2019/General/LSGINDEX–Report–GEO.pdf

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი - ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, 2020 წლის 27 იანვრის-28 თებერვლის პერიოდში. მონიტორინგის პროცესში აქტიურად ჩაერთო პროექტის ფარგლებში 2019 წლის ოქტომბერს ჩამოყალიბებული „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი“, რომელმაც გააერთიანა სამიზნე რეგიონებში სხვადასხვა პროფილის და განსხვავებულ თემატურ მიმართულებებზე მომუშავე 16 საზოგადოებრივი ორგანიზაცია[57].

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა პროექტის პარტნიორების მიერ წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმის და კითხვარების საფუძველზე, რომელიც შეფასების 32 სხვადასხვა კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა (იხ. დანართი „კითხვარი“). რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილებზე დაკვირვების საფუძველზე. ინფორმაციის მოძიების და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ყველა ოფიციალური ონლაინ წყარო, რაც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

მიღებული შედეგების ანალიზი

წინამდებარე ანგარიში ასახავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, რომელიც ჩატარდა განათლებისა და თანასწორობის ცენტრის მიერ კურატორი ორგანიზაციის, იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის“ მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი მსგავსი მონიტორინგის განხორციელება, რაც საფუძვლად დაედება ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

მონიტორინგის ინდიკატორები განხილული იყო სამი ძირითადი ელემენტის თანახმად: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა, ინკლუზიურობა.

გამჭვირვალობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქალაქეებთან საკომუნიკაციო სტანდარტები და მისი ფორმები განსაზღვრულია საკანონმდებლო დონეზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №30-ით (სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016410) ადგენს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტებს.[58]

[57] სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://csoforum.ge/index.php/ka/about-forum-ka-1

[58] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4724129?publication=0

ინფორმაცია აღნიშნული დადგენილების შესახებ მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მუნიციპალიტეტის ფეისბუქგვერდის საშუალებითაც[59], სადაც ტრანსლირებული იყო საკრებულოს სხდომა (ზოგადად - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველია, ვინც პრაქტიკაში დანერგა საკრებულოს სხდომების პირდაპირი გადაცემა).

საკრებულოს №30 დადგენილების დანართი №2 მკაფიოდ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ პროაქტიულად ან/და ბეჭდური სახით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას და ვადებს. იქვე მითითებულია, როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის განახლება („განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში"; „ქვეყნდება ყოველწლიურად"; „ქვეყნდება კვარტალურად"; „საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში" და ა.შ.).[60]

იქვე არის მოცემული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი (დანართი №3).

იმავე დადგენილების მუხლი 5 განსაზღვრავს ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურებს და ვადებს.[61]

ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალე და ღია მმართველობის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაგალითზე საკმაოდ კარგად არის უზრუნველყოფილი. მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე არის სპეციალური აპლიკაცია, რომლითაც შესაძლებელია ინფორმაციის გამოთხოვა როგორც საკრებულოდან, ისევე მერიიდან. მითითებულია ამომწურავი ინფორმაცია მერიისა და საკრებულოს საჯარო ინფორმაციის დამუშავების და პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებზე[62]. ვებგვერდზე არის სპეციალური გრაფა საჯარო ინფორმაციის[63] და ადმინისტრაციული გასაჩივრების[64] ფორმებით.

საჯარო ინფორმაციის განყოფილებაში მოცემულია ყოველწლიური ანგარიში, სამართლებრივი აქტები, სხდომის ოქმები, საუწყებო არქივი, მუნიციპალური შესყიდვები, მუნიციპალური ქონება, მუნიციპალური პროგრამები, პრიორიტეტები, სამუშაო გეგმები და ანგარიშები, საზოგადოებრივი მომსახურება; ცნობები; პეტიცია; ადმინისტრაციული საჩივრები; დასაქმებულ პირთა ოდენობა; ვაკანსიები. ყველა გრაფა შეიცავს სათანადო ინფორმაციას, გარდა „ადმინისტრაციული საჩივრებისა" (გრაფაში ჩანაწერი არ იძებნება).

განყოფილებაში მოცემულია საპროექტო წინადადების აპლიკაცია, რომლის გადმოტვირთვა ვორდის ფაილით არის შესაძლებელი, რაც ამარტივებს მის გამოყენებას. ტესტ-მაილების გაგზავნით ცხადი ხდება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არსებული ონლაინ საჩივრის ან წინადადების გაკეთების „ფანჯარა" აქტიურია. აღნიშნული სივრცე ქმედითია და მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ მისით სარგებლობა.

ვებგვერდის იგივე განყოფილებაში განთავსებული ვაკანსიების გრაფაში იძებნება მხოლოდ ძველი ვაკანსიების განაცხადი. მონიტორინგის საწყის ეტაპზე მოხდა რამდენიმე ვებგვერ-

[59] https://www.facebook.com/sakrebulo/photos/a.2605104086238440/2605104929571689/?type=3&theater

[60] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4724129?publication=0

[61] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4724129?publication=0

[62] http://oz.gov.ge/ge/pages/view/pasukhimgebeli-pirebi

[63] http://oz.gov.ge/ge/pages/view/sajaro-informaciis-motkhovnis-forma

[64] http://oz.gov.ge/ge/pages/view/administraciuli-sachivris-forma

დის მიმოხილვა (შესწავლილი იყო საიტები http://oz.gov.ge, www.job.ge www.hr.gov.ge). მონიტორინგის მიმდინარეობის პროცესში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ გამოცხადებული არც ერთი ახალი ვაკანსია არ იძებნება. საკრებულოს ინფორმაციით, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად ინფორმაციის დეტალურ ხელმისაწვდომობას, მათ შორის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას. მიმდინარეობს მუშაობა ახალი ვებგვერდის შექმნაზე, რაშიც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც არიან ჩართულნი. აღნიშნული საქმიანობის დასრულების შემდეგ, მათი აზრით, მუნიციპალიტეტის ელექტრონული მომსახურების სტანდარტები კიდევ უფრო გაუმჯობესდება. შესაბამისად, ვაკანსიები აიტვირთება ახალ ვებგვერდზე.

კითხვაზე, რამდენად ხდება ვაკანსიის გამოცხადების ვადების დაცვა, განმარტების თანახმად, ვაკანსიის გამოცხადების ვადები დაცულია კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რამდენად ხელმისაწვდომია ინფორმაცია ადგილობრივ მართვაში მონაწილე პირებზე, განთავსებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით: ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე სრულად არის შესაძლებელი მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის, საკონტაქტო პირების, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მოძიება.[65]

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებობს მოქალაქეთა ონლაინ-პეტიციების წარდგენის პრაქტიკა. არსებობს შესაბამისი დადგენილება **პეტიციის წესით შემოტანილ წინადადებათა და ნორმატიული აქტების პროექტთა განხილვაზე.**[66] ვებგვერდზე არის ინფორმაცია წარდგენილ პეტიციებზე. თვალსაჩინოა, რა ეტაპზეა მისი განხილვა, დაკმაყოფილდა, თუ უარი ეთქვა[67] (დაკმაყოფილებული იყო ორი პეტიცია). მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ ვებგვერდზე ქვეყნდება ონლაინ ფინანსური ანგარიშები: დამტკიცებული ბიუჯეტი, წლიური ანგარიში; ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები[68], შესყიდვების გეგმა და ანგარიში[69]. მუნიციპალიტეტის გვერდებზე მოცემულია ინფორმაცია საკრებულოს/მერიის სხდომების დღის წესრიგზე; დევს სხდომის ოქმები, საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები; დადგენილებები; სხვადასხვა დეპარტამენტის/განყოფილების ანგარიშები[70].

მონიტორინგმა გამოავლინა, რამდენად აქვთ ადგილობრივი თანამდებობის პირებს მოქალაქეების მიღების/ღია კონსულტაციების საათები: როგორც ირკვევა - ყოველი თვის ოთხშაბათი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქეთა მიღების დღეა. საკრებულოში მუდმივად ხდება მოქალაქეთა მიღება. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ეს ინფორმაციები არ არის ხელმისაწვდომი.

მერიასა და საკრებულოში მუშაობს ცხელი ხაზი +995 577309925.

მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით ოზურგეთში არ-

---

65 http://oz.gov.ge/ge/pages/view/gamgeoba http://oz.gov.ge/ge/pages/view/sakrebulo

66 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3868658?publication=0

67 http://oz.gov.ge/ge/pages/view/peticia http://petition.lsg.ge/ozurgeti/

68 http://oz.gov.ge/ge/pages/view/biujeti

69 http://oz.gov.ge/ge/pages/view/yoveltsliuri-angarishi
http://oz.gov.ge/ge/pages/view/samushao-gegmebi-da-angarishebi

70 http://oz.gov.ge/ge/pages/view/gamgeoba http://oz.gov.ge/ge/pages/view/sakrebulo

სებობს მონაწილეობითი ბიუჯეტირების წარმატებული პრაქტიკა. მუნიციპალიტეტმა დანერგა მონაწილეობითი ბიუჯეტირების უნიკალური მოდელი. პროექტის სახელწოდებაა „იყავი თანამმართველი“. პროექტი პირველად გასულ წელს განხორციელდა, მოიცავდა ქ. ოზურგეთს და ბიუჯეტი განისაზღვრა 150 000 ლარით.

მოქალაქეთა მონაწილეობის აღნიშნული ფორმა აძლევს შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, დაგეგმოს ბიუჯეტის ნაწილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, პროექტის ღირებულებისა და მიღებული ხმების საფუძველზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა მოხდა ვებგვერდზე მოქმედი პლატფორმის http://votes.oz.gov.ge/ საშუალებით[71]. გამოვლინდა სამი გამარჯვებული ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა განხორციელებაც დაწყებულია.

2020 წლის ბიუჯეტში მონაწილეობითი ბიუჯეტის თანხა გაზრდილია და შეადგენს 300 000 ლარს.

ვებგვერდზე იძებნება სპეციალური ვიდეოინსტრუქცია, როგორ უნდა შეივსოს და გაიგზავნოს საპროექტო განაცხადი ონლაინ რეჟიმში.

სამ გამარჯვებულ პროექტს ხმა მისცა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 2261-მა მოქალაქემ (283, 803, 1175). მოქალაქეთა ჩართულობისა და ადგილობრივი პროცესების გამჭვირვალობისთვის ეს შეიძლება დასახელდეს საკმაოდ წარმატებულ პრაქტიკად.

მონიტორინგით მოძიებული იქნა ზოგადი ინფორმაცია სოციალურ ბიუჯეტზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. მოქმედებს ჯანდაცვის 15 პროგრამა. სოციალური და ჯანდაცვის 2020 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 1 800 000 ლარით. საკრებულოს მიერ დამტკიცებულია დადგენილება 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ[72].

გენდერული ბიუჯეტი - მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე გენდერული თანასწორობის საბჭო (2013 წლიდან მუშაობდა ფონდი „სოხუმის“ მიერ პილოტირებული, ერთ-ერთი პირველი ადგილობრივი გენდერული საკონსულტაციო საბჭო), რომელიც აქტიურად მუშაობს გენდერულ საკითხებზე, მათ შორის ბიუჯეტში გენდერული პროგრამების ასახვაზე. მიმდინარე წლის ბიუჯეტით გენდერული პროექტებისთვის გამოყოფილია 20 000 ლარი. გასულ წელთან შედარებით გაიზარდა მოწყვლადი ჯგუფების დაფინანსება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 2015 წელს გახდა საქართველოს პარლამენტისა და შვედეთის მთავრობის ჯილდოს მფლობელი გენდერული ბიუჯეტისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იყო ერთ-ერთი პირველი მუნიციპალიტეტი, რომელმაც გენდერული საბიუჯეტო პროგრამა შეიტანა ადგილობრივი ბიუჯეტის დოკუმენტში, სადაც გაჩნდა სათანადო ჩანაწერი ბიუჯეტის დოკუმენტში.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულია მუშაობა ანტიკორუფციულ დებულებაზე და ფინანსურ რეგულაციებზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამტკიცდა „გამჭვირვალობისა და კეთილ-

[71] http://votes.oz.gov.ge/

[72] http://oz.gov.ge/pictures/dadgenileba–2020–1.pdf

სინდისიერების სტრატეგია“ და სამოქმედო გეგმა. საკრებულოს წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით, მიმდინარეობს მუშაობა ანტიკორუფციულ გეგმაზე, დებულებებსა და ფინანსურ რეგულაციებზე[73].

ეფექტიანობა

მონიტორინგმა გამოავლინა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ეფექტიანობა რამდენიმე ინდიკატორის მიხედვით.

კანონის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები“.[74]

მოქალაქეებთან კომუნიკაციის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია დღეების რაოდენობა თვის მანძილზე მერიაში, საკრებულოში შეხვედრებისთვის: მერთან, მერის მოადგილესთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან, თავმჯდომარის მოადგილესთან, დეპუტატთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან.[75] 2019 წელს მიღებაზე მოსულ 4 000-ზე მეტ მოქალაქეს გაეწია მომსახურება.

ვებგვერდსა და ფეისბუქგვერდზე 2017 წელს გამოქვეყნდა ინფორმაცია მერიაში მოქალაქეთა მიღების საათების შესახებ. მიღება იმართება ყოველ ოთხშაბათს, გამონაკლისის გარეშე და შეხვედრების ამსახველი ფოტომასალები ქვეყნდება ვებგვერდსა და მერიის ფეისბუქგვერდზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არის საკრებულოს წევრების მიერ მოქალაქეთა მიღების და შეხვედრის გრაფიკები, რომლებიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში საინფორმაციო დაფაზე. მოქალაქეთა მიღებისა და შეხვედრების შესახებ, ანონსის სახით ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და საკრებულოს სოციალურ გვერდზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დადგენილია საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობა (საკითხს არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მე-10, 28-ე, 37-ე, და მე-40 მუხლები). განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემის და მიღების წესი, ინფორმაციის მოთხოვნის და გასაჩივრების წესი[76].

საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობა 3-10 დღეა. მოქალაქეს აქვს საშუალება, ინფორმაცია მიიღოს როგორც ონლაინ რეჟიმში, ასევე პირდაპირი წესითაც.

---

[73] https://bit.ly/3aPPYdh

[74] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=46

[75] http://oz.gov.ge/pictures/brzaneba–2020–1.pdf
http://oz.gov.ge/pictures/brzaneba–2020–1–dan.pdf
http://oz.gov.ge/pictures/brzaneba–2020–2.pdf
http://oz.gov.ge/pictures/brzaneba–2020–3.pdf

[76] http://oz.gov.ge/ge/pages/view/sajaro-informaciis-motkhovnis-forma
http://oz.gov.ge/ge/pages/view/informaciis-motkhovnis-da-gasachivrebis-tsesi
http://oz.gov.ge/ge/pages/view/sajaro

ვებგვერდის მონიტორინგის შედეგად ჩანს ხელმისაწვდომი ელექტრონული მომსახურების ჩამონათვალი, არის განყოფილებები: მოითხოვე საჯარო ინფორმაცია, ყოველწლიური ანგარიში, სამართლებრივი აქტები, სხდომის ოქმები, საუწყებო არქივი, მუნიციპალური შესყიდვები, მუნიციპალური ქონება, მუნიციპალური პროგრამები, პრიორიტეტები, სამუშაო გეგმები და ანგარიშები, საზოგადოებრივი მომსახურება, ცნობები, პეტიცია, ადმინისტრაციული საჩივრები, დასაქმებულ პირთა ოდენობა, ვაკანსიები.

აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაცია მოცემულია გენდერულ ჭრილში.

არსებული წარმატებული პრაქტიკა უჩვენებს, რომ ეფექტიანი ადგილობრივი მართვისთვის მნიშვნელოვანია კადრების კვალიფიციის ამაღლების მწყობრი სისტემა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არ არის შემუშავებული თანამშრომელთა განვითარების გეგმა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტში ჩატარდა გარკვეული სამუშაო ადგილობრივ მოხელეთა შეფასების სისტემის დასანერგად.

მუნიციპალიტეტში ინერგება საჭიროებათა გამოვლენის პრაქტიკა: ადმინისტრაციული ერთეულებიდან მიღებული სოციალური პრობლემების საფუძველზე მომზადებულია კითხვარი, რომელიც მოიცავდა შემდეგ პუნქტებს: ოჯახები, რომელთაც ეკუთვნით და არ აქვთ სოციალური დახმარება, ხუთი ყველაზე შეჭირვებული მოსახლე, უსახური და მიტოვებული შენობების მდგომარეობა ადმინისტრაციულ ერთეულებში. აღნიშნული კითხვარი გადაეცა გურიის მხარეში რწმუნებულის ადმინისტრაციას შესაბამისი რეაგირებისთვის.

„მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 ივნისის N1334 განკარგულების შესაბამისად, სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ (ს/ნ 206074193) და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ (ს/ნ 405026877) (შემდგომში-სააგენტო) შორის 2019 წლის 16 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2019 წლის 16/09/2019-დან 2019 წლის 15/10/2019-ის ჩათვლით, პროექტი „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული სერვისების“ ფარგლებში მუნიციპალიტეტში საქმისწარმოებისა და ბიზნეს-პროცესების მოკვლევის პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები ჩატარდა, რომლის მიზანია ახალი, დახვეწილი დოკუმენტბრუნვის დანერგვით საქმისწარმოების ეფექტურ-ელექტრონულ მართვასა და საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფი წვდომის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მოქალაქეები მომსახურების მაღალ სტანდარტებზე არიან ორიენტირებულნი და სულ უფრო მეტად მომთხოვნი ხდებიან სერვისებისადმი, ამდენად, მოქალაქეთა მომსახურება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და მომსახურების მაღალი სტანდარტების გამოყენებას მოითხოვს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამშრომელთათვის 2019 წელს ჩატარდა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები შემდეგ პროვაიდერებთან თანამშრომლობით: საკონსულტაციო კომპანია „კარდნო“ (Cardno Emerging Marcets USA, Ltd); კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, (CTC), ფონდი „სოხუმი“ და სხვა.

ტრენინგები ჩატარდა ექვსი მიმართულებით: პროფესიული კომუნიკაცია, ღონისძიებების მენეჯმენტი; ფინანსური მენეჯმენტი; პროექტების მართვა; ეთიკა საჯარო სამსახურში; ადამიანური რესურსების მართვა; სტრატეგიული მართვა-დაგეგმვა; ქალ პოლიტიკური თანამდე-

ბობის პირთა ტრენინგი; პროგრამული ბიუჯეტირების სიახლეები; კომპლექსური მიდგომები ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში; გენდერული ანალიზი და მოქალაქეთა მონაწილეობა, გენდერული თანასწორობის საკითხები, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის და მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის შეფასება, ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა და გაძლიერება ადგილობრივ დონეზე; საბიუჯეტო პროცესის ინკლუზიურობა.

ტრენინგები ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, შეზღუდვების გარეშე. გადამზადება გავლილი აქვს თანამშრომელთა 85%-ს, რაც წარმოადგენს 170 ადამიანს.

მუნიციპალიტეტში საქმიანობის ხარისხიანად წარმართვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით, იქმნება პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების სისტემა. შეფასების სწორად წარმართვის უზრუნველყოფის მიზნით ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი და სწავლება.

სამუშაო აღწერილობის მიხედვით განისაზღვრა თითოეული მოხელისათვის მასთან მისადაგებული კომპეტენციები და უნარები, მომზადდა სპეციალური ფორმები, რომლებიც მიეწოდა თითოეულ თანამშრომელს ელექტრონულად.

მონიტორინგის ფარგლებში მოხდა ინფორმაციის შეგროვება, გასული წლის მანძილზე რამდენი შეხვედრაა ჩატარებული სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობს მეზობელ ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებთან. ოზურგეთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც მრავალმხრივ პარტნიორობას მოიცავს, მათ შორის ურთიერთპრაქტიკის გაზიარებას.

მონიტორინგში ჩართული პირების განცხადებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დანერგილი ინოვაციური მექანიზმები და გამჭვირვალობის, საჯაროობის მიმართულებით გადადგმული ქმედითი ნაბიჯები ხშირად სხვა მუნიციპალიტეტებისთვის არის გასათვალისწინებელი მაგალითი, რაც ხშირად სხვადასხვა პროექტის ფარგლებში შეხვედრების ძირითად თემას წარმოადგენს. მაგალითად, ღია მმართველობის პარტნიორობის საკითხებზე OGP-ში ჩართული მუნიციპალიტეტების შეხვედრაზე, რომელიც ოზურგეთის ინიციატივით გაიმართა, მუნიციპალიტეტების მიერ OGP-ის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში მიღებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო.

ოზურგეთში არის საკრებულოს სხდომების ჩატარების ერთი წლის/ერთი თვის გეგმა (დადგენილება N4)[77]. მონიტორინგით გაირკვა, რომ განსაზღვრულია მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები.

ინკლუზიურობა

ადგილობრივ დონეზე მომსახურების მიწოდების სხვადასხვა კვლევის მასალებით, საჯარო დაწესებულების ვებგვერდებზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მონიტორინგთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათზე იმ სერვისებისა და აპლიკაციების არსებობის შემოწმება, რომელთა მთავარი ამოცანაა მოქალაქეების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფა[78].

[77] http://oz.gov.ge/ge/pages/view/reglamenti

[78] https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files

მუნიციპალიტეტში არსებული ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი შშმ პირები არიან. სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, გურიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 4 487 პირი ცხოვრობს. აქედან ყველაზე მეტი - 2 119 ადამიანი ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქ ოზურგეთში.[79] შშმ ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინების ხარისხის შესასწავლად, მოცემული ეტაპისთვის მოხდა მერიისა და საკრებულოს შენობის დათვალიერება. შენობას აქვს მხოლოდ გარე პანდუსი. ეტლით მოსარგებლეთათვის გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ პირველ სართულზე.

მოქმედი კანონმდებლობა *(საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ)* თვითმმართველობას ავალებს შშმ პირების საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული საკითხების დაკმაყოფილებას (კანონის მე-9 და მე-11 მუხლები). [80]

მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამაში განსაზღვრულია 213 900 ლარი შშმ პირთა გარკვეული კატეგორიისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდზე მოცემული გრაფა - „შშმ პირთა ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“ - ცარიელია. ის შედის ვებგვერდზე არსებულ განყოფილებაში „მნიშვნელოვანი მუნიციპალური სერვისები“, სადაც ასევე მითითებულია მომსახურება სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მაგ., „ბავშვებისა და მოხუცებისათვის სპეციალური ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“, „უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის სერვისი“, სადაც საძიებო სიტყვის შესაბამისი ჩანაწერები არ მოიპოვება.

ადგილობრივ სოციალურ პაკეტებში შშმ პირთა, დევნილთა, მარტოხელა მშობლების, ხანდაზმულების, ძალადობის მსხვერპლი ქალების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება განსაზღვრულია საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების გაცემის წესით.

ოზურგეთის მერიასა და საკრებულოში არის სხვადასხვა საბჭოები: მრჩეველთა საბჭო, - გენდერული საბჭო, შშმ პირთა საბჭო, რჩეულთა საბჭო, ახალგაზრდული საკრებულო, ახალგაზრდული გენდერული საბჭო. უნდა ითქვას, რომ მათ უმეტესობაზე ინფორმაცია ვებგვერდზე არ არის.

მონიტორინგით გამოვლინდა, როგორია ოზურგეთის ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი[81]**.** მერიაში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა 38%-ს შეადგენენ ქალები, 62%-ს - მამაკაცები. საკრებულოში კი 45% ქალია და 55% მამაკაცი. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე იძებნება გენდერის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები, როგორც მთლიანად, ასევე თანამდებობის პირთა შესახებ: მერიის 13 თანამდებობის პირიდან ქალი არის ერთი, საკრებულოს 13 თანამდებობის პირიდანაც ერთი ქალია.

ვებგვერდი არ მოიცავს ინფორმაციას ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, თვითმმართველობაში შექმნილ სამუშაო ჯგუფებზე.

მონიტორინგით გაირკვა, რომ ოზურგეთში მცხოვრები არაქართულენოვანი მოქალაქეებისათვის თარჯიმნის მომსახურება ხელმისაწვდომია. მუნიციპალიტეტს ეს სერვისი არ აქვს, მაგრამ თანამშრომლობს სამხარეო ადმინისტრაციასთან, სადაც ეს მომსახურება არსებობს.

---

79 წყარო - http://www.gurianews.com/article/mtavari/sazogadoeba/21345

80 https://matsne.gov.ge/ka/document/view/30316?publication=9

81 http://oz.gov.ge/ge/pages/view/dasaqmebul-pirta-odenoba

მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია საკონტაქტო პირი მოწყვლად ჯგუფებთან (ქალები, სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (სმენის, მხედველობის, გადაადგილების პრობლემით) ურთიერთობისთვის. საკონტაქტო პირია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების განყოფილების უფროსი. ადგილობრივ თვითმმართველობაში, როგორც მერიაში, ასევე საკრებულოში გამოყოფილია საკონტაქტო პირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან ურთიერთობისთვის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში აფინანსებს ინკლუზიური განათლების პროგრამებს. მათ მიერ მხარდაჭერილია საჯარო და სამრევლო სკოლებში ინკლუზიური პროგრამების განხორციელება.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე არ მოქმედებს ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ. მონიტორინგში ჩართული პასუხისმგებელი პირების ინფორმაციით, დაწყებულია მუშაობა მისი დანერგვისთვის.

მერიაში ფუნქციონირებს მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია 17 წევრი. საბჭოს სხდომები იმართება ყოველთვიურად. საზოგადოებრივი დარბაზი ფუნქციონირებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოშიც.

გენდერული ბიუჯეტირების შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით 2020 წელს დაგეგმილია სპეციალური ტრენინგები.

დასკვნები და რეკომენდაციები

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის კუთხით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაცია. რეფორმის თვითმმართველობებთან მიმართებით დასახული ამოცანების რეალიზაციის მიმართულებით გამოვლინდა არსებული ძლიერი მხარეები, წარმატებული პრაქტიკა, ასევე - გამოწვევები და ნაკლოვანებები.

გამოჩნდა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ბოლო წლების განმავლობაში დაინერგა ძალიან ბევრი საინტერესო სიახლე, რაც მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის, ეფექტიანობის და მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით მნიშვნელოვანი წინდაგადგმული ნაბიჯია. მათ შორისაა მოქალაქეთა ელექტრონული მომსახურების კუთხით დანერგილი სიახლეები, სამოქალაქო ბიუჯეტირების წარმატებული პრაქტიკა, გენდერული პროგრამების შემუშავება და ბიუჯეტში ასახვა, რითიც ოზურგეთი შეიძლება განიხილოს, როგორც წარმატებული პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტი.

საჯარო მმართველობის რეფორმის მიხედვით, ადგილზე კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრების ქვაკუთხედი არის ელექტრონული მმართველობა. 2021 წლისთვის დაიწყება ელექტრონული მმართველობის სრული მოდულების ადგილობრვ დონეზე ფართომასშტაბიანი იმპლემენტაცია, რომელსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ადგილობრივ დონეზე ადგილობრივი მოხელეებისა და მოქალაქეების გარკვეული მზაობით და შესაბამისი ტექნიკური გამოცდილებით ხვდება. მიუხედავად ამისა, ***საჭიროა უკვე არსებული რესურსების უკეთესი ტექნიკური გამართვა და თანამედროვე სტანდარტებთან მისადაგება (განსაკუთრებით ეს ეხება მუნიციპალიტეტის ვებგვერდს, რომლის მოდერნიზაცია აუცილებელია).***

გამჭვირვალობა

მუნიციპალიტეტში ელექტრონული რესურსების გამოყენებამ და ელექტრონული მომსახურების პილოტირებამ გაამარტივა ბევრი პროცედურა და შესაძლებელი გახადა პირდაპირი კომუნიკაციის დამყარება მოქალაქეებთან, მის სხვადასხვა ჯგუფთან. ამის დასტურია სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტებისთვის ხმის მიცემის ელექტრონული სისტემა, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ონლაინ პეტიციების დიდი რიცხვი, მაგრამ აშკარაა, რომ ელექტრონული მომსახურებით მხოლოდ მოქალაქეთა მცირე, ყველაზე აქტიური ჯგუფი სარგებლობს და არ არის ხელმისაწვდომი მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. ეს ადგილობრივ დონეზე რეფორმის წარმატებისთვის სერიოზული გამოწვევაა.

უნდა ვაღიაროთ, რომ მოქალაქეების გარკვეული ნაწილისთვის ჯერ კიდევ უცნობია მოსახლეობის აქტივობისა და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის ამ კონკრეტული საშუალების შესახებ ინფორმაცია. მისი მნიშვნელობა ასევე ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული საჯარო მოსამსახურეთა ნაწილს. შედარებით დაბალია უკუკავშირი და ინტერაქცია სოციალურ ქსელებში.

რეკომენდაცია: ***მნიშვნელოვანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა. საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მხრიდან ელექტრონული მომსახურებით სარგებლობას, მეტ თანამშრომლობას თვითმმართველობასთან.***

ვებგვერდზე აღინიშნება გარკვეული ხარვეზები, მაგალითად, არ მუშაობს, უფუნქციოა „ფანჯარა“ - „კონტაქტები“. ბევრი განყოფილება, მათ შორის მითითება არსებულ სერვისებზე ცარიელია და დასახელების შესაბამისი ინფორმაცია არ იძებნება.

მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე თვალსაჩინო არ არის მერიის სამსახურების მონიტორინგის ვადები და ფორმები.

რეკომენდაცია: ***სასურველია, მუნიციპალიტეტს ჰქონდეს მერიის სამსახურების მონიტორინგის ვადებისა და ფორმების შესახებ გაწერილი გეგმა, რომელიც განთავსებული იქნება ვებგვერდზე.***

ეფექტიანობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არის პროგრამული ბიუჯეტის, გენდერული ბიუჯეტის, სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ სათანადო ცნობიერება, სწრაფვა, მოხდეს მათი წარმატებული დანერგვა. თუმცა საკმარისად არ არის განვითარებული მოქალაქეთა საჭიროების შესახებ მოკვლევების თვალსაჩინო პრაქტიკა და მონაცემთა ანალიზი, პროგრამების ეფექტის შეფასება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთში შეინიშნება ბიუჯეტირების საკითხისადმი ახალი მიდგომები, ეს საკითხი ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფას.

რეკომენდაცია: ***პროგრამული ბიუჯეტის პრაქტიკის სრულყოფისთვის სასურველია, დაინერგოს მოქალაქეთათვის მომსახურების მიწოდების ეფექტურობის, პროგრამებით კმაყოფილების შესწავლის ფორმები, საჭიროებათა გამოვლენის სისტემა, რათა მოპოვებულ იქნას მასალა მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დასაბუთებისთვის.***

პროგრამების მომზადების, მათი შემდგომი მონიტორინგის განხორციელებისას გამოყენებულ იქნას გენდერული ინდიკატორები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საკმაოდ მასშტაბურად მიმდინარეობს ადგილობრივ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლების დიდი ნაწილი გადის ტრენინგებს, მიუხედავად ამისა, არ არსებობს მუნიციპალიტეტის მოკლე, საშუალო ან გრძელვადიანი ტრენინგ-სტრატეგია, მოხელეების განვითარების გეგმაზე მუშაობა ახალი დაწყებულია. სასურველია, აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობის დროს გათვალისწინებულ იქნას როგორც თანამშრომელთა საჭიროებები, ასევე მოქალაქეთა რეკომენდაციებიც.

რეკომენდაცია: ***მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეთა განვითარების/შეფასების კონკრეტული გეგმის შედგენა.***

გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასწავლო პროგრამის შემუშავების სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს მიხედვით შემოთავაზებული საკითხები და, მასთან ერთად, დაემატოს ტრენინგები გენდერული თანასწორობის, გენდერული და პროგრამული ბიუჯეტირების, სამოქალაქო ბიუჯეტის, აუთსორსინგის/მუნიციპალური სერვისების გაყიდვის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, არსებობდეს მოხელეთა შეფასების სისტემის სტანდარტები და ხდებოდეს მათი საქმიანობის შეფასება. საჭიროების შემთხვევაში დაინერგოს მოხელეთა წახალისების ფორმები.

ასევე მნიშვნელოვანია თემში მცირე კვლევის ჩატარება საჯარო მოხელეების მხრიდან მომსახურებით კმაყოფილების ხარისხის შესახებ და მოქალაქეთა აზრის და რეკომენდაციების გათვალისწინება ამ პროცესში.

მერიასა და საკრებულოში არ არსებობს თარჯიმნის სერვისი, რაც არაქართულენოვან პირთა მომსახურების თვალსაზრისით პრობლემას წარმოადგენს. ეს შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც მათი დისკრიმინაცია და შეამციროს თვითმმართველობის მიმართ ნდობა, ნეგატიური გავლენა მოახდინოს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობაზე მოცემული ჯგუფის მიმართ.

რეკომენდაცია: ***გამოინახოს შესაძლებლობა, რათა მოცემული მოწყვლადი ჯგუფი (არაქართულენოვანი მოქალაქეები) მერიასა და საკრებულოსთან კომუნიკაციისთვის უზრუნველყოფილ იყვნენ თარჯიმნით.***

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს არ აქვს ანტიკორუფციული გეგმა, თუმცა მუშაობა ამ კუთხით მიმდინარეობს. მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია, დაინახონ მუშაობა მოცემული მიმართულებით, რაც მათ გაუჩენს განცდას, რომ მუნიციპალიტეტში სათანადო ყურადღება ექცევა ანტიკორუფციულ ღონისძიებებს, შეეძლოთ, თვალი ადევნონ მერიის სამსახურების მონიტორინგის მიმდინარეობას.

რეკომენდაცია: ***სასურველია, გათვალისწინებულ იქნას სხვა მუნიციპალიტეტების პოზიტიური პრაქტიკა ე.წ. „კეთილსინდისიერების სტრატეგიისა“ და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და იმპლემენტაციის კუთხით. სასურველია, აღნიშნულ დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფი იყოს წარმომადგენლობითი, რაც გულისხმობს სხვადასხვა სექტორის (არასამთავრობო, ზოგადად სამოქალაქო სექტორი, მედია) მეტ ჩართულობას. ვებგვერდზე თვალსაჩინო იყოს მერიის სამსახურების მონიტორინგის გეგმა და მონიტორინგის შედეგები.***

ინკლუზიურობა

ადგილობრივი ჩართულობის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია ყველა მოწყვლადი ჯგუფისთვის თანაბარი შესაძლებლობის შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში იყო პილოტირებული ერთ-ერთი პირველი გენდერული საკონსულტაციო საბჭო, მუნიციპალიტეტი დაჯილდოებული იყო, როგორც საუკეთესო მუნიციპალიტეტი გენდერული პოლიტიკის მიმართულებით - უნდა ვაღიაროთ, რომ ადგილობივი მოხელეების ნაწილში გენდერული თანასწორობისა და საჭიროებებზე აგებული ბიუჯეტირების იდეა უფრო დეკლარირებული თემაა, ვიდრე ბოლომდე გააზრებული საჭიროება. არ ხდება გენდერული თანასწორობის საბჭოს ეფექტური მონაწილეობა ადგილობრივი პოლიტიკის შექმნაში. ასევე ნაკლებად ხდება სხვა საბჭოების - მრჩეველთა საბჭოს, საზოგადოებრივი საბჭოს და ა.შ. მუშაობის თვალსაჩინო წარმოდგენა ვებგვერდით.

რეკომენდაცია: ***გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის საბჭო, როგორც გენდერული თანასწორობის მექანიზმი და გამოყენებულ იქნას, როგორც სამოქალაქო დაკვეთის გამხმოვანებელი, მოქალაქეებთან სოციალური კომუნიკაციის ხიდი. პრაქტიკაში დაინერგოს საბჭოს ეგიდით სხვადასხვა სამუშო ჯგუფის ჩამოყალიბება და ინიციატივების შემუშავება უფრო ეფექტური და ეფექტიანი ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებისათვის.***

მუნიციპალიტეტის ვებგვერდით, სოციალური ქსელით პერიოდულად გავრცელდეს ინფორმაცია მრჩეველთა საბჭოს, საზოგადოებრივი საბჭოს, გენდერული საბჭოს მუშაობის შესახებ, ვებგვერდზე უნდა იძებნებოდეს აღნიშნული საბჭოების სამუშაო გეგმები.

მიუხედავად დეკლარირებული პოლიტიკისა, მოწყვლადი ჯგუფების (განსაკუთრებით შშმ პირების), სოციალური დაცვისა და დახმარების კუთხით და მთელი რიგი ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს შშმ პირთათვის დაცვისა და განვითარების გარემოს უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტს არ აქვს შექმნილი საკუთარი ხედვა ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. არ მოქმედებს რაიმე ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ.

რეკომენდაცია: ***საჭიროა მუნიციპალიტეტს ჰქონდეს კონკრეტული გეგმა/ხედვა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის შესახებ.***

აუცილებელია თანხების გამოძებნა მუნიციპალიტეტის და სხვა სოციალური კომუნიკაციის ინფრასტუქტურის პანდუსებით აღჭურვისთვის.

მუნიციპალიტეტში დიდი წარმატებით მიმდინარეობს „სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტი“, რომელიც მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფისთვის იძლევა ორმაგ შესაძლებლობას: წარმოადგინოს პროექტი და ხმა მისცეს მისთვის სასურველ პროექტს. ეს არის ჩართულობის და თანამონაწილეობის საუკეთესო ნიმუში, თუმცა შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი ინკლუზიურობის მიღწევა.

რეკომენდაცია: ***სასურველია, დიდმასშტაბიანი პროექტების პარალელურად, ორიენტაცია არსებობდეს უფრო მცირე პროექტებზე, რომელთაც არ სჭირდება დიდი დანახარჯები, მაგრამ ექნება მნიშვნელოვანი სოციალური ეფექტი და მორგებული იქნება ბევრი ადგილობრივი მოქალაქის საჭიროებაზე.***

პროგრამის შემუშავების, პროექტების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნეს გენდერული ინდიკატორები. მოხდეს შესწავლა, როგორია პროექტების წარდგენის, ხმის მიცემის პროცესში ქალების და კაცების თანაფარდობა, როგორი ეფექტი ექნება პროექტს ქალების/კაცების მდგომარეობაზე.

დანართი

მონიტორინგის მექანიზმი (კითხვარი) პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგისთვის

გამჭვირვალობა	როგორ ჩატარდება მონიტორინგი/რომელი დოკუმენტების შესწავლაა საჭირო?	საბაზო ინდიკატორები/ მაჩვენებლები	მონიტორინგის შედეგად მიღებული ინდიკატორები/მაჩვენებლები
1. ხელმისაწვდომია თუ არა ონლაინ განცხადებები ვაკანსიების შესახებ?	ვებგვერდების მიმოხილვა: - www.hr.gov.ge - მუნიციპალიტეტების ვებგვერდი - www.jobs.ge	-----	დიახ/არა თუ არ არის ხელმისაწვდომი, მაშინ მიზეზებისა და იმის დასადგენად, თუ როგორ ხდება ვაკანსიების შესახებ განცხადების განთავსება - შეიძლება წარვმართოთ ინტერვიუ
2. დაცულია თუ არა ვაკანსიის გამოცხადების ვადები?	დოკუმენტების შესწავლა: - საქართველოს მთავრობის დადგენილება საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ - მუნიციპალიტეტში საკადრო სტანდარტები/წესები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში)	10 დღე	დიახ/არა
3. განთავსებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით?	მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვა	------	დიახ/არა თუ არ არის, ინტერვიუს დროს უნდა გაირკვეს, როგორ შეუძლია მოქალაქეს საკონტაქტო პირთან დაკავშირება

4. არსებობს თუ არა ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების გაკეთების/წარდგენის მექანიზმი/ფორმა?	ვებგვერდის შემოწმება	-----	დიახ/არა თუ არ არსებობს, ინტერვიუს დროს უნდა დადგინდეს, რატომ არ არსებობს ასეთი მექანიზმი
5. ქვეყნდება თუ არა ონლაინ ფინანსური ანგარიშები? - დამტკიცებული ბიუჯეტი - ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები, წლიური ანგარიში - შესყიდვის გეგმა და ანგარიში	მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვა	----	დიახ/არა ბოლო ანგარიშის თარიღი თუ <u>არა</u>, მაშინ ინტერვიუს დროს უნდა გაირკვეს, სად შეუძლია საზოგადოებას იხილოს აღნიშნული ანგარიშები. მაგალითად, გაზეთი, ტელევიზია, რადიო და სხვა
6. მოიცავს თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი საჯარო ინფორმაციას? მაგ.: - თანამდებობის პირების ბიოგრაფიები - საკრებულო/მერიის სხდომების დღის წესრიგი - საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები - დადგენილებები - სხვადასხვა დეპარტამენტის/განყოფილების ანგარიშები	მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვა	-----	დიახ/არა ბოლო ინფორმაციის თარიღი
7. აქვთ თუ არა მოქალაქეების მიღების/ღია კონსულტაციების საათები: - მერს - მერის მოადგილეს - საკრებულოს თავმჯდომარეს - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს - დეპუტატებს - დეპარტამენტების მოადგილეებს და გამოქვეყნებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე?	1. მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვა 2. თვითმმართველობის ცხელ ხაზზე დარეკვა		დიახ/არა პერიოდულობა: კვირაში რამდენი დღე? რამდენი საათი?

8. აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტებს: - მონაწილეობითი ბიუჯეტი? - სოციალური ბიუჯეტი? - გენდერული ბიუჯეტი?	1. ინტერვიუ მერიის წარმომადგენელთან (ფინანსური განყოფილება) 2. მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვა	------	დიახ/არა დიახ/არა დიახ/არა ბოლო ბიუჯეტის თარიღი საერთო ბიუჯეტიდან მონაწილეობითი/სოციალური/გენდერული ბიუჯეტების პროცენტი (%)
9. მიღებულია თუ არა მუნიციპალიტეტში ანტიკორუფციული ზომები? ხელმისაწვდომია თუ არა ვებგვერდზე: - ანტიკორუფციული გეგმები - ანტიკორუფციული დებულება - ფინანსური რეგულაციები - დებულება ეთიკური ქცევის შესახებ	1. ინტერვიუ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან	-----	დიახ/არა დიახ/არა როდის განახლდა?

ეფექტიანობა	როგორ ჩატარდება მონიტორინგი/რომელი დოკუმენტების შესწავლაა საჭირო?	საბაზო ინდიკატორები/მაჩვენებლები	მონიტორინგის შედეგად მიღებული ინდიკატორები/მაჩვენებლები
1. დღეების რაოდენობა თვის მანძილზე მერიაში, საკრებულოში შეხვედრებისთვის: - მერთან - მერის მოადგილესთან - საკრებულოს თავმჯდომარესთან - თავმჯდომარის მოადგილესთან - დეპუტატთან - დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან	- ინტერვიუ მერიის, საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლებთან - შეხვედრის დანიშვნა ცალკეული მოქალაქის სტატუსით	გეგმის თანახმად დღეების რაოდენობა	დღეების რაოდენობა (ფაქტობრივი)
2. საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობა	- ინტერვიუ მერიის, საკრებულოს წარმომადგენლებთან დღეების საშუალო რაოდენობის გარკვევის მიზნით - საჩივრის შეტანა ცალკეული მოქალაქისგან	10 დღე	დღეების რაოდენობა (ფაქტობრივი)

3. ხელმისაწვდომი ელექტრონული მომსახურების რაოდენობა: - წერილების წარდგენა - პეტიციები - საჩივრები - შეხვედრაზე დარეგისტრირება - პასუხის მიღება და ა.შ.	- მუნიციპალიტეტების ვებგვერდზე ძიება - ინტერვიუ თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტთან	-------	ელექტრონული მომსახურების რაოდენობა
4. აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტებს თანამშრომელთა განვითარების გეგმა?	- მუნიციპალიტეტების ვებგვერდებზე მოძიება - ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან	-----	დიახ/არა
5. ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა: - დეპუტატებისთვის, საკრებულოს, მერიის თანამშრომლებისთვის (სულ, ბოლო წლის მანძილზე) (რა თემაზე ჩატარდა ტრენინგები)	- ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან	------	1. სულ ტრენინგების რაოდენობა 2. ტრენინგების რაოდენობა ბოლო წლის მანძილზე
6. ტრენინგებში მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პროცენტული მაჩვენებელი (სულ და ბოლო წლის მანძილზე)	- ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან	-----	1. სულ მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი 2. ბოლო წლის მანძილზე ტრენინგებში მონაწილეთა %
7. გამოიყენება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რაიმე სახის ინსტრუმენტი ან ტექნიკა საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის (მაგალითად, ცოდნის მართვის კუთხით)? - ვორკშოპები, ტრენინგები - ანგარიშები, ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა განყოფილებასა და დეპარტამენტს შორის	- ინტერვიუ ადამიანური რესურსების სამსახურის წარმომადგენელთან	-----	დიახ/არა - თუ <u>დიახ,</u> რა სახის ინსტრუმენტები და ტექნიკა არსებობს ადგილზე: რეგულარული შეხვედრები, ინფორმაციის გაცვლა განყოფილებებს შორის, ტრენინგები?

8. შემუშავებულია თუ არა მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები?	- ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან	------	დიახ/არა
9. გასული წლის მანძილზე რამდენი შეხვედრაა ჩატარებული სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით?	- ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან	------	შეხვედრების რაოდენობა
10. არის თუ არა საკრებულოს სხდომების ჩატარების ერთი წლის/ერთი თვის გეგმა?	მუნიციპალიტეტების ვებგვერდებზე არსებული ინფორმაციის მიმოხილვა ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან	-----	დიახ/არა
11. დაწესებულია თუ არა მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმა?	ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან	------	დიახ/არა

ინკლუზიურობა	**როგორ ჩატარდება მონიტორინგი/რომელი დოკუმენტების შესწავლაა საჭირო?**	**საბაზო ინდიკატორები/ მაჩვენებლები**	**მონიტორინგის შედეგად მიღებული ინდიკატორები/ მაჩვენებლები**
1. არის თუ არა პანდუსები მერიის/საკრებულოს შენობებში?	დაკვირვება		დიახ/არა
2. არის თუ არა არადისკრიმინაციული მუნიციპალიტეტის განცხადებები ვაკანსიების შესახებ?	ვაკანსიის შესახებ განცხადების ტექსტის შეფასება		განაცხადების წარმდგენი პირებისთვის შეზღუდვების რაოდენობა (მაგალითად, ასაკი, სქესი, სტატუსი და ა.შ.)
3. როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი?	ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან		%

4. როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მერი, მერის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე) მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი?	ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან		%
5. ხელმისაწვდომია თუ არა არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურება?	ინტერვიუ თვითმმართველობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელთან		დიახ/არა
6. არის თუ არა მუნიციპალიტეტში საკონტაქტო პირი ურთიერთობისთვის მოწყვლად ჯგუფებთან: - ქალები - სოციალურად დაუცველები - იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (სმენის, მხედველობის, გადაადგილების პრობლემით)	ინტერვიუ თვითმმართველობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელთან		დიახ/არა
7. აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტში (მერიაში, საკრებულოში) ცოდნა ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესახებ? - საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ - კანონდებლობა შრომის უფლებების შესახებ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია	ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან		დიახ/არა თუკი <u>დიახ,</u> დაასახელეთ დოკუმენტაციის, პროგრამის ჩამონათვალი

8. მუნიციპალიტეტში მოქმედებს თუ არა ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ? თუ არ მოქმედებს, არის თუ არა გათვალისწინებული/განსაზღვრული მისი დანერგვა?	ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან		დიახ/არა თუკი <u>დიახ</u>, მიუთითეთ პროგრამებისა და დოკუმენტების ჩამონათვალი
9. არსებობს თუ არა ადგილებზე გენდერული ბიუჯეტირება/ცოდნა მისი ფუნქციონირების შესახებ?	ინტერვიუ თვითმმართველობის ფინანსური დეპარტამენტის წარმომადგენელთან		დიახ/არა
10. არის თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობაში საკონტაქტო პირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან/სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის?	ინტერვიუ თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტთან		დიახ/არა
11. დაზუსტდეს, ვინ არის დანიშნული საქალაქო ორგანიზაციებთან საკონტაქტო პირად	დაზუსტდეს ინტერვიუს ჩატარების დრო		მერი, ვიცემერი, მოადგილეები, სხვა
12. არის თუ არა მერიაში და საკრებულოში: - მრჩეველთა საბჭო - გენდერული საბჭო - სხვა საბჭოები, სამუშაო ჯგუფები	ინტერვიუ ადამიანური რესურსების სამსახურის წარმომადგენელთან		დიახ/არა დიახ/არა დიახ/არა

შეხვედრა ვანის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა თერჯოლის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ცაგერის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა გალდათის მუნიციპალიტეტში



შეხვედრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ხონის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

ვანის მუნიციპალიტეტი

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

ხონის მუნიციპალიტეტი



ცაგერის მუნიციპალიტეტი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი